საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№34 (599)
29 სექტემბერი - 5 ოქტომბერი, 2021

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru

## შეიძლება თუ არა «სამეზობლოს მშვიდობიანი ინიციატივის» განხორციელება ამიერკავკასიაში, როდესაც რუსეთს მეზობლად არ განიხილავ?

2

## აი, ესა ვართ დღევანდელი ქართველები!

6-7




ტელევიზორში ჩავიხედოთ, ქართველებო!



3

## ხელისუფლება ხორბლისა და ფქვილის მთავარ მომწოდებელთან მოლაპარაკებას დასავლეთის შიშით ვერ ბედავს

## ვინმეს უფიქრია, რა მოხდება, ერთ არცთუ მშვენიერ დღეს რუსეთმა ელენერგია რომ აღარ მოგვყიდოს?

8



## თბილისის ლუგარის ცენტრში რაღაც საზარელი განუზრახავთ





საქართველო ბიოლოგიური იარაღის გამოსაცდელ პოლიგონად იქცა

11

## ლიბერალურ-სოდომისტური სისტემა პატიმრებს ვერ ელევა

4



აშშ-ის ელჩი მითითებებს კვლავ იძლევა

## პოლიტიკური მინიატურები




20

## მე ბრალს ვდებ...



18-19

## «არავინ ისე მამაცად არ იბრძვის სხვის ომში, როგორც სულელი»

16-17



თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„იდეა კარგია — ომის საფრთხის თავიდან აცილება და სამეზობლოში კეთილგანწყობის დათესვა, მაგრამ ეს იდეაა და თანაც არ არის სიახლე, ამგვარი ინიციატივა ბევრი ყოფილა. სიმართლე გითხრათ, ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა დასვას ღარიბაშვილმა ერთ მაგიდასთან აზერბაიჯანი და სომხეთი. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ღარიბაშვილის ინიციატივას ამ სახელმწიფოებიდან აქამდე არავინ გამოხმაურებია. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რას იტყვის რუსეთი. რეალობა სულ სხვაა, რეალობას არ უნდა მოვწყდეთ!**

# შეიძლება თუ არა «სამეზობლოს მშვიდობიანი ინიციატივის» განხორციელება ამიერკავკასიაში, როდესაც რუსეთს მეზობლად არ განიხილავ?

24 სექტემბერს გაეროს 76-ე ასამბლეაზე საქართველოს პრემიერმინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სიტყვით გამოვიდა. მისმა გამოსვლამ პროსახელისუფლებო მედიაში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია.

ღარიბაშვილის გამოსვლაში, როგორც ხელისუფლებაში აღნიშნეს, უმთავრესი იყო სამხრეთ კავკასიაში „სამეზობლო მშვიდობიანი ინიციატივა" რეგიონში სტაბილურობის ხელშესაწყობად.

„გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, შავი ზღვის რეგიონის მნიშვნელობა ბევრად იზრდება. საჭადრაკო დაფაზე დინამიური ასპარეზობის მოწინავე ხაზზეა შავი ზღვა. ეს არის კონფლიქტების მართვის მიკროსამყარო: თუ მშვიდობა და სტაბილურობა აქ შენარჩუნდება, სხვაგანაც გახდება შესაძლებელი იმავე შედეგის მიღწევა, ამიტომ ჩვენი მიზანია მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა რეგიონში. სამხრეთ კავკასიაში გთავაზობთ „სამეზობლოს მშვიდობიან ინიციატივას" ჩვენი რეგიონის სტაბილურობის ხელშესაწყობად. საქართველო მზადაა, თბილისში უმასპინძლოს საერთაშორისო შეხვედრას, რომელზეც განხილული იქნება ჩვენი მშვიდობიანი კეთილმეზობლური ინიციატივის პერსპექტივები და რომელშიც ჩაერთვებიან ჩვენი სამხრეთკავკასიელი მეზობლები და საერთაშორისო პარტნიორები", – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა და დასძინა: „დღეს ყველას მოგმართავთ თხოვნით — დავასრულოთ რუსეთის მიერ საქართველოს სუვერენული მიწების უკანონო ოკუპაცია".

**შესაძლებელია თუ არა „სამეზობლოს მშვიდობიანი ინიციატივის" განხორციელება, როდესაც მეზობლად არ განიხილავ ჩრდილოელ მეზობელს — რუსეთს? ვის მიმართა ღარიბაშვილმა გაეროს ტრიბუნიდან და ვინ შეიძლება საქართველოს ინიციატივას მხარი დაუჭიროს — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრებიან პოლიტოლოგები — სოსო ცინცაძე და რევაზ კილასონია.**



## „ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა დასვას ღარიბაშვილმა ერთ მაგიდასთან აზერბაიჯანი და სომხეთი"

**სოსო ცინცაძე, პოლიტოლოგი:**

— საქართველოს პრემიერმინისტრის გამოსვლაში არაფერია ისეთი, რაზეც აქ, საქართველოში, არ უსაუბრია, თანაც, ჩვენი ქვეყნის პრემიერმინისტრმა ისეთი რა უნდა თქვას გაეროს სამიტზე, რომ სალაპარაკოდ ღირდეს?

ღარიბაშვილი მედიასთან წინასაარჩევნოდ ძალიან აქტიურია და, რასაც ფიქრობს, რის გაკეთებესაც აპირებს, ყველაფერზე საუბრობს. აქედან გამომდინარე, უკვე ვიცოდი, რაზე ილაპარაკებდა გაეროში.

**— ბატონო სოსო, ღარიბაშვილი გაეროში გამოვიდა „სამეზობლოს მშვიდობიანი ინიციატივის" განხორციელების წინადადებით, ოღონდ ამ სამეზობლოში მხოლოდ სამხრეთ კავკასიის ქვეყნები და საერთაშორისო პარტნიორები შევლენ...**

— იდეა კარგია — ომის საფრთხის თავიდან აცილება და სამეზობლოში კეთილგანწყობის დათესვა, მაგრამ ეს იდეაა და თანაც არ არის სიახლე, ამგვარი ინიციატივა ბევრი ყოფილა. სიმართლე გითხრათ, ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა დასვას ღარიბაშვილმა ერთ მაგიდასთან აზერბაიჯანი და სომხეთი. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ამ სახელმწიფოებიდან ღარიბაშვილის ინიციატივას აქამდე არ მოჰყოლია გამოხმაურება. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რას იტყვის რუსეთი. რეალობა სულ სხვაა, რეალობას არ უნდა მოვწყდეთ.

გაეროს სამიტზე მნიშვნელოვანი განცხადება ამერიკის პრეზიდენტსაც არ გაუკეთებია და ღარიბაშვილის ინიციატივა რა სალაპარაკოა? ეს ხომ მხოლოდ ინიციატივაა? ჩვენ ვისაუბროთ იმაზე, რა არის გენერალური ასამბლეის მიზანი და ფუნქცია. მსოფლიოს ლიდერები შეთანხმდნენ ერთ რამეზე: გაეროს ასამბლეა არის „შეხვედრათა სახლი". ეს მოსახერხებელია, რადგან ორი სახელმწიფო, რომლებიც მოსალაპარაკებლად ერთმანეთთან არ ჩავლენ, ხვდებიან გაეროს ასამბლეაზე.

**„ღარიბაშვილის „ჯერ არნახულ და არგაგონილ" გამოსვლებზე სახელისუფლო არხებმა დაფით და ნაღარით გვამცნეს, მაგრამ, სამწუხაროდ, არფერი თქვეს იმაზე, როგორი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარებაა ქვეყანაში. აქედან გამომდინარე, არაფრის მომცემია ჩვენი ქვეყნის მმართველების და, მით უმეტეს, პრემიერის გაფეტიშება. ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება ბიძინა ივანიშვილის ბაგასაა გამობმული. მათი ყველა სიტყვა საკუთარი ამომრჩევლის მოსასყიდადაა გამიზნული"**

გაეროში ღარიბაშვილმა მნიშვნელოვანი რა უნდა თქვას. სომხეთსა და აზერბაიჯანს ერთმანეთთან დიპლომატიური ურთიერთობა არ აქვთ, გარდა ამისა, საქართველოც არ არის იმ მდგომარეობაში და ისეთი სტაბილური ქვეყანა, რომ განახორციელოს „სამეზობლოში მშვიდობიანი ინიციატივა".

**— პრემიერმინისტრის იდეა ცუდი არ არის, მაგრამ მან მხოლოდ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს უხმო სამეზობლოდ, ხოლო ჩრდილოელი მეზობელი უარყო, მერე კი მსოფლიოს მიმართა თხოვნით, „დავასრულოთ რუსეთის მიერ საქართველოს სუვერენული მიწების უკანონო ოკუპაცია"-ო...**

— ღარიბაშვილის ყოველი სიტყვა არის „მიმართვა მიმართვისათვის". ვინ უნდა დაგვეხმაროს? — ასამბლეის წევრების ნახევარზე მეტს საერთოდ არ ენაღვლება, რა ხდება საქართველოში, ყველას თავისი გასჭირვებია.

გაეროს ასამბლეამ მნიშვნელობა დაკარგა. ყველას კარგად გვახსოვს, რომ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში თვითონ შევარდნაძე ბოლო სამ-ოთხ ასამბლეას შეგნებულად არ დასწრებია, ის საგარეო საქმეთა მინისტრს გზავნიდა. იქ არაფერი ხდებოდა და შევარდნაძემ ეს კარგად იცოდა, ამიტომ არ ღირს ამაზე აჟიოტაჟის შექმნა — ეს რა მაგარი პრემიერი გვყავს და მაგარი სიტყვა თქვაო.

**გაეროს ასამბლეის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია მისი დასაწყისი, როდესაც დიდი ქვეყნების მმართველები გამოდიან, დანარჩენი არაფერია საინტერესო. მათი გამოსვლის შემდეგ, ჩვენნაირი ქვეყნის მმართველი ღარიბაშვილი კი არა, ბისმარკიც რომ იყოს, არავინ მოუსმენს, არავის არ აინტერესებს, რადგან კრეატიულს ვერაფერს იტყვის.**

ღარიბაშვილი არის ერთი პატარა ქვეყნის პრემიერი, რომელიც ჩაფლულია პანდემიაში და წინასაარჩევნო ბაკქანალიაში. ჩვენ სტაბილური ქვეყანა არ ვართ. **საქართველო, ალბათ, მსოფლიოს პირველ ათეულში შედის შიდა დაპირისპირების მხრივ. ვერ ვიხსენებ ქვეყანას, რომელშიც მსგავსი რამ ხდება. აქ იდეისთვის ბრძოლა არ მიმდინარეობს, აქ ზიზღია და უსაქციელობა. 30 წლის განმავლობაში შევქმენით ისეთი ისტორია, რომ, წარსულში თუ რაიმე დიდებული გვქონდა, აღარც კი მჯერა. ჩვენმა ქვეყანამ ვერ გამოზარდა პოლიტიკოსები. რასაც ისინი სჩადიან, აფრიკაშიც კი არ ხდება. 1960-იან წლებში დამოუკიდებლობა რომ მოიპოვეს, ის უმწიფარი აფრიკელი პოლიტიკოსები ჯობნიან ქართველებს.**

საქართველოში დიდი აჟიოტაჟი შექმნეს გაეროს ასამბლეის გამო, მაგრამ მე არაფრის მოლოდინი არ მქონია და ეს საუბრის დასაწყისშივე გითხარით. რეალობაა ისეთი მსოფლიოში, რომ არაფერი ახალი არ ხდება. **მსოფლიო გადანაწილებულია და მხოლოდ გასაფორმებელია ეს გადანაწილება. ამიტომ იმაზე ფიქრი, რომ ამაღამ დავიძინებ და ხვალ სხვა რეალობაში გავიღვიძებ, სისულელეა, ჯადოსნური ჯოხი არ გვაქვს.** გაეროს ფასი კარგად ვიცი და მისი მოვალეობაც. ეს ორგანიზაცია დაძველდა. ჩვენ ვხედავთ, როგორ ქვეყანაში ვცხოვრობთ, ვინც არ უნდა იყოს ჩვენი პრემიერი, გაეროში ვერაფერს გააკეთებს.



## „რუსეთის გარეშე სამხრეთ კავკასიაში ვინ რა უნდა გააკეთოს?!"

**რევაზ კილასონია, პოლიტოლოგი:**

**— ამიერკავკასიის რეგიონში რუსეთის, ამერიკისა და თურქეთის გარეშე არაფერი არ ხდება და ღარიბაშვილის ინიციატივა, რომ სამეზობლოში სამშვიდობო „რაღაც" შექმნას, თან ისე, რომ ეს სახელმწიფოები არ ჩაერიონ, სისულელეა.** მის ინიციატივას აქამდე არავინ გამოხმაურებია და თავისი აზრი არც ერთ მეზობელს არ გამოუთქვამს. ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია პრემიერის ინიციატივა სამეზობლოში მშვიდობიანი გარემოს შექმნაზე, ის უფრო ამომრჩეველზე გავლენის მოპოვების მცდელობას ჰგავს. ღარიბაშვილი ცდილობს, ამომრჩეველს აჩვენოს, რომ დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებს. ეს უსუსური მცდელობაა. **რუსეთის გარეშე სამხრეთ კავკასიაში ვინ რა უნდა გააკეთოს?!**

რეგიონში ძალიან დიდი დაძაბულობაა და გამორიცხულია, აზერბაიჯანი და სომხეთი ერთად დასხდნენ. ის, რომ ღარიბაშვილი ტყვეების გაცვლაში დაეხმარა ორ ქვეყანას, არაფერს ნიშნავს. ეს მას დაავალეს, რადგან პრაქტიკაში ასე ხდება — ტყვეების გაცვლაში მესამე ქვეყანა უნდა ჩაერიოს. ეს იყო და ეს, ღარიბაშვილს თავისით დიდი არაფერი გაუკეთებია.

**— ღარიბაშვილმა გაეროს ტრიბუნიდან რუსეთის ოკუპაციისგან დაცვა სთხოვა მსოფლიოს და ეს მაშინ, როდესაც მას მეზობლადაც კი არ თვლის, როგორც მისი ე.წ. სამშვიდობო ინიციატივიდან ჩანს...**

— გაეროს ტრიბუნიდან ვის რა უნდა მოუწოდო, რა ინიციატივით უნდა გამოვიდეს ჩვენი ქვეყანა, რომ ყურადღება მოგვაქციონ? საქართველო კობახიძეების დონეზეა დასული, ხალხო, ნუთუ, ეს არ გვესმის?!

გაერო ბუტაფორიაა, ის გადაწყვეტილებებს ვერ იღებს, ამ შეხვედრებს შედეგი არ მოჰყვება. ღარიბაშვილის მიმართვა, რომ დაეხმარონ რუსეთის ოკუპაციისგან თავის დაღწევაში, არაფრის მომტანია ისეთი შეხვედრაზე, რომელიც არაფერს ნიშნავს.

მსოფლიოში უკვე დაწყებულია ძალთა გადანაწილება. რეალური პოლიტიკა გაეროსა და ნატოს მიღმა წყდება. რამდენიმე დღის წინათ გაფორმდა შეთანხმება ავსტრალია-დიდი ბრიტანეთი-ამერიკის სამხედრო თანამშრომლობის შესახებ. მათ თამაშგარე მდგომარეობაში დატოვეს ნატო. ეს არის წარმოუდგენელი გეოპოლიტიკური მოცემულობა. ასეთი ფაქტების შემდეგ პატარა ქვეყნის პრემიერის მიმართვა გაეროს მაღალჩინოსნებისადმი რად უნდა ღირდეს?

გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრი ქვეყანა მართავს მსოფლიოს და მათ შესწევთ ძალა. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **სერგეი ლავროვმა** ახლახან თქვა კიდეც, რომ მზადდება ამ ხუთი ქვეყნის შეხვედრა.

**— გაეროს ასამბლეაზე პრემიერის გამოსვლა, მისი ინიციატივები მედიის ინტერესის სფეროში მოხვდა...**

— ღარიბაშვილის „ჯერ არნახულ და არგაგონილ" გამოსვლებზე სახელისუფლო არხებმა დაფით და ნაღარით გვამცნეს, მაგრამ, სამწუხაროდ, არაფერი თქვეს იმაზე, როგორი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარებაა ქვეყანაში. აქედან გამომდინარე, არაფრის მომცემია ჩვენი ქვეყნის მმართველების და, მით უმეტეს, პრემიერის გაფეტიშება. ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება ბიძინა ივანიშვილის ბაგასაა გამობმული. მათი ყველა სიტყვა საკუთარი ამომრჩევლის მოსასყიდადაა გამიზნული.

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

**P.S. ცოტა ხნის წინათ ყარაბაღის ომმა კარგად დაგვანახვა, ვის აქვს სურვილი და შესწევს ძალა, უზრუნველყოს მშვიდობა და სტაბილურობა ამიერკავკასიაში... და როცა ღარიბაშვილი რაღაც სამშვიდობო ინიციატივებს აყენებს და რუსეთს მეზობლადაც არ მოიხსენიებს, ეს ან იაფფასიანი პოპულიზმი და ევროპა-ამერიკის მაამებლობაა, ან კიდევ სრული პოლიტიკური უვიცობა.**

**„საქართველო, ალბათ, მსოფლიოს პირველ ათეულში შედის შიდა დაპირისპირების მხრივ. ვერ ვიხსენებ ქვეყანას, რომელშიც მსგავსი რამ ხდება. აქ იდეისთვის ბრძოლა არ მიმდინარეობს, აქ ზიზღია და უსაქციელობა. 30 წლის განმავლობაში შევქმენით ისეთი ისტორია, რომ, წარსულში თუ რაიმე დიდებული გვქონდა, აღარც კი მჯერა. ჩვენმა ქვეყანამ ვერ გამოზარდა პოლიტიკოსები. რასაც ისინი სჩადიან, აფრიკაშიც კი არ ხდება. 1960-იან წლებში დამოუკიდებლობა რომ მოიპოვეს, ის უმწიფარი აფრიკელი პოლიტიკოსები ჯობნიან ქართველებს"**

**ბიზნესმენებმა საუბარი რომ დაიწყონ რუსეთთან დიალოგსა და ურთიერთობის მოგვარებაზე, მაშინვე მოღალატეებად გამოაცხადებენ და იგივე მოხდება ხელისუფლების შემთხვევაშიც — ოპოზიცია აუცილებლად იტყვის, რომ მთავრობამ გაბედა და მტერს საუბარი გაუბა. არადა, საქმე სასიცოცხლოდ (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) აუცილებელ პროდუქტს ეხება და ასეთ შემთხვევაში ყველა დიდი ქვეყანა ნებისმიერ პრობლემას განზე სწევს და დიალოგს იწყებს, მაგრამ ჩვენ ამის უფლება წართმეული გვაქვს და წართმეული გვაქვს დასავლეთისგან, იმ დასავლეთისგან, რომელიც მხოლოდ სიტყვით, ქაღალდზეა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი.**

პური ჩვენი არსობისა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ხელისუფლება ხორბლისა და ფქვილის მთავარ მომწოდებელთან მოლაპარაკებას დასავლეთის შიშით ვერ ბედავს

## ოქტომბრის ბოლოს პური ძალიან გაძვირდება

**2007 წელს მსოფლიო ბაზარზე ერთი ტონა ხორბლის ფასი 300 დოლარს ასცდა და იმხანად ამბობდნენ, რომ მსოფლიოს განვითარებადი (საუბარი არ იყო რანგით უფრო დაბალ ქვეყნებზე) ქვეყნები შიმშილის საფრთხის წინაშე დადგებოდნენ, რადგან ისინი, უბრალოდ, ვერ მოახერხებდნენ საჭირო ოდენობის ხორბლის შეძენას. შემდეგ ფასი დარეგულირდა და აგერ, ახლაც, ერთი ტონა ხორბლის ფასი კვლავ 300 დოლარს ასცდა. ექსპერტები ამბობენ, რომ ეს ფსიქოლოგიური ნიშნულია, რომლის იქით შიმშილი ჩანს. ხორბლის გაძვირების ერთ-ერთ მიზეზად ჩრდილოეთ ამერიკაში ხანგრძლივ გვალვასა და რუსეთში გაზაფხულის ყინვებს ასახელებენ. თუმცა, იქვე აღნიშნავენ, რომ ბოლო ხუთ წელიწადში რუსეთის ფედერაციამ ახალი ფართობები აითვისა, ყოველწლიურად რეკორდულ მოსავალს იღებს და ამის გამო ფასი, ასე თუ ისე, „დაჭერილია“.**



**დასავლეთი ყველაფერს აკეთებს, რომ არ გვერქვას რუსეთის (მეგობარი თუ არა) პარტნიორი ქვეყანა; არ გვერქვას ოფიციალურად, თორემ, როცა ქართული პროდუქციის მთავარი გამსაღებელი რუსეთია, როცა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროდუქტის ასი პროცენტი რუსეთიდან შემოგვაქვს, პარტნიორობა ჰქვია, აბა, რა?!**

მიმდინარე პროცესების პარალელურად, ყველა ქვეყანა ცდილობს, რაც შეიძლება მეტი სარგებელი ნახოს. ამერიკას თავი ქუდში აქვს, სხვადასხვა ქვეყანასთან გაფორმებული მრავალწლიანი კონტრაქტები იმაზე მიანიშნებს, რომ შტატებს გასაღების პრობლემა არ ექნება და, რაც მთავარია, ამერიკა ხორბლის 97%-ზე მეტს განვითარებულ ქვეყნებს მიაწვდის, ანუ მათ, ვისაც გაძვირებული პროდუქტის შესყიდვაც შეუძლია. რა თქმა უნდა, **ამერიკის სიაში არ არის „სტრატეგიული პარტნიორი“ საქართველო. ჩვენ პურისთვის საჭირო ხორბალიცა და ფქვილიც მთლიანად რუსეთიდან შემოგვაქვს. აი, ამერიკისგან განსხვავებით, რუსეთმა სხვა მიმართულება აირჩია და ადგილობრივი წარმოების წახალისება გადაწყვიტა, რომელიც შედეგს აუცილებლად მოიტანს — გარდა იმისა, რომ ფქვილი ადგილობრივ ბაზარზე იაფი იქნება, ეს მიმართულება დამატებით სამუშაო ადგილებსაც შექმნის.**

„რუსეთმა ე.წ მცურავი ბაჟის შემოღებით წაახალისა ადგილობრივი წარმოება. რუსეთიდან იმპორტირებულ ფქვილსა და ხორბალს შორის დამატებით ბაჟის შემოღებიდან გამომდინარე საკმაოდ დიდი სხვაობაა. ეს დაახლოებით 52 დოლარის ფარგლებშია. აქედან გამომდინარე, საქართველოში ადგილობრივ წარმოებას შეექმნა პრობლემა. ამ ფასთა შორის სხვაობის გამო წისქვილკომბინატებს გაჩერება მოუწევთ. წარმოების გაჩერება ჯაჭვურად გამოიწვევს დიდ პრობლემებს: სახელმწიფო უსაფრთხოების კუთხით იმას, რომ არ იქნება არც ფქვილის და არც ხორბლის რეზერვი. ფქვილს აქვს ასევე დამატებითი პროდუქტი — ქატო, მეცხოველეობასაც შეექმნება პრობლემა, რადგან გაძვირდება აღნიშნული პროდუქტიც. კომპლექსურად უნდა გადაიხედოს, რა გვინდა, რადგან დარგში 5 ათასამდე დასაქმებულია, რომლებიც, ფაქტობრივად, უმუშევარი დარჩებიან“, — ეს განცხადება საქართველოს ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციამ გაავრცელა.

**„ასეთი კრიზისის თავიდან ასაცილებლად ჩვენმა მეზობელმა თურქეთმა ხორბლის იმპორტის ბაჟი გააუქმა, რათა შეენარჩუნებინა სამუშაო ადგილები, თავისი ხორბლის მარაგები და შესაბამისად — პურის ფასი. აზერბაიჯანმა მთლიანი ჯაჭვი გაათავისუფლა დღგ-ისგან და დაუმატა ასევე ფულადსაკრედიტო წახალისების ფორმა. მათ ასევე დაბლოკეს ფქვილის გამოტანა გარეთ. ამით ისინი საკუთარ სასურსათო უსაფრთხოებას იცავენ“,** — აცხადებს მეხორბლეთა ასოციაციის ხელმძღვანელი ლევან სილაგავა.

სად არის გამოსავალი? **როგორც წესი, საქართველოში პრობლემებზე ხანგრძლივი მსჯელობა მიმდინარეობს ხოლმე. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ხელისუფლება ელოდება პრობლემის თავისით მოგვარებას.** აბა, როგორ არ გავიხსენოთ, როცა პრემიერმა შესაბამის უწყებას პირდაპირ ეთერში დაავალა პურის გაძვირების მიზეზის შესწავლა და ოფიციალური პასუხი 8 თვის შემდეგ გვამცნეს. ეს მოხდა პრემიერის დავალების შემდეგ და ხომ წარმოგიდგენიათ, სხვა დავალებები როგორ სრულდება. დღევანდელი მდგომარეობით, **ბაზარზე ერთი ტომარა პირველი ხარისხის ფქვილის ფასი 68-დან 72 ლარამდე მერყეობს. პარალელურად, მსოფლიო ბაზრებზე ხორბალზე ფასის შემცირების მოლოდინი არ არსებობს. ბიზნესის გათვლებით, ეს ლოგიკურად გამოიწვევს ფქვილზე ფასის მომატებას.**

**საქართველოში ფქვილის შემომტანები ბაჟისგან გათავისუფლებულნი არიან, ხორბალზე კი ბაჟია დაწესებული. ლოგიკურად, პურის ფქვილისთვის საჭირო ხორბლის შემოტანაც ბაჟის გარეშე უნდა ხდებოდეს, ეს თანაბარ პირობებში ჩააყენებს ყველას, მაგრამ ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო ბიუჯეტი ზარალობს. რატომღაც გვგონია, რომ ხორბალზე ბაჟის განულების ნაცვლად ფქვილზე შემოიღებენ გადასახადს, ეს კი ავტომატურად გამოიწვევს ფასის ზრდას და პურ-პროდუქტები აუცილებლად გაძვირდება.** ის, რომ პური საქართველოს მოსახლეობის მთავარი საკვები პროდუქტია, შეხსენება არ გვჭირდება. აქვე ისიც გავიხსენოთ, რომ **აგვისტოში საარსებო მინიმუმის მიმღებთა რაოდენობამ 622 266 ადამიანამდე მოიმატა, ეს რეკორდული მაჩვენებელია. ანუ, ამდენ ადამიანს სახელმწიფო ყოველთვიურად უხდის თანხას, რათა ისინი შიმშილით არ დაიხოცონ და გადახდილი თანხის ძირითადი ნაწილი სწორედ მხოლოდ პურის საყიდლად იხარჯება. აღნიშნულმა თანხამ აგვისტოში 42 482 172 ლარი შეადგინა და, თუ ამ ტემპით გაგრძელდება, გაისად წლიურად საარსებო მინიმუმისთვის, ყველაზე ცოტა, ნახევარი მილიარდი ლარის გამოყოფა მოგვიწევს, ეს კი ბიუჯეტს უმძიმეს ტვირთად დააწვება.**

გამოსავალი რამდენიმეა: **პირველია** ის, რომ ხორბალი და ფქვილი თითქმის ერთ საგადასახადო სისტემაში მოექცეს და თანაბრად დაიბეგროს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში პურის გაძვირებას ვერ ავცდებით; **მეორე** — ორივე შემთხვევაში გადასახადი განულდეს, თუმცა ეს ბიუჯეტს დაარტყამს და სახელმწიფოს შემოსავალი მოაკლდება; **მესამე და ყველაზე რეალური** — დავილაპარაკოთ რუსეთთან და ხორბალიცა და ფქვილიც მივიღოთ იმ ფასში, რომელსაც ჩრდილოელი მეზობელი თავის მეგობარ ქვეყნებს აძლევს. მათთვის სხვა ფასია დაწესებული და პურის გაძვირების თემა იქ დახურულია. სამწუხაროდ, არც ხელისუფლება და არც ბიზნესმენები მესამე გამოსავალს ვერ თუ არ ახსენებენ. **ბიზნესმენებმა საუბარი რომ დაიწყონ რუსეთთან დიალოგსა და ურთიერთობის მოგვარებაზე, მაშინვე მოღალატეებად გამოაცხადებენ და იგივე მოხდება ხელისუფლების შემთხვევაშიც — ოპოზიცია აუცილებლად იტყვის, რომ მთავრობამ გაბედა და მტერს საუბარი გაუბა. არადა, საქმე სასიცოცხლოდ (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) აუცილებელ პროდუქტს ეხება და ასეთ შემთხვევაში ყველა დიდი ქვეყანა ნებისმიერ პრობლემას განზე სწევს და დიალოგს იწყებს, მაგრამ ჩვენ ამის უფლება წართმეული გვაქვს და წართმეული გვაქვს დასავლეთისგან, იმ დასავლეთისგან, რომელიც მხოლოდ სიტყვით, ქაღალდზეა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი, თორემ, როცა დაგვჭირდა მათი დახმარება, დაყრუვდნენ, დაბრმავდნენ, დამუნჯდნენ და ხელი არასდროს, ვიმეორებ, არასდროს არ გაგვიმართეს.**

მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე, სულ ცოტა, მომდევნო ათი წლის განმავლობაში, ვერ ვნახავთ სხვა ქვეყანას, რომლიდანაც საჭირო რაოდენობის ხორბლისა და ფქვილის შემოტანას მოვახერხებთ. როცა საქმე პურს ეხება, ყველა ქვეყანა ცდილობს, პრობლემა ათწლეულობით მოაგვაროს და მოგვარებულიც აქვთ. ჩვენ კი ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების მმართველობის პერიოდში გვქონდა მცდელობა, ხორბალი და ფქვილი ევროპიდან და ამერიკიდან შემოგვეტანა, მაგრამ დასავლეთს ვინ ჩივის, უკრაინამაც კი უარი გვითხრა, რადგან უკრაინელებსაც საკუთარი ხორბალი განვითარებულ ქვეყნებში შეაქვთ და საქართველოს აკიდება, უბრალოდ, ხელს არ აძლევთ, წამგებიანია.

**რამდენიმე დღეში თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდება. პოლიტიკური დუღილის ტემპერატურა მაქსიმუმზეა ასული და რეალურად არავინ იცის, რა გეგმა აქვს დასავლეთს საქართველოს მიმართ. ხელისუფლების შეცვლის მცდელობა რომ ჰქონდა ევროპასა და ამერიკას, ნათლად გამოჩნდა, მაგრამ ამის გაკეთება ამომრჩეველმა არ დაანება. მცდელობა ახლაც იქნება და იმედია, კვლავ საღი აზრი გაიმარჯვებს და ხალხის ნება კვლავ უზენაესი იქნება.** არაერთი მოწოდების მიუხედავად, არჩევნების პარალელურად, ხელისუფლებამ არ ინება და არ ჩაატარა რეფერენდუმი, რომელიც ხალხის ნებას გამოხატავდა საგარეო კურსზე. ჰოდა, იქნებ არჩევნების შემდეგ მაინც სცადოს ხელისუფლებამ რუსეთთან ურთიერთობის, კონკრეტულად კი აღნიშნული პრობლემის მოგვარება. სხვაგვარად, ყველა პროგნოზით, ოქტომბრის ბოლოს პური ძალიან გაძვირდება და ისედაც ღარიბი მოსახლეობა უფრო გაღარიბდება. დასავლეთი ყველაფერს აკეთებს, რომ არ გვერქვას რუსეთის (მეგობარი თუ არა) პარტნიორი ქვეყანა, არ გვერქვას ოფიციალურად, თორემ, როცა ქართული პროდუქციის მთავარი გამსაღებელი რუსეთია, როცა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროდუქტის ასი პროცენტი რუსეთიდან შემოგვაქვს, პარტნიორობა ჰქვია, აბა, რა?

ბიზნესმენების გასაგონად ვიტყვით — მათ ხომ ყველაზე კარგად იციან, რა და როგორ ხდება. ნუ შეშინდებიან, გამოვიდნენ, ხმამაღლა თქვან, რომ არამარტო მათი ბიზნესის, არამედ ქვეყნის გადასარჩენად აუცილებელია რუსულ მხარესთან საუბარი, მოლაპარაკება, შეთანხმება ისეთ დეტალებზე, რომლებიც ერთი შეხედვით ძალიან მარტივი გადასაჭრელია, მაგრამ იქამდე ვერ მივდივართ, არ გვიშვებენ.

საბედნიეროდ, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა მორწმუნეა და დღეში ერთხელ მაინც „მამაო ჩვენოს“ ხმამაღლა თუ არა, გულში მაინც კითხულობს. ჰოდა, ბევრს კი არაფერს ვითხოვთ, „პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს...“ ხვალ კი არა, ბატონებო, დღეს, რადგან ხვალ შეიძლება აღარც იყოს.

**ბესო ბარბაქაძე**

მოვლენის კვალდაკვალ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მიუხედავად იმისა, რომ 30-ზე მეტი ადამიანი აბსურდული ბრალდებით დააკავეს და პროკურატურა ყველანაირად ცდილობს, კიდევ უფრო დაუმძიმოს მათ მდგომარეობა, ამერიკის ელჩი მაინც არ არის კმაყოფილი. ის ამბობდა, რომ მეტი სიმკაცრეა საჭირო და კიდევ უფრო პრინციპული უნდა იყოს მართლმსაჯულება, ანუ, პრაქტიკულად, ხელისუფლებას თითს უქნევდა, რატომ უფრო მეტ ადამიანს არ იჭერთო“.**

## 26 სექტემბერს პარლამენტის წინ ლიბერალურ-სოდომისტური სისტემის პატიმრების გათავისუფლების მოთხოვნით აქცია გაიმართა

# გაათავისუფლებს თუ არა ხელისუფლება 5-6 ივლისის მოვლენების შემდეგ აბსურდული ბრალდებებით დაკავებულ პირებს თუ აშშ-ის ელჩის მითითებით მათ შეუსაბამო სასჯელს გამოუტანს

**26 სექტემბერს რუსთაველზე, პარლამენტის შენობასთან, „ალტ-ინფოს“ ორგანიზებით გაიმართა აქცია ერთადერთი მოთხოვნით: გათავისუფლდნენ 5-6 ივლისის მოვლენების შემდეგ აბსურდული ბრალდებებით დაკავებული პირები. აქციაზე ასობით მოქალაქე იმ სურვილით მივიდა, რომ ხელისუფლებას ხალხის მოთხოვნა შეესმინა, მაგრამ, როგორც ზოგიერთი დაკავებულის ოჯახის წევრებმა, ახლობლებმა და ადვოკატებმა განაცხადეს, მართლმსაჯულების მხრიდან ობიექტურობის იმედი არ აქვთ, თუნდაც იმიტომ, რომ სასამართლო ხელისუფლებისგან გარკვეულ წნეხს განიცდის, ხოლო ხელისუფლება, თავის მხრივ, ამერიკის საელჩოსგან...**
**აქციის დასრულების შემდეგ ზემოაღნიშნული საკითხის შეფასება ვთხოვეთ „ალტ-ინფოს“ დამფუძნებლებს — შოთა მარტინენკოსა და გიორგი ქარდავას, აგრეთვე, უფლებადამცველი ორგანიზაციების ხელმძღვანელებს — ნიკოლოზ მჟავანაძესა და ნანა კაკაბაძეს.**



### „კამერიანი და მიკროფონიანი პროვოკატორები მოდიოდნენ და ხელოვნურად ქმნიდნენ ისეთ ვითარებას, რომ ვინმე წყობილებიდან გამოეყვანათ“

**შოთა მარტინენკო, „ალტ-ინფოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი:**

— აქციის მონაწილეთა მოთხოვნა ცნობილია. ჩვენ ვითხოვთ, გაათავისუფლონ 5-6 ივლისის მოვლენების შემდგომ აბსურდული ბრალდებებით დაკავებული პირები. მოგეხსენებათ, **დაკავებულია 30-ზე მეტი ადამიანი და მათ მიმართ საქმეები აღძრულია არაადეკვატური, არასამართლიანი მუხლებით. გამოძიება ცდილობს, საქმე ისე წაიყვანოს და ყველაფერი ისე წარმოაჩინოს, თითქოს ორგანიზებული ძალადობა მოხდა. არადა, მთელი რიგი გარემოებებითა და ფაქტებით დასტურდება, რომ დაკავებულების უმეტესობა საერთოდ არ იცნობდა ერთმანეთს. ცხადია, პროკურატურას ეს ყველაფერი იმისთვის სჭირდება, რომ ბრალი დაამძიმოს.** მოტივი გასაგებია, რა თქმა უნდა, ყველა კარგად ვხვდებით, რომ ასეთი მიკერძოებული და ხელოვნურად დამძიმებული, არასამართლიანი გადაწყვეტილების მიღმა გარე ძალებიც დგანან. ცხადია, პირველ რიგში, **ვგულისხმობ ამერიკის საელჩოს, რომელიც პირდაპირ, ღიად აკრიტიკებდა ხალხს იმისთვის, რომ არ დაუშვეს ლგბტ პრაიდის აღლუმის ჩატარება და ხელისუფლებისგან „მოძალადეების“ უმკაცრესად დასჯას მოითხოვდა.** რაც შეეხება უშუალოდ 5-6 ივლისის მოვლენებს, ყველა კარგად ხედავდა, როგორ იქცეოდნენ იმ დღეს ე.წ. ლიბერალური მედიის წარმომადგენლები — როგორ ცდილობდნენ საზოგადოების გაღიზიანებას. კამერიანი და მიკროფონიანი პროვოკატორები ხელოვნურად ქმნიდნენ ისეთ ვითარებას, რომ ვინმე წყობილებიდან გამოეყვანათ. აი, ზუსტად მათ ამგვარ ქმედებებს მოჰყვა შეხლა-შემოხლა და დაპირისპირება, მაგრამ ის მუხლები, რომლებიც პროკურატურამ დაკავებულების მიმართ გამოიყენა, აბსოლუტურად არასამართლიანი და ხელოვნურად დამძიმებულია. ჩვენ, რა თქმა უნდა, საზოგადოებასთან ერთად ამ თემას უყურადღებოდ არ დავტოვებთ და, სანამ ეს პატრიოტი ბიჭები ციხეში რჩებიან, ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ისინი ძალიან მალე დაუბრუნდნენ თავიანთ ოჯახებს.



### „სად მიიყვანს ხელისუფლებას ეს მახინჯი პოლიტიკა, მალე ნახავს!“

**გიორგი ქარდავა, „ალტ-ინფოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი:**

— ქვეყანაში, სადაც 20 ივნისს პარლამენტზე შტურმის მიმტანი ადამიანები დაუსჯელები არიან და არათუ დაუსჯელები არიან, ისევ რევოლუციითა და დესტრუქციით ხელისუფლების სათავეში დაბრუნებით იმუქრებიან, ცხადია, ამ პატრიოტი ადამიანების ციხეში ყოფნა უსამართლობის ზეიმია. ამით, ფაქტობრივად, არსებული სისტემა გვეუბნება, რომ აქ, ამ ქვეყანაში, გარედან თავსმოხვეული ლგბტ სიბინძურისგან ეროვნული ღირსებისა და ფასეულობების დაცვა არ შეიძლება და ხმა არ უნდა ამოვიღოთ, თორემ მკაცრად დავისჯებით. ცხადია, ამას არავინ შეეგუება და სად მიიყვანს ხელისუფლებას ეს მახინჯი პოლიტიკა, მალე ნახავს.

რაც შეეხება უშუალოდ აქციას, **რა თქმა უნდა, აქცია ძალიან მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ყველამ ერთად დაკავებულების მიმართ კიდევ ერთხელ გამოვხატოთ სოლიდარობა. ამ ბიჭებმა, კიდევ გავიმეორებ, თავიანთი თავისუფლების ფასად გააკეთეს უმნიშვნელოვანესი საქმე და, რომ არა ასეთი ხალხი, იმ გარედან დაფინანსებულ ლგბტ ლიბერალებს, რომლებმაც 5 ივლისს ე.წ. ღირსების მარში პროვოკაციულად დააანონსეს, შესაძლოა, მიეღწიათ კიდეც დასახული მიზნისთვის.**

ხელისუფლებას უნდა ესმოდეს, რომ ამ ხალხის ციხეში ჩასმით ძალიან ბევრს კარგავს, კარგავს მის ისედაც განულებისკენ მიმავალ რეიტინგს, ამიტომ ეს ყველაფერი მისთვის დამაფიქრებელი უნდა იყოს, მით უფრო იმ ფონზე, როცა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები რამდენიმე დღეში გაიმართება...



### „30 წელია, სისხლს სწოვენ საქართველოს და ყველაფერს აკეთებენ, რათა ამ ქვეყანაში აღარაფერი დარჩეს ეროვნული, ტრადიციული და ქრისტიანული“

**ნიკოლოზ მჟავანაძე, უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე:**

— **5-6 ივლისის მოვლენების შემდეგ დაკავებული ახალგაზრდები საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის, კელი დეგნანის, პირადი პატიმრები არიან.** ამასთანავე, ისინი არიან დასავლეთის გლობალისტური ცენტრების, ევროკავშირის წარმომადგენლობის, უცხოეთიდან დაფინანსებული ე.წ. მესამე სექტორის, ლგბტ თემისა და ვითომ უფლებადამცველი საერთაშორისო ორგანიზაციების პატიმრები. დღეს მე ნამდვილად არ მერიდება ამის თქმის და, რასაც ვამბობ, ვამბობ სრული პასუხისმგებლობით: 30 წელია, ესენი სისხლს სწოვენ საქართველოს და ყველაფერს აკეთებენ, რათა ამ ქვეყანაში აღარაფერი დარჩეს ეროვნული, ტრადიციული, ფასეული და, რაც მთავარია, არაფერი დარჩეს ქრისტიანული. რეალურად ეს ძალებია მთელი ამ ლიბერალური რეპრესიების მამოძრავებელი და არავის ეგონოს, რომ ის, რასაც ჩვენ დღეს ვხედავთ, მხედველობაში მაქვს ჯანსაღი, კონსერვატიული საზოგადოების დევნა, რამე კავშირშია რეალურ სამართლებრივ პროცესთან. სხვათა შორის, **მიუხედავად იმისა, რომ 30-ზე მეტი ადამიანი აბსურდული ბრალდებით დააკავეს და პროკურატურა ყველანაირად ცდილობს, კიდევ უფრო დაუმძიმოს მათ მდგომარეობა, ამერიკის ელჩი მაინც არ არის კმაყოფილი. ის ამბობდა, რომ მეტი სიმკაცრეა საჭირო და კიდევ უფრო პრინციპული უნდა იყოს მართლმსაჯულება, ანუ, პრაქტიკულად, ხელისუფლებას თითს უქნევდა, რატომ უფრო მეტ ადამიანს არ იჭერთო.** რაც შეეხება ხელისუფლებას, მმართველმა გუნდმა, სამწუხაროდ, ვერ გაუძლო წნეხს და შეასრულა დავალება, მაგრამ შედეგად მიიღო კიდევ უფრო გაღიზიანებული, უკმაყოფილო საზოგადოება. ეს უკმაყოფილება პირდაპირპროპორციულია ხელისუფლების ისედაც არასახარბიელო რეიტინგის შემცირების... უკვე დიდი ხანია, ამ ქვეყანაში სამართლებრივი კუთხით ორმაგ სტანდარტებს ვხედავთ, რომელმაც საზოგადოებაში, პრაქტი- ▶



**«ჟორიკა რურუას პოლიტპატიმრად რომ გამოგიცხადებენ, ნიკა მელიას ევროკავშირი რომ გადაუხდის გირაოს და სოდომისტებთან მებრძოლ ადამიანებს ციხეში ჩასვამენ, სამართალსა და სამართლიანობაზე საუბარი შეიძლება?!»**

**„მისი ერთადერთი სურვილი და მიზანი უკავშირდება ძალაუფლების დაბრუნებას, რაც მიუღწეველი ოცნებაა სააკაშვილისა და მისი მკვლელი, მჩაგვრელი გუნდისთვის. დღეს სახელმწიფო არის ძლიერი და მიხოსა და მის ბანდას არ ეგონოს, რომ ეს არის 2003 წელი. ნებისმიერ პროვოკაციაზე ყველა მკაცრად აგებს პასუხს კანონის ფარგლებში“.**

მფრინავი მიშა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ კულად, გააქრო სამართლიანობის განცდა. **ჟორიკა რურუას პოლიტპატიმრად რომ გამოგიცხადებენ, ნიკა მელიას ევროკავშირი რომ გადაუხდის გირაოს და სოდომისტებთან მებრძოლ ადამიანებს ციხეში ჩასვამენ, სამართალსა და სამართლიანობაზე საუბარი შეიძლება?!** აქცია, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანი იყო და მნიშვნელოვანი იყო იმ თვალსაზრისით, რომ ამით გარკვეული მესიჯი მიიღო ხელისუფლებამ...

**— შეისმენს ხელისუფლება ამ ყველაფერს და გაუძლებს დასავლეთის წნეხს?**

— არ გაუძლებს და მიიღებს ქართველი ხალხის რისხვას. **ჟორიკა რურუა, მილიონების მომპარავი უგულავა და სხვები თავისუფალი უნდა იყვნენ და ეს ბიჭები ციხეში ისხდნენ? ხელისუფლებას აქვს არჩევანი — ან უნდა დადგეს მოწოდების სიმაღლეზე და იმოქმედოს ისე, როგორც ქართველი ხალხი კარნახობს, ან გადაყვეს დეგენანების, ჰარცელების, ლომჯარიებისა და მათი ამფსონების ისტერიკული მოთხოვნების შესრულებას.** აი, ეს არის დილემა. ასე რომ, თუ სწორად მოიქცევიან — ხალხი დაინახავს, თუ არა — მიიღებენ შესაბამის შედეგს... **რაც შეეხება ლიბერალურ მედიას, რომელიც მუდმივად არის დაკავებული პატრიოტი ბიჭების გაშავებით და მოძალადეებად აცხადებს მათ, საზოგადოებამ, რა თქმა უნდა, იცის და ეს არახალია, რომ ისინი ფინანსდებიან დასავლური ფონდებიდან. ისინი ჩვეულებრივი მედიასაშუალებები კი არ არიან, არამედ პარტიული აგიტაცია-პროპაგანდის ორგანოები, რომლებიც ფულს იღებენ იმაში, რომ ვიღაც გააშავონ და ჩირქი მოსცხონ.** აი, ეს არის მათი საქმე და, თუ ჩვენ გვეყოლება ნორმალური, ეროვნული ხელისუფლება, რა თქმა უნდა, ასეთი მავნებლური საქმიანობა კანონით უნდა აიკრძალოს.



## „ეს იყო ადამიანების პროტესტი იმ იდეოლოგიურ ძალადობაზე, რომელსაც მცირე ჯგუფი ეწეოდა დანარჩენ მოსახლეობაზე“



**ნანა კაკაბაძე, არასამთავრობო ორგანიზაციის „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელი:**

— მე, როგორც უფლებადამცველს, შემიძლია ვთქვა, რომ მომხრე ვარ, ხელისუფლების მხრიდან მოქალაქისადმი მიდგომა ჰუმანური იყოს, როდესაც სახეზეა დანაშაული. რაც შეეხება ამ კონკრეტულ შემთხვევას, ეს ისეთი კატეგორიის შემთხვევა იყო, დანაშაულსაც ვერ დაარქმევ. ვამბობ წმინდა მორალური თვალსაზრისით. **ეს იყო ადამიანების პროტესტი იმ იდეოლოგიურ ძალადობაზე, რომელსაც მცირე ჯგუფი ეწეოდა დანარჩენ მოსახლეობაზე.** მაგრამ მართლმსაჯულებამ ამ საქმეებზე რატომღაც ძალიან მკაცრად იმოქმედა და ჩემთვის, როგორც უფლებადამცველისთვის, ეს მიუღებელია. ცხადია, გადაჭარბებული და არამართლზომიერია სასამართლოს გადაწყვეტილება, იმიტომ, რომ აქ შეიძლებოდა ყოფილიყო საჯარიმო სანქციები. რაც შეეხება მოლოდინს, ვფიქრობ, ხელისუფლებას ერთგვარი გამოცდის ჩაბარება მოუწევს ამ საქმეებითაც, იმიტომ, რომ საზოგადოება ელოდება გადაწყვეტილებას. თუ ხელისუფლებას ეყოფა გამბედაობა და პრინციპულობა, რომ გაუძლოს წნეხს, მაშინ, გადაწყვეტილებები იქნება სამართლიანი, თუ არადა, როგორც დამნაშავეები გამოაშვებინეს თავის დროზე თითის ქნევით, უდანაშაულო ადამიანებიც ისე შეიძლება ჩაასმევინონ ციხეში...

**— ყველაზე დიდი წნეხი, ალბათ, ამერიკის საელჩოსგანაა...**

— არა მხოლოდ ამერიკის საელჩოსგან, წნეხია მედიისგანაც. ეს ერთი მთელია, თუმცა მმართველი გუნდისთვის ამ შემთხვევაში გადაწყვეტილება ერთმნიშვნელოვანი უნდა იყოს. არ შეიძლება, ყოველთვის საკუთარი ხალხის ნების საწინააღმდეგოდ მიდიოდე ვიღაცის საამებლად და თანაც პრეტენზია გქონდეს, რომ დემოკრატიულ პრინციპებს იცავ. დემოკრატია არ არის უმცირესობის დიქტატურა უმრავლესობაზე, **დემოკრატიასთან საერთო არაფერი აქვს ერთი მუჭა მარგინალური ჯგუფისა თუ ჯგუფების ძალადობას ქვეყნის მოსახლეობის 99%-ზე, რომელსაც იმის უფლებასაც არ აძლევ, რომ ძალადობისგან თავი დაიცვას.** აი, ეს არის რეალობა და ვფიქრობ, ხელისუფლებაში დღეს მაინც არიან ადამიანები, რომლებსაც ეს ესმით. ყოველ შემთხვევაში, აცნობიერებენ, რომ მოსახლეობის ნების უგულებელყოფამ იმ დროს, როცა ამდენი ხანი ვერ გამოდიან პოლიტიკური კრიზისიდან, გადამწყვეტი როლი შეიძლება შეასრულოს მათი მმართველობის ძალიან ცუდად დასრულებაში...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**



# მიშა მოფრინავს!

**საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 27 სექტემბერს „ფეისბუკზე“ 2 ოქტომბრისთვის დაჯავშნილი თბილისის რეისის თვითმფრინავის ბილეთის ფოტო გამოაქვეყნა.**

„ჩვენ, ყველანი, უნდა მივიდეთ ამ არჩევნებზე და რეფერენდუმზე. ჩვენ, ყველამ, უნდა მივცე ხმა და დავაფიქსიროთ ჩვენი პოზიცია, და მას შემდეგ, რაც დაიხურება საარჩევნო უბნები, ყველანი უნდა გამოვიდეთ ჩვენი ქალაქების, სოფლების ცენტრებში და ერთად დავიცვათ ჩვენ მიერ მოპოვებული გამარჯვება. ამიტომ საქართველოს ბედი წყდება, საქართველოს გადარჩენა-არგადარჩენის საკითხი წყდება და, რა თქმა უნდა, ავიღე ბილეთი, როგორც ვთქვი, 2 ოქტომბრის საღამოსთვის, რათა თქვენთან ერთად ვიყო თბილისში და თქვენთან ერთად დავიცვა თქვენი ნება, თქვენი ნების გამოხატვა და თქვენთან ერთად მივიღო საქართველოს გადარჩენაში მონაწილეობა“, — განაცხადა სააკაშვილმა 27 სექტემბერს. მანამდე კი მან უცხოეთში მყოფ ქართველებს საქართველოში ჩასვლისკენ (ანუ იმისკენ, რომ ფარად აეფარონ) მოუწოდა: მინდა, მივმართო უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს. ახლა არის დრო, ვისაც შეგიძლიათ, ბილეთი აიღოთ და საქართველოში ჩახვიდეთ...“, — განაცხადა 25 სექტემბერს მიხეილ სააკაშვილმა. უკრაინაში გაქცეულმა მიხეილ სააკაშვილმა 8 წლის განმავლობაში 18-ჯერ გამოგვიცხადა „ჩამოვდივარ და დამხვდით“-ო.



## „რა თქვა მიხომ, ჩამოვდივარო?“

პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, მიხეილ სააკაშვილს, თუ ის საქართველოში ჩამოვა, დააკავებენ. ამის შესახებ ღარიბაშვილმა 28 სექტემბერს ისაუბრა, მას შემდეგ, რაც ჟურნალისტებმა კითხვა დაუსვეს 2 ოქტომბერს საქართველოში სააკაშვილის ჩამოსვლაზე. ღარიბაშვილის თქმით, სააკაშვილის ერთადერთი სურვილი ქვეყანაში დესტაბილიზაციის შემოტანაა.

„რა თქვა მიხომ, ჩამოვდივარო? მინდა, მოსახლეობას ავუხსნა, ეს კაცი, უკვე 8 წელია, იმუქრება, რომ ჩამოვა, ჩამოვა და არ ჩამოდის. ვერ ჩამოდის იმიტომ, რომ მშიშარა კაცია. იცის, რომ შევა ციხეში. ჩვენს ხალხს რომ ავუხსნათ კიდევ ერთხელ, სააკაშვილის ამოცანა და მიზანი არის ჩვენი ქვეყნის არეულობა, დესტაბილიზაცია და ქაოსის შემოტანა. ერთადერთი მისი სურვილი და მიზანი უკავშირდება ძალაუფლების დაბრუნებას, რაც არის მიუღწეველი ოცნება სააკაშვილისა და მისი მკვლელი, მჩაგვრელი გუნდისთვის. დღეს სახელმწიფო არის ძლიერი და მიხოს და მის ბანდას არ ეგონოს, რომ ეს არის 2003 წელი. ნებისმიერ პროვოკაციაზე ყველა მკაცრად აგებს პასუხს კანონის ფარგლებში“, — განაცხადა ღარიბაშვილმა და დასძინა, რომ, თუ საქართველოში ჩამოსული სააკაშვილის დაკავებას ხელს ვინმე შეუშლის, მასაც დააკავებენ:

**„დავუშვათ, ჩამოვიდა ეს ლაჩარი კაცი, გადაწყვიტა და გამოაგდეს, დავუშვათ, ჩამოვიდა ღამე, რა უნდა მოხდეს — კანონის აღსრულებას ამ მიწაზე ვერავინ ვერ აღუდგება წინ და ვერ შეეწინააღმდეგება. ვინც შეეწინააღმდეგება, ისიც შევა ციხეში, ამის გარანტიას ვიძლევით კანონის სახელით და სახელმწიფოს სახელით. რა თქმა უნდა, სააკაშვილი არის მსჯავრდებული, იგი იმსახურებს ციხეს. მან გამოუსწორებელი შედეგები, ზიანი მოუტანა ჩვენს მოსახლეობას. ის მოწოდებები, რომ ხალხი გამოვა და დაიცავს, არის სიცრუე და სიყალბე. რისი თავი აქვს მაგ საცოდავს, 5 ათასი კაცის მოგროვება ძლივს შეუძლიათ პიკის დროს და ჩვენ გვკითხონ რამდენი ადამიანისა და მხარდამჭერის მობილიზება შეგვიძლია ჩვენს გუნდს.** რა თქმა უნდა, სააკაშვილს დახვდება მასზე გაბრაზებული 100 ათასი გამწარებული ადამიანი. ხალხის შეცდომაში შეყვანასა და არეულობის შემოტანას ცდილობენ. ძალიან მარტივია, სახელმწიფო გასცემს პასუხს. როგორც კი სააკაშვილი ფეხს შემოდგამს ჩვენს მიწაზე, იმავე წამს იქნება დაკავებული და შებრძანებული ციხეში. ვინც ხელს შეუშლის ამ პროცესს, ყველა ადამიანი დაისჯება უმკაცრესად კანონის ფარგლებში“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.



## „ერთი პაპაჩემის მამა იასონა ადგება საფლავიდან და მეორე სააკაშვილი ჩამოვა საარჩევნოდ“

**„ერთი პაპაჩემის მამა იასონა ადგება საფლავიდან და მეორე სააკაშვილი ჩამოვა საარჩევნოდ. აგერ მე და აგერ თქვენ, გამორიცხულია ეგ ამბავი“, — განაცხადა პარტია „მოქალაქეების“ ლიდერმა ალეკო ელისაშვილმა.**

„მაგას მაგდენი გამბედაობა არ ეყოფა და მაგხელა რისკზეც ვერ წავა. ტონი როგორ დაარბილა, ხომ ნახეთ?! თავიდან რომ გამოვიდა და მეთვრამეტედ თქვა, ჩამოვალო, გუშინ თქვა: თქვენც რაღაც ქენით, კაცო, მარტო მე კი ნუ შემომყურებთო“, — განაცხადა ელისაშვილმა.

როგორც ელისაშვილმა აღნიშნა, „მოქალაქეებს“ იმედი აქვს, რომ საარჩევნო რეფორმების შედეგად, რომლისთვისაც პარტიამ თავი არ დაზოგა, შედეგების თვალსაზრისით, ნორმალურ არჩევნებს მიიღებს.



## „ეჰ, მეც ავიღე ერთხელ ეგრე ბილეთი“

ყოფილი თავდაცვის მინისტრი და სააკაშვილის ყოფილი მარჯვენა ხელი ირაკლი ოქრუაშვილი სააკაშვილის მიერ თბილისის რეისის ჯავშნის ფოტოს გამოქვეყნებას ასე გამოეხმაურა:

„ეჰ, მეც ავიღე ერთხელ ეგრე ბილეთი და ის რეისი ვაზიანის სამხედრო აეროპორტში ისე დასვეს, რომ ლამის ძროხას დაეჯახა. იმ დღეს პირველ ბრიგადას ტყვიების 5 მჭიდი დაურიგეს პირველად, მანამდე 1-ზე მეტს არ აძლევდნენ. თვიმფრინავში ხალხს თმებს ქაჩავდნენ, ვინმეს პარიკი ხომ არ ეკეთა და მე ხომ არ ვიყავი“, — გაიხსენა ირაკლი ოქრუაშვილმა 2009 წლის ინციდენტი.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

**P.S. ჩამომსვლელი 2 ოქტომბერს კი არა, პირველში, ან სულაც 30 სექტემბერს ჩამოვიდოდა. 2-ში საღამოს მიშას ჩამოსვლა (არ ჩამოვა, მაგრამ მაინც) იმას ჰგავს, წასულ მატარებელს რომ დაედევნო. „თუში მეცხვარის“ სცენა გახსოვთ? არ აქვს მიშას მაგისი ტ**კი, არა.**

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკელები დღემდე მითოლოგიური ცერბერივით დარაჯობენ საქართველოს, რუსეთთან პირდაპირი დიალოგი რომ არ წამოიწყოს. რუსეთთან საქართველოს ურთიერთობის ნებისმიერ ფორმატს ისინი უმკაცრესად აკონტროლებენ, რადგან ორ ქვეყანას შორის ერთმანეთისგან გაუცხოვების აქამდე დიდებულად წარმართულ საქმეში ხინჯი არ გაჩნდეს.**



# აი, ესა ვართ დღევანდელი ქართველები!

# საარჩევნო ხმები ძირს დაყრილ კიტრთან და პომიდორთან ერთად იყიდება...

# ტელევიზორში ჩავიხედოთ, ქართველებო!

## ვალერი კვარაცხელიას პუბლიცისტური წერილები. საავტორო გვერდი

### ოცდამეცამეტე გამოშვება

**„არ აქვს მნიშვნელობა, რამდენად შორს წახვედი არასწორი გზით — უნდა დაბრუნდე!“**

***აღმოსავლური შეგონება***

არჩევნები დემოკრატიის საფუძველთა საფუძველია. იგი პოლიტიკური პროცესია, როცა პარტიები ხალხს თავიანთ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პროგრამებს სთავაზობენ. ადამიანები (საზოგადოების თითოეული წევრი) მათთვის შეთავაზებულ ამ პროგრამებს გაიაზრებს, ჩამოყალიბდება და არჩევნების დღეს ხმას იმ პოლიტიკურ პარტიას მისცემს, რომელიც, მისი აზრით, ყველაზე მეტად შეესაბამება და გამოხატავს ქვეყნისა და ხალხის ინტერესებს. შემდეგ დათვლიან ხმებს და, ვინც რამდენი მხარდაჭერა მოიპოვა, შესაბამისი რაოდენობის მანდატს მიიღებს. აი, მთელი ფილოსოფია ამ მოვლენისა. მხედველობაში თუ მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ბრძენი ყოველთვის სანთლით საძებნია, ხოლო რეგვენები პანტასავით ყრია, მმართველობის ეს ფორმა იდეალურისგან ძალიან შორს დგას, მაგრამ ეს საუბრის სხვა თემაა...

არჩევნები კონსტიტუციითა და საარჩევნო კოდექსით რეგულირდება, თუმცა არის კიდევ ერთი რამ, რაც საარჩევნო კოდექსსა და, თუ გნებავთ, თვით კონსტიტუციაზე მაღლა დგას — კულტურა. **არის თუ არა საზოგადოების თითოეული წევრი მზად იმ პასუხისმგებლობისთვის, რომელსაც ქვეყანასა და ხალხზე პასუხისმგებლობა ჰქვია, ან მისი მორალური და ფსიქიკური მახასიათებლები შეესაბამება თუ არა იმ ტვირთის სიმძიმეს, რომლის აწევასაც მას არჩევნებში მონაწილეობა აკისრებს?** ეს რთული შეკითხვაა. პირდაპირ უნდა ვთქვა, რომ საქართველო დემოკრატიული არჩევნებისთვის მზად არ არის. ვინმემ შეიძლება თქვას, რომ ჩვენთან არჩევნები შედარებით ახალი მოვლენაა და თანდათანობით დაიხვეწებაო, მაგრამ რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ ამ მიმართულებით დახვეწის ნაცვლად ვითარება მკვეთრად უარესდება. მხედველობაში ის გარემოება მაქვს, რომ **არჩევნებში ორი საშინელი ტენდენცია იკვეთება:**

**1. პარტიების მხრიდან ძალადობისა და პროვოკაციის, როგორც საარჩევნო ინსტრუმენტების, დანერგვა;**

**2. ამომრჩეველთა დიდი ნაწილის მხრიდან უპასუხისმგებლობისა და უვიცობის სულ უფრო მზარდი გამოვლენა.**

გადავხედოთ ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში საქართველოში შექმნილ ვითარებას და ვნახოთ, სწორად დაინერგა თუ არა ჩვენთან დემოკრატია და დემოკრატიული არჩევნები.

**გაიხსენეთ ე.წ. ეროვნული მოძრაობა, მათ ლიდერებს შორის დაპირისპირება, იარაღის ტრიალი და ნათქვამი, რომელიც ეროვნული მოძრაობის სავიზიტო ბარათად იქცა — „შუბლს გაგიხვრიტავ!“.** შემდეგ ე.წ. არაფორმალები გაიხსენეთ, გაუპარსავ-დაუბანელი შავი მასა, რომელიც თითქოს მიწიდან წამოიშალა, ერთბაშად მოედო საქართველოს. გაიხსენეთ, ვილაცის დაშინებით, ვილაცაზე თავდასხმით, ვილაცისთვის კარების აჭედვისა და სამუშაოზე არმიშვების შემზარავი პრაქტიკით მოსული და ნგრევის ჟინით ატანილი მოძალადეები როგორ დამკვიდრდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და როგორ იქცნენ პოლიტიკის შემადგენელ ნაწილად. **მომთაბარე ტომებივით შავი ბრეზენტის კარვებით მორბენალი ხალხის გახსენებაც არ გაგიჭირდებათ და იმედია, იმ თაობის წარმომადგენლებს არც იმ კარვებში დაბუდებული ქალების, ე.წ. ზვიადის ბეტეერების გაუთავებელი თარეში დაგავიწყდებოდათ, ღამურებივით რომ შეესეოდნენ მიზანში ამოღებულ სახელმწიფო დაწესებულებებს და თვალის დახამხამებაში ნაომარს რომ დაამსგავსებდნენ იქაურობას...**



ამ ფონზე ჩატარდა 1990 წლის პირველი მრავალპარტიული არჩევნები, რომელიც ვაშინგტონისა და მოსკოვის ერთობლივი პროექტი იყო. უფრო სწორად, ვაშინგტონის პროექტი, რომელშიც იმხანად ამერიკელთა მიერ უკვე დაჩოქებული მოსკოვი და „კა-გე-ბე“ მონაწილეობდა. **შემდეგ იყო სამოქალაქო ომი და უბედურება, სისხლიანი ბატალიები და სახელმწიფო გადატრიალება, რომელიც ასევე ვაშინგტონის სცენარით ხორციელდებოდა, სადაც ორივე მხარეს ერთმანეთთან უკვე სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებული, მაგრამ მაინც ერთი ძალა იდგა, ვინაიდან ორივე მხარე ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ იყო მართული.** ვილაცას დღემდე გულუბრყვილოდ სჯერა, რომ **შევარდნაძე,** რომელიც ჯერ კიდევ ჩრდილში იდგა, მაგრამ ამერიკელები ახალი როლისთვის ამზადებდნენ, და **გამსახურდია,** რომელსაც ამერიკელებმა თამაშიდან გაყვანა დაუპირეს, ვინაიდან მისთვის განკუთვნილი როლი უკვე შესრულებული ჰქონდა, დაპირისპირებული ძალების წარმომადგენლები იყვნენ. ეს შეცდომაა. **გამსახურდია და შევარდნაძე ერთად და ერთგულად ემსახურებოდნენ იმ გლობალური მნიშვნელობის საქმეს, რომელსაც საბჭოთა კავშირის დაშლა და სოციალისტური სისტემის დაუნდობელი ნგრევა ერქვა. მათ პიროვნულად სძულდათ ერთმანეთი, მაგრამ საქმე, რომელსაც ემსახურებოდნენ, ერთი იყო. სპექტაკლიც ერთი იყო, რადგან მოვლენები სცენარის მიხედვით ვითარდებოდა, რომელსაც, ბუნებრივია, რეჟისორიც ერთი ჰყავდა.** ხალხი გამსახურდიასა და შევარდნაძის სახით ერთმანეთთან დაპირისპირებულ ორ ძლიერ ფიგურას ხედავდა, მაგრამ წარმოდგენა არ ჰქონდა იმ ძალაზე, რომელიც მათ აერთიანებდა, ძაფებზე გამობმული თოჯინებივით ათამაშებდა და თავის საქმეს აკეთებინებდა. **საქართველოსთვის ეს ვერაგი თამაში გამსახურდიასა და შევარდნაძის შემდგომ პერიოდებშიც გაგრძელდა და დღემდე მოგვყვება. ერთმანეთთან პიროვნულად დაპირისპირებულ ლიდერთა საქმით ერთიანობა და აშშ-თან მათი ღია თანამშრომლობა დღემდე რჩება საქართველოს გარედან მართვის მთავარ ინსტრუმენტად და ქართული პოლიტიკის იმ ხაფანგად, რომელშიც საქართველო ვაგლახად გააბეს.**

ამერიკელები საქართველოში ლიდერებს მაშინ ცვლიდნენ, როდესაც ისინი მისიას ამოწურავდნენ. გამსახურდიას სულ რამდენიმე თვით თუ უბოძეს საქართველოს პრეზიდენტის ტახტი, მის შემდეგ მათ მიერვე მოყვანილ შევარდნაძეს თერთმეტი წელიწადი ამართვინეს საქართველო, მაგრამ, როდესაც მისი მისიაც ამოწურულად ჩათვალეს, მასთან პიროვნულად დაპირისპირებული, თუმცა მის წიაღშივე გამოჩეკილი და მისივე საქმის გამგრძელებელი **სააკაშვილი** გამოაჩინეს და მათ მიერვე ინსპირირებული სახელმწიფო გადატრიალების გზით, რომელსაც „ვარდების რევოლუცია“ დაარქვეს, საქართველოს პრეზიდენტის ტახტი გადააბარეს. როგორც შევარდნაძის მიერ ტახტიდან ჩამოგდებული გამსახურდია რჩება მარადიულ გმირად ქართველთა ერთი ნაწილის შეგნებაში, ასევე მარადიული გმირის მანტიით შემოსა ქართველთა მეორე ნაწილმა ტახტიდან შევარდნაძის ჩამომგდები სააკაშვილი, მაგრამ საზოგადოების არც იმ და არც ამ ნაწილს არ უფიქრია იმაზე, რომ ამ გადატრიალებებით სახელებისა და გვარების გარდა არაფერი არ იცვლებოდა. **გამსახურდიასაც, შევარდნაძესაც და სააკაშვილსაც ერთი მიმართულება და ერთი საგარეო ორიენტაცია ჰქონდათ, სამივენი ნატოსა და ევროპისკენ მიისწრაფვოდნენ და რუსეთთან პარტნიორული ურთიერთობის გზებს გულმოდგინედ კეტავდნენ, რომელსაც საქართველოსთვის ნგრევის გარდა არაფერი მოჰქონდა.**

**რუსეთთან გზების ჩახერგვას ისახავდა მიზნად ომები სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში. ძალიან ბევრი აქამდე ვერ მიმხვდარა, ამერიკელთა რა ვერაგული გეგმები იმალებოდა ამ სისხლიანი ბატალიების უკან.** მათ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი რუსეთისთვის უნდა მიეგდოთ, რადგან არ გამორიცხავდნენ, რომ დაჭრილი და დაჩოქებული რუსეთი დღეს თუ ხვალ წამოდგებოდა და კავკასიას (მათ შორის, საქართველოს) არ დათმობდა. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე კონტროლის დაწესებით კი რუსეთის გეოპოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული ინტერესი იმდენად კმყოფილდებოდა, რომ დანარჩენი საქართველოს გამო ისედაც უკიდურესად დაძაბულ რეგიონში იგი ვითარებას არ გაართულებდა. **ამერიკელებისთვის ამ საქმეში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ის იყო, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის, ერთი მხრივ, ფიზიკური ხერგილი წარმოიქმნებოდა; მეორე მხრივ კი, ისეთი მტრობა და სიძულვილი ჩამოვარდებოდა, რომელიც, სამუდამოდ თუ არა, ძალიან დიდი ხნით მოსპობდა მათ შორის პარტნიორობის ყოველგვარ პერსპექტივას. ამით ამერიკელები საბოლოოდ იგდებდნენ ხელში დანარჩენ საქართველოს, რომელსაც თურქეთთან დაახლოების გზით ნატოს საყრდენ ბაზად და რუ-** ▶

**ამერიკელები საქართველოში ლიდერებს მაშინ ცვლიდნენ, როდესაც ისინი მისიას ამოწურავდნენ. გამსახურდიას სულ რამდენიმე თვით თუ უბოძეს საქართველოს პრეზიდენტის ტახტი, მის შემდეგ მათ მიერვე მოყვანილ შევარდნაძეს თერთმეტი წელიწადი ამართვინეს საქართველო, მაგრამ, როდესაც მისი მისიაც ამოწურულად ჩათვალეს, მასთან პიროვნულად დაპირისპირებული, თუმცა მის წიაღშივე გამოჩეკილი და მისივე საქმის გამგრძელებელი სააკაშვილი გამოაჩინეს და მათ მიერვე ინსპირირებული სახელმწიფო გადატრიალების გზით, რომელსაც «ვარდების რევოლუცია» დაარქვეს, საქართველოს პრეზიდენტის ტახტი გადააბარეს**

**საქართველოში ხელისუფლების შესაცვლელად ხან სამოქალაქო ომი იმართება, ხან სახელმწიფო გადატრიალება ეწყობა, ხან რევოლუცია ხდება, ხან არჩევნები ტარდება, მაგრამ ხელისუფლება პრაქტიკულად არ იცვლება და ქვეყანა მუდმივად დასავლეთიდან იმართება. შედეგი? შედეგი ისაა, რომ მას შემდეგ, რაც ვითომ დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, ქვეყანა დაგვენგრა.**

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ამერიკელების მიერ მართული სიტუაცია სავალალოა ჩვენი ქვეყნისთვის: ქართველები ისე ჩავბარდით აშშ-ს, რომ ეს უკანასკნელი საქართველოს წინაშე არანაირ პასუხისმგებლობას არ იღებს. ამერიკელებმა, აფხაზეთი და ცხინვალი რუსეთს რომ მიუგდეს და ამით რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის ყოველგვარი პერსპექტივა მოსპეს, დანარჩენი საქართველო მათ მიერვე თავსმოხვეული ნატოსა და ევროკავშირის წევრობის ცრუ პერსპექტივის აბლაბუდაში გახვიეს და სამუდამო მძევლად დაიტოვეს

◀ **სეთთან დაპირისპირების პოლიგონად აქცევდნენ.** ამერიკელები დღემდე მითოლოგიური ცერბერივით დარაჯობენ საქართველოს, რუსეთთან პირდაპირი დიალოგი რომ არ წამოიწყოს. რუსეთთან საქართველოს ურთიერთობის ნებისმიერ ფორმატს ისინი უმკაცრესად აკონტროლებენ, რადგან ორ ქვეყანას შორის ერთმანეთისგან გაუცხოვების აქამდე დიდებულად წარმართულ საქმეში ხინჯი არ გაჩნდეს...

სააკაშვილმა თითქმის ათ წელიწადს გაძლო ხელისუფლებაში, მაგრამ შემდეგ, როდესაც მისმა ჟამმაც დაჰკრა, ამერიკელებმა კვლავ გამოძებნეს ადამიანი, რომელიც მასთან პიროვნულად დაპირისპირებული, მაგრამ ამერიკელთა საქმის ერთგული გამგრძელებელი იქნებოდა. **ბიძინა ივანიშვილია** ამ კაცის სახელი და გვარი. **იმ პერიოდშიც, როდესაც ივანიშვილი სააკაშვილის გვერდით იდგა და მთელ მის ხელისუფლებას აფინანსებდა; იმ პერიოდშიც, როდესაც ივანიშვილი სააკაშვილს პიროვნულად დაუპირისპირდა, რათა ხელისუფლებიდან ჩამოეცილებინა, და დღესაც, როდესაც უკვე სააკაშვილი უპირისპირდება ივანიშვილს, ისინი მაინც იმ საქმეს ემსახურებოდნენ და ემსახურებიან, რომელიც აშშ-დან მოდის.** ქართველი ხალხის დიდი ნაწილი სააკაშვილისა და ივანიშვილის ურთიერთობის არსში ისევე ვერ გაერკვა, როგორც, თავის დროზე, გამსახურდიასა და შევარდნაძის ან შევარდნაძისა და სააკაშვილის ურთიერთობების არსში ვერ ერკვეოდა. ამერიკელებს ქართველ ლიდერთა შორის არსებული პიროვნული დაპირისპირებაც სჭირდებათ და მათი ერთი საქმის სამსახურში დგომაც, რადგან მათი ამ წინააღმდეგობისა და ერთიანობის ფონზე შესანიშნავად მართავენ სიტუაციას. **ამერიკელების მიერ მართული სიტუაცია კი სავალალოა ჩვენი ქვეყნისთვის: ქართველები ისე ჩავბარდით აშშ-ს, რომ ეს უკანასკნელი საქართველოს წინაშე არანაირ პასუხისმგებლობას არ იღებს. ამერიკელებმა, აფხაზეთი და ცხინვალი რუსეთს რომ მიუგდეს და ამით რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის ყოველგვარი პერსპექტივა მოსპეს, დანარჩენი საქართველო მათ მიერვე თავსმოხვეული ნატოსა და ევროკავშირის წევრობის ცრუ პერსპექტივის აბლაბუდაში გახვიეს და სამუდამო მძევლად დაიტოვეს.** ქართველი ხალხი კი ფსევდოდამოუკიდებლობის მესამე ათწლეულსაც უცნაური შიშით ამთავრებს, — არიქა, ივანიშვილი არ წავიდეს და სააკაშვილი არ მობრუნდეს. რით ვერ გაიგეთ, რომ სააკაშვილი არსად წასულა, ვინაიდან ივანიშვილი სააკაშვილია, ისევე, როგორც სააკაშვილი შევარდნაძე იყო და შევარდნაძე — გამსახურდია. არც ერთი არსად არ წასულა, რადგან საქართველო ჯერ კიდევ მათი დანატოვარი საქმისა და მათ მიერ ჩამოყალიბებული პოლიტიკური მიმართულების სავალალო შედეგებს იმკის:

*** პირველი დიდი მიზეზი ჩვენი საერთო უბედურებისა დასავლეთისკენ უთავმოყვარეო, თავდადრეკილი, პროვინციული და მაზოხისტური ლტოლვაა;**

*** მეორე დიდი მიზეზი ჩვენი საერთო უბედურებისა ერთმანეთთან პიროვნულად დაპირისპირებული ლიდერების იდეოლოგიური ერთიანობა და დასავლეთის სამსახურში დგომაა;**

*** მესამე დიდი მიზეზი ჩვენი საერთო უბედურებისა საზოგადოების პოლიტიკური ნაწილის გარყვნაა, რომელიც მათ უპრინციპობასა და მედროვეობაში გამოიხატება;**

*** მეოთხე დიდი მიზეზი ჩვენი საერთო უბედურებისა საქართველოში პოლიტიკური უკულტურობის განსაცვიფრებელი ტემპით ზრდა, პოლიტიკურ ცხოვრებაში პროვოკაციისა და ძალადობის დანერგვა და ყოვლის ნებადართულობა, საბოლოო ჯამში, სრული ამორალიზმია;**

*** მეხუთე დიდი მიზეზი ჩვენი საერთო უბედურებისა არის ის, რომ ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილი, სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, არჩევნებში მონაწილეობის პროცესშიც კი ვერ მაღლდება საქვეყნო და სახალხო ფიქრამდე, რომლის გამოც არჩევნები ერთ დიდ, მოუწესრიგებელ ბაზრობას დაემსგავსა, სადაც საარჩევნო ხმები ძირს დაყრილ კიტრსა და პომიდორთან, კარტოფილსა და ხახვთან ერთად იყიდება (ერთ მშვენიერ დილას, ალბათ, თბილისური ეზოებიდან წამოსული ძახილი გაგვაღვიძებს: — რძეეეე, მაწონიიიი, საარჩევნო ხმებიიიი, საარჩევნო ხმებიიიი...).**

**ილია ჭავჭავაძე** ხშირად იშველიებდა სარკის თემას: **„მარტო მტერი დაგიმალავს, შენს სახეზედ რომ ურიგობა ჰნახოს რამე, მოყვარე კი სარკეს მოგიტანს, რომ გაისწორო და ხალხში არ შერცხვე“.** ელექტრონულ და ციფრულ ეპოქაში სარკის ეფექტი საკმარისი აღარაა, რადგან სარკე ყველაფრის ასახვას ვერ შეძლებს. სარკე საკუთარ თავს დაგანახვებს, მაგრამ საზოგადოებისგან მოწყვეტილად. საზოგადოება თუ გინდა ნახო და საკუთარ თავს საზოგადოებასთან ერთად დააკვირდე, სოციალურ ქსელებში უნდა შეხვიდე და ტელევიზორში ჩაიხედო. იქ დაინახავ, რად გაქციეს და რას დაგამსგავსეს. ნუ წარმოვიდგენთ, რომ ჩვენ აქეთ ვართ და ისინი იქით — ეკრანს მიღმა. გაღმა-გამოღმა კი არ ვართ, ერთად ვართ და, **რაც ეკრანზე ჩანს, ეგა ვართ — ზნეობისგან დაცლილი, ცრუ, ყოვლისმკადრებელი, უზრდელი, თავხედი, რეგვენი, მოძალადე, პატიმრის მწამებელი და გამაუპატიურებელი... მეტიც — პატიმრის მწამებლისა და გამაუპატიურებლის მხარდამჭერი და მისთვის ხმის მიმცემი.** კი, პატიოსნებაშენარჩუნებული, მშრომელი და ღირსეული ადამიანებიც გვყავს, ხელოვნების მუშაკებიც, მეცნიერებიც, დიდებული სპორტსმენებიც, მაგრამ პოლიტიკურმა შარლატანებმა და პოლიტიკურმა დამნაშავეებმა დაჩრდილეს ისინი და ხმის ამოღების უფლება წაართვეს. **ის პარტია, რომელიც პატიმართა წამებასა და გაუპატიურებაში ამხილეს, ნაცვლად იმისა, რომ აკრძალული იყოს, საზოგადოებრივ ცნობიერებაზე უხეშად ძალადობს და, ხელებდასისხლიანებული და თვალებჩასისხლიანებული, კვლავ ხელისუფლებისკენ მიილტვის. საზოგადოების ერთი ნაწილი კი მზად არის, მხარი ამ დამნაშავე ძალას დაუჭიროს, ოღონდ საკუთარი მერკანტილური და ბინძური ვნებების დაკმაყოფილების საშუალება მიეცეს.**



აი, ესა ვართ დღევანდელი ქართველები!

ამიტომ გეუბნებით: თუ გინდათ, რომ საკუთარი თავი დაინახოთ, სარკეში კი არა, ტელევიზორში ჩაიხედეთ, ქართველებო!

გაეროს 76-ე გენერალურ ასამბლეაზე საქართველოს პრემიერმინისტრი მოხსენებით გამოვიდა. ამ ვითარებაში, როდესაც მსოფლიო პოლიტიკური რეალობა ელვის სისწრაფით იცვლება, მოველოდი, რომ **ირაკლი ღარიბაშვილი** ოცდაათი წლის განმავლობაში პოლიტიკური აზროვნების გაცვეთილ და დაშტამპულ შაბლონებს დაძლევდა და თავის სიტყვაში რევოლუციურ ნახტომს თუ არ შემოგვთავაზებდა, რაღაც ახალ ინტონაციებს მაინც გააჟღერებდა. სამწუხაროდ, მან ძველი და გაცვეთილი გზა არჩია: „ყველა ჩვენს წინსვლას ერთი მარტივი მიზანი აქვს — ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია. ვერ დავისვენებთ, სანამ ევროკავშირისა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრობას არ მივაღწევთ“. **მილიონჯერ გადაღეჭილი ამ განცხადების კიდევ ერთხელ გაკეთება და გაეროს მაღალი ტრიბუნის ამისთვის მოცდენა არ ღირდა; მით უფრო იმ ფონზე, როდესაც ნატოს არსებობა დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ აღმოჩნდა მას შემდეგ, რაც ავსტრალიამ, დიდმა ბრიტანეთმა და აშშ-მა 2021 წლის 16 სექტემბერს ახალი სამხედრო ბლოკის (AUKUS) შექმნის შესახებ განაცხადეს. ეს პირდაპირი დარტყმაა ნატოზე.** ამას ევროპელთა რეაქციაც მოწმობს. საფრანგეთმა აშშ-დან ელჩი გაიწვია. ევროსაბჭოს თავმჯდომარე **შარლ მიშელი** კი აცხადებს: „ავსტრალიის, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის სამხედრო პარტნიორობის ჩამოყალიბება ერთმნიშვნელოვნად მეტყველებს აშშ-ის მხრიდან ევროკავშირის მიმართ ლოიალობის უკმარისობაზე. ამის გამო ევროკავშირი მოითხოვს განმარტებას, — რა არის ახალი სამხედრო ბლოკის ჩამოყალიბების სიღრმისეული მიზეზები“. ეს ზუსტად იმ ტიპის კრიზისია, რომელსაც, შესაძლებელია, ნატოსა და ევროკავშირის დაშლაც მოჰყვეს. ჩვენი პრემიერმინისტრი კი თითქოს სხვა პლანეტაზე ცხოვრობს, ამას ვერ ამჩნევს. **ბატონ ღარიბაშვილს გაეროს ასამბლეაზე ჩინეთის ლიდერის ვიდეოჩართვა რომ მოესმინა ან რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის გამოსვლისთვის ეგდო ყური, ალბათ, მიხვდებოდა, რომ მისი მოხსენება, რომელიც ქართული დელეგაციის წევრების გარდა თითქმის არავის მოუსმენია, მთლიანად ყავლგასული და საერთაშორისო კონტექსტიდან ამოვარდნილი იყო.**

მსოფლიოში შექმნილი სრულიად ახალი რეალობის ფონზე, პრემიერმინისტრის ეს ნათქვამიც საშინელ ანაქრონიზმად გაისმა: „რუსეთს არა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიის ოცი პროცენტი აქვს ოკუპირებული, არამედ ის აქტიურად ცდილობს, ძირი გამოუთხაროს ევროპულ და ევროატლანტიკურ ოჯახში ჩვენი გაწევრიანების ეროვნულ მისწრაფებას“. აქ დროსა და რეალობასთან ისეთი აცდენა გვაქვს, არც გინდა, რომ დაიჯერო. **საქართველოს პრემიერმინისტრი იმას თუ ვერ ხვდება, რომ ნატო დაშლის ზღვარზეა, ნუთუ იმას მაინც ვერ აცნობიერებს, რომ რუსეთი მის ირგვლივ ნატოს ან სხვა რომელიმე სამხედრო ბლოკის ალყას არ შეეგუება? ეს ამ უზარმაზარი სახელმწიფოს უფლება კი არა, ვალდებულებაა.** „დღეს ყველას მოგმართავთ თხოვნით, დავასრულოთ რუსეთის მიერ საქართველოს სუვერენული მიწების უკანონო ოკუპაცია“, — ეხვეწება პრემიერმინისტრი გაეროს. მთელმა **გაერომ ერთხმად რომ დაგიჭიროს მხარი, ბატონო ირაკლი, ამ საქმიდან არაფერი არ გამოვა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ გაეროსაც კი არ ეყოფა რესურსი რუსეთისთვის საკუთარი ნების თავზე მოსახვევად და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად. ამისთვის ერთადერთი რესურსი არსებობს, ეს რუსეთთან პირდაპირი დიალოგისა და ინტერესთა ჰარმონიზების რესურსია,** მაგრამ თქვენ ამას არ აღიარებთ და ჯიუტად ადგახართ გზას, რომელსაც თქვენი წინამორბედები ადგნენ, მათ შორის თქვენთვის ასე საძულველი სააკაშვილიც. ამ სიტყვებით თქვენ კი არ მოგმართავთ, ივანიშვილს მივმართავ, ვინაიდან ჯერჯერობით ისაა ქვეყნის მმართველი. ამიტომ გეუბნებით, რომ სააკაშვილთან ბიძინა ივანიშვილისა და, თუ გნებავთ, პირადად თქვენი პიროვნული დაპირისპირების მიუხედავად, ერთნი ხართ-მეთქი. გაეროს ტრიბუნასთან თქვენ ნაცვლად სააკაშვილი რომ მდგარიყო, ისიც ხომ ზუსტად მაგ ტექსტით ილაპარაკებდა, რომლითაც თქვენ. **სააკაშვილი სისხლის სამართლის დამნაშავე რომ არის, ეს სხვა საკითხია. პოლიტიკური და იდეოლოგიური მსოფლმხედველობის ან საგარეო ორიენტაციის თვალსაზრისით თქვენ შორის რამე განსხვავება არის? სამწუხაროდ, არანაირი.**

რეალობა ასეთია: საქართველოში ხელისუფლების შესაცვლელად ხან სამოქალაქო ომი იმართება, ხან სახელმწიფო გადატრიალება ეწყობა, ხან რევოლუცია ხდება, ხან არჩევნები ტარდება, მაგრამ ხელისუფლება პრაქტიკულად არ იცვლება და ქვეყანა მუდმივად დასავლეთიდან იმართება. შედეგი? შედეგი ისაა, რომ მას შემდეგ, რაც ვითომ დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, ქვეყანა დაგვენგრა.

**P.S. ერთ უსიამოვნო ფაქტზე უნდა მოგიყვეთ, რომელიც ზუსტად ჯდება დღევანდელი სტატიის კონტექსტში.**

**ჩვენი თანამემამულე, ბათუმში დაბადებული და გაზრდილი კაცი, ეროვნებით ქართველი ვლადიმერ ხომერიკი დიდი ხანია, მოსკოვში ცხოვრობს. იგი ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი და რამდენიმე აკადემიის წევრია. მინიჭებული აქვს მშვიდობის ელჩის ტიტული, წლების განმავლობაში იყო რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის ნდობით აღჭურვილი პირი. ხშირად არის რუსეთის როგორც ელექტრონული, ასევე ბეჭდური საინფორმაციო საშუალებების სტუმარი. ჰყავს ნაცნობ-მეგობართა ფართო წრე და საზოგადოებაში მიღებული პიროვნებაა.**

**ბატონი ვლადიმერ ხომერიკი 21 სექტემბერს მოსკოვიდან მინსკის გავლით ბათუმში ჩამოფრინდა ავადმყოფი დისა და ოჯახის წევრების სანახავად, აგრეთვე, მშობლების საფლავებისთვის პატივის მისაგებად. სამწუხაროდ, მას საზღვრის გადმოკვეთის უფლება არ მისცეს, რისი მიზეზიც არ დაუსახელეს, ისე გააბრუნეს უკან, აეროპორტიდანვე...**

**— არ შეუშვა ადამიანი მის სამშობლოში ისე, რომ ამისთვის არავითარი იურიდიული საფუძველი არ გქონდეს, ადამიანის ფუნდამენტური უფლების დარღვევაა და, აქედან გამომდინარე, დანაშაული, ამიტომ საქმეს სასამართლოში გავარკვევ, — მითხრა ბატონმა ვლადიმერმა, რომელსაც ამ უსიამოვნო ფაქტის შემდეგ მოსკოვში დავუკავშირდი.**

**ერთსაც დავძენ: ბატონი ვლადიმერ ხომერიკი ნაცებთან დაპირისპირებული საზოგადო მოღვაწეა, რომელიც ქოცურმა ხელისუფლებამ სამშობლოში არ შემოუშვა.**

**საქართველოს ხელისუფლებას შევახსენებ: ბატონ ვლადიმერ ხომერიკს ბევრი კეთილი საქმე გაუკეთებია საქართველოსთვის და ბევრსაც გააკეთებს, მაგრამ უმეცარნი ვერ მიხვდებიან ამას. რუსეთიდან ვინც მოდის და რაც მოდის, ყველა და ყველაფერი საქართველოს სამტროდ არ მოდის, თქვენი უგუნური გადაწყვეტილებებით კი სამშობლოს უფრო მეტი ზიანი ადგება, ვიდრე მტერი მოგვაყენებდა.**

ენერგო-დამოკიდებულება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თითქმის გადაჭრით შეიძლება თქმა, რომ „ენკა“ საერთაშორისო არბიტრაჟში აუცილებლად წავა და საქართველოს მილიარდ ლარსაც „აახევს“. სამაგიეროდ, გადაჭრით ვერ ვიტყვით, რომ საქართველოს ხელისუფლება ანალოგიურ ნაღმზე მომავალშიც არ აფეთქდება და ახლა სხვა კომპანიას არ გაუფორმებს კაბალურ ხელშეკრულებას, ისეთს, რომელიც ხალხს ქუჩაში გამოიყვანს. ამ პირობებში რუსულ ინვესტიციებზე უარის თქმა, სულ ცოტა, პოლიტიკური სიბეცეა. მით უმეტეს, რომ რუსული კომპანიები ელექტროსადგურებს მთელ მსოფლიოში აშენებენ და გერმანიისა და საფრანგეთისთვისაც კი უდიდესი ინვესტორები არიან.**

# ვინმეს უფიქრია, რა მოხდება, ერთ არცთუ მშვენიერ დღეს რუსეთმა ელენერგია რომ აღარ მოგვყიდოს?

**კომპანია „ენკა“ საქართველოდან გავიდა, რაც იმას ნიშნავს, რომ „ნამოხვანჰესი“ აღარ აშენდება. ბოლო წლების ერთ-ერთ უდიდეს პროექტს ჰყავდა მომხრეები და მოწინააღმდეგეები, საბოლოოდ კი, „ენკამ“ ოფიციალური განცხადება გაავრცელა და ხელშეკრულება გაწყვიტა, მთავარ მიზეზად კი ფორს-მაჟორი დაასახელა.**

სანამ მთავარ სათქმელზე გადავალთ, მმართველი პარტიის თავმჯდომარის, **ირაკლი კობახიძის,** პოზიციას გაგაცნობთ.

„ეს იყო კომპანიის მიერ გადადგმული ნაბიჯი. ეს არის ცუდი სიგნალი შემდგომი ინვესტიციებისთვისაც, მაგრამ საქართველოს ხელისუფლება გააკეთებს ყველაფერს, რათა ენერგეტიკის მიმართულებით ინვესტიციები გაგრძელდეს და ჩაიდოს დიდი ინვესტიციები. მთავრობას აქვს 10-წლიანი სამოქმედო გეგმა, მათ შორის ენერგეტიკის კუთხით. ეს არის სამწუხარო გადაწყვეტილება, სამწუხარო ფაქტი, მაგრამ ყველაფერი გაკეთდება, რათა ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობა სათანადოდ იყოს უზრუნველყოფილი“, — განაცხადა კობახიძემ.

თურქული კომპანიის წინააღმდეგ პროტესტის ტალღა მას შემდეგ აგორდა, როცა გაირკვა, რომ ხელშეკრულების თანახმად „ენკას“ ლამის ნახევარი საქართველო ერთი საუკუნით მიჰქონდა. ხელშეკრულება კაბალური რომ იყო, ხელისუფლებამაც აღიარა და ხელი... ოპოზიციაში წასულ ექსპრემიერ **გიორგი გახარიას** შეაწმინდა, აქაოდა, კაბალურ პირობებს სწორედ ის დათანხმდაო. თავის მხრივ, გახარიამაც ხელი დაიბანა: მე რა შუაში ვარ, მოლაპარაკებები რამდენიმე თვის განმავლობაში გრძელდებოდა და საქმეში ექსპერტები იყვნენ ჩართულიო. ასე იყო თუ ისე, **„ენკა“ საქართველოდან გავიდა და, უდიდესი ალბათობით, საერთაშორისო არბიტრაჟშიც იჩივლებს, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს დაახლოებით 1 მილიარდი ლარი ჯარიმის გადახდა მოუწევს. ბიზნესმენების უმრავლესობა, მთლიანი ოპოზიცია და ხელისუფლება თანხმდება იმაზე, რომ „ენკას“ გასვლა საერთაშორისო იმიჯს დააზიანებს და საქართველოში სერიოზულ კომპანიებს ინვესტიციების ჩადების სურვილი არ გაუჩნდებათ. ცოდვა გამხელილი სჯობს, კალთებს არც მანამდე გვახევდა ვინმე, მაგრამ ასეთი კაბალური პირობებით ეგებ სხვა მსურველიც გამოჩნდეს. მანამდე კი...**

ოფიციალური მონაცემებით, 2017 წლიდან საქართველოსთვის ელექტროენერგიის მთავარი მომწოდებელი აზერბაიჯანი იყო, თუმცა 2021 წელს სურათი რადიკალურად შეიცვალა — აზერბაიჯანიდან ელექტროენერგიის იმპორტის წილი მთლიან იმპორტში მხოლოდ 29%-ია. საქმე ის არის, რომ აზერბაიჯანს თავისი მოსახლეობისთვის დასჭირდა ელექტროენერგია, გასაყიდად აღარ აქვს და საქართველოსთვის მიწოდება შეამცირა. და, როგორ გგონიათ, **ვინ არის ახლა ელექტროენერგიის მთავარი მომწოდებელი და ვის უნდა ვუმადლოდეთ, „ილიჩის ნათურა“ რომ ანთია? სწორია — რუსეთი. 4-წლიანი პაუზის შემდეგ, 2021 წელს რუსეთი საქართველოსთვის ელექტროენერგიის მთავარი მომწოდებელი გახდა.** უფრო კონკრეტულად, **მიმდინარე წლის იანვარ-აგვისტოში რუსეთიდან საქართველოში 1049.4 მლნ კვტ/სთ ელექტროენერგიის იმპორტი განხორციელდა, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 171%-ით(!) აღემატება. გამოდის, რომ შემოტანილი ელექტროენეგიის 61% რუსეთზე მოდის; 29% — როგორც გითხარით, აზერბაიჯანზე და მხოლოდ 10% გვაქვს საკუთარი ელექტროენერგია, რაც, ძალიან ცოტა კი არა, პრაქტიკულად, არაფერია.** ჰოდა, კობახიძის ნათქვამი, „ყველაფერი გაკეთდება, რათა ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობა სათანადოდ იყოს უზრუნველყოფილი“, დამაჯერებლად აშკარად არ ჟღერს. თუ ხელისუფლება იმას ცდილობდა, რომ ამ 10%-ს „ენკას“ მეშვეობით 50%-მდე აიყვანდა, ძალიან ცდებოდა; და თუ სხვა რამეს ფიქრობდა... მსოფლიოში ელექტროენერგიის მოხმარების ტემპები ყოველდღიურად იზრდება და ეს იმის მიუხედავად, რომ მსოფლიოს არაერთი ქვეყანა მზის ენერგიაზე მომუშავე მოწყობილობებზე გადადის. საქართველოშიც ყოველწლიურად სულ უფრო მეტ ელექტროენერგიას მოიხმარს მოსახლეობა და ყველანაირი გათვლით, ეს ტემპი უახლოესი ოცი წლის განმავლობაში შენარჩუნდება. ის, რასაც ახლა გეტყვით, შესაძლოა, ბევრს არ მოეწონოს, მაგრამ **„ქვეყანა უნდა იცნობდეს თავის გმირებს“.**

**შარშან, შარშანწინ და იმის წინ საქართველოში ენერგოსექტორში ასეულ მილიონობით ინვესტიციის განხორციელების მიზნით საქართველოს ხელისუფლებას რამდენიმე რუსულმა კომპანიამ მიმართა. ისინი მზად იყვნენ, პრაქტიკულად, ყველა პირობას დათანხმებულიყვნენ და საქართველოში ელექტროსადგურები აეშენებინათ. ეს იქნებოდა უცხოური ინვესტიცია და, რაც მთავარია, ენერგოდამოუკიდებლობისკენ გადადგმული დიდი ნაბიჯი, მაგრამ ქართულმა მხარემ უარი თქვა. არ გამოვრიცხავთ, რომ საქართველოს ხელისუფლებას თანხმობის დიდი სურვილი ჰქონდა, მაგრამ ევროპა და ამერიკა ამის გაკეთებას, უბრალოდ, არ დაანებებდნენ.** ასეთ შემთხვევაში, საქართველო მართლა მოიპოვებდა ენერგოდამოუკიდებლობას და ლოგიკურად გაუჩნდებოდა სურვილი, ელექტროენერგია ექსპორტზე გაეტანა. ეს გამოიწვევდა იმას, რომ ჩვენი ქვეყანა მოიშორებდა განვითარებადი ქვეყნის სტატუსს და დაიწყებდა წარმოებას, რაც რეალური დამოუკიდებლობისკენ გადადგმული არცთუ პატარა ნაბიჯი იქნებოდა. აი, **საქართველოს დამოუკიდებლობა კი იმას ნიშნავს, რომ საგარეო პოლიტიკას, სხვების მითითებით კი არა, საკუთარი სურვილისამებრ დაგეგმავს.**



**როცა საქართველო ისეთ დღეში იქნება, რომ ვალების გასტუმრებას ვერ შეძლებს და ამას ბიუჯეტი არ ეყოფა (აქამდე ერთ ნაბიჯში რომ ვართ, ფინანსთა მინისტრმაც და ეროვნული ბანკის პრეზიდენტმაც მიანიშნა), ქვეყანა გამოცხადდება გაკოტრებულად და მინიმუმ ნახევარი საუკუნით დამოკიდებული იქნება დონორების კეთილ ნებაზე, დონორი კი... დასავლეთი იქნება და მერე ვერც ერთი ხელისუფალი ვერ იტყვის, — სესხი არ მინდა ან თქვენს პოლიტიკურ ნებას არ დავყვებიო**



კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი, რომელიც გასულ კვირაში მოხდა და რომელსაც უბრალოდ წაუყრუეს: აზიის განვითარების ფონდმა საქართველოს ახალი, 15-მილიონიანი სესხი დაუმტკიცა ისე, რომ ჩვენს ქვეყანას მათთვის არ მიუმართავს. გემახსოვრებათ, ორიოდე კვირის წინათ საქართველომ ევროპას 75-მილიონიან სესხზე უთხრა უარი, არ გვჭირდებაო, და ახლა ახალი სესხი დაუმტკიცეს. ე.ი., **დასავლეთი მაქსიმალურად ცდილობს, საქართველოს ახალ-ახალი ვალდებულებები „შეტენოს“ და ეს ყველაფერი ძალიან ჰგავს ქართული ბანკების მოქმედებას — როცა გირეკავენ და გეუბნებიან, რომ სესხს ეფექტურ 17%-ში გიმტკიცებენ და ბოლოს ეს 17% ისე სცდება 50-ს, თვალის დახამხამებასაც ვერ ასწრებთ. მერე ბანკის ვალებში იხრჩობით, რჩებით საცხოვრებლის გარეშე და აღმოჩნდებით ქუჩაში. დაახლოებით ანალოგიურ ქმედებასთან გვაქვს საქმე.** როცა საქართველო ისეთ დღეში იქნება, რომ ვალების გასტუმრებას ვერ შეძლებს და ამას ბიუჯეტი არ ეყოფა (აქამდე ერთ ნაბიჯში რომ ვართ, ფინანსთა მინისტრმაც და ეროვნული ბანკის პრეზიდენტმაც მიანიშნა), ქვეყანა გამოცხადდება გაკოტრებულად და მინიმუმ ნახევარი საუკუნით დამოკიდებული იქნება დონორების კეთილ ნებაზე, დონორი კი... დასავლეთი იქნება და მერე ვერც ერთი ხელისუფალი ვერ იტყვის: სესხი არ მინდა ან თქვენს პოლიტიკურ ნებას არ დავყვებიო.

არ ვდავობთ, რომ აზერბაიჯანი ჩვენი მეზობელი და პარტნიორია. მიუხედავად ამისა, **დავითგარეჯას საქმე მიძინებულია და რამდენიმე სალოცავში სასულიერო პირები დღესაც ვერ ახერხებენ ასვლას. „კეთილმა მეზობელმა“ ეს პრობლემა სათავისოდ მიაძინა. როცა აზერბაიჯანს დასჭირდა, თავისივე გამომუშავებული ელექტროენერგიის მიწოდება საქართველოს მარტივად შეუწყვიტა და პრიორიტეტად საკუთარი მოსახლეობა გამოაცხადა, რაც ლოგიკური და ნორმალურია. ანუ, ხვალ რომ აზერბაიჯანს დასჭირდეს, მაგალითად, ბუნებრივი აირის საკუთარი მოსახლეობისთვის მიცემა, კვლავ ლოგიკურად იმოქმედებს და ჩვენ ბუნებრივი აირის გარეშეც დავრჩებით და კვლავ რუსეთს მივადგებით.** აზერბაიჯანიდან ელექტროენერგიის მოწოდების შეწყვეტის შემდეგ, საქართველოს ხელისუფლებამ კვლავ რუსეთს მიმართა და ახლა ელექტროენერგია ისევ ჩრდილოეთიდან შემოგვაქვს. **ვინმეს უფიქრია იმაზე, რა მოხდება, თუ ერთ არცთუ მშვენიერ დღეს რუსეთი უარს გვეტყვის ელექტროენერგიის მოყიდვაზე?** უბრალოდ, თქვას, რომ თავისთვის სჭირდება, ან სხვა ქვეყანა უფრო ხელსაყრელ პირობებს სთავაზობს? იცით, რა მოხდება? 1990-იანი წლები დაბრუნდება და შუქის მოსვლას ზუსტად ისეთივე აპლოდისმენტებით შევხვდებით, როგორც მერობის კანდიდატებს ხვდება ახლა შეხვედრებზე მიყვანილი ხალხი.

ამ მწარე რეალობის მიუხედავად, ბედთან თამაშს ვაგრძელებთ და **რუსულ მხარეს არ ვესაუბრებით არანაირ პირობებზე, არ ვთანხმდებით გრძელვადიან პერსპექტივაზე და, რაც მთავარია, უარს ვეუბნებით ინვესტიციებზე, რადგან ჩვენთვის რუსულ ფულს სუნი აქვს. ხომ არის ევროპა და ამერიკა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი? ჰოდა, მაშინ მათ განახორციელონ ინვესტიციები, მათ ააშენონ მისაღები პირობებით ელექტროსადგურები და 10 წლის შემდეგ მაინც გვექნება ამ მიმართულებით დამოუკიდებლობა. მაგრამ არა, დასავლეთს ყველაზე ნაკლებად სწორედ ჩვენი დამოუკიდებლობა სურს, რადგან... „მაძღარი მონა ვერ ააშენებდა სვეტიცხოველს“.** ახლა არ თქვათ, რომ ჩვენი მდგომარეობა მონობისგან რაიმეთი განსხვავდება. როცა სხვა ქვეყნის უმაღლესი პირები კი არა, ელჩები გვიწესებენ დღის წესრიგს, თავზე გვახევენ კონსტიტუციას და გვითითებენ პიროვნებების დონეზე, ვინ უნდა იყოს მოსამართლე, ვინ პროკურორი და ვინ დეპუტატი.

თითქმის გადაჭრით შეიძლება თქმა, რომ „ენკა“ საერთაშორისო არბიტრაჟში აუცილებლად წავა და საქართველოს მილიარდ ლარსაც „აახევს“. სამაგიეროდ, გადაჭრით ვერ ვიტყვით, რომ საქართველოს ხელისუფლება ანალოგიურ ნაღმზე მომავალშიც არ აფეთქდება და ახლა სხვა კომპანიას არ გაუფორმებს კაბალურ ხელშეკრულებას, ისეთს, რომელიც ხალხს ქუჩაში გამოიყვანს. ამ პირობებში რუსულ ინვესტიციებზე უარის თქმა, სულ ცოტა, პოლიტიკური სიბეცეა. მით უმეტეს, რომ რუსული კომპანიები ელექტროსადგურებს მთელ მსოფლიოში აშენებენ და გერმანიისა და საფრანგეთისთვისაც კი უდიდესი ინვესტორები არიან.

**ბესო ბარბაქაძე**

ყველა შეგნებული მოქალაქე, რომელიც „არა მარტო პურითა ერთითა სცხოვრობს“, არამედ ცხოვრებაში რაიმე მიზნებსაც ისახავს, დიდი მოთმინების პატრონი უნდა იყოს, რომ ის ბაკქანალია, ის წინასაარჩევნო კამპანია აიტანოს, რომელსაც გალაღებული ვაიპოლიტიკოსები აწარმოებენ, ტრაბახით ყურები რომ გამოგვიჭედეს და ლოზუნგებით რომ ალაპარაკდნენ. ამომრჩევლებთან შეხვედრისას გამოსვლებს დაპირებებით იწყებენ და დაპირებებით ამთავრებენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყველა გრძნობს, ამ არჩევნების შემდეგაც რიგითი მოქალაქეების ყოველდღიურ ცხოვრებაში სასიკეთოდ არაფერი შეიცვლება, იმას კი ვარაუდობენ, რომ არჩევნებში წაგებული მხარე მშვიდად არ დატოვებს ბრძოლის ველს და ამ შემთხვევაშიც ჯოხი ხალხზე გადატყდება.

მწარე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე**

„ბოროტება ისე ხმაურობს, ხანდახან ფიქრობ,
ქვეყნად მარტო ის არისო. არადა,
სამყაროს ჩუმი სიკეთე მართავს“

*ჭაბუა ამირეჯიბი*

# უშველის კი არჩევნებში გამარჯვებული ქვეყნის გასაჭირს?

რაღაცნაირი დროა, გიჟური. ადამიანები სულ ყველაფერს ეჭვით უცქერენ, რადგან ძალაუფლების მაძიებელნი ყველაფერს ანგრევენ და უხარიათ — შეუტიეს დედაეკლესიას, ოჯახის ინსტიტუტს, მშობლების ავტორიტეტს „ბავშვთა უფლებების დაცვის“ მოტივით, აფრქვევენ უამრავ სისაძაგლეს...

ისმენ და აღარაფრის და აღარავის გჯერა, ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებ...

2021 წლის 2 ოქტომბერს საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები გაიმართება. მოსახლეობა აირჩევს 64 მერსა და საკრებულოს 2044 დეპუტატს. ეს რიგით მერვე თვითმმართველობის არჩევნები იქნება, რომელიც დამოუკიდებელ საქართველოში ჩატარდება და ამ არჩევნებისთვის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 3 497 345-ს შეადგენს.

ყველა შეგნებული მოქალაქე, რომელიც „არა მარტო პურითა ერთითა სცხოვრობს“, არამედ ცხოვრებაში რაიმე მიზნებსაც ისახავს, დიდი მოთმინების პატრონი უნდა იყოს, რომ ის ბაკქანალია, ის წინასაარჩევნო კამპანია აიტანოს, რომელსაც გალაღებული ვაიპოლიტიკოსები აწარმოებენ, ტრაბახით ყურები რომ გამოგვიჭედეს და ლოზუნგებით რომ ალაპარაკდნენ. ამომრჩევლებთან შეხვედრისას გამოსვლებს დაპირებებით იწყებენ და დაპირებებით ამთავრებენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყველა გრძნობს, საქართველოში ამ არჩევნების შემდეგაც რიგითი მოქალაქეების ყოველდღიურ ცხოვრებაში სასიკეთოდ არაფერი შეიცვლება, იმას კი ვარაუდობენ, რომ არჩევნებში წაგებული მხარე მშვიდად არ დატოვებს ბრძოლის ველს და ამ შემთხვევაშიც ჯოხი ხალხზე გადატყდება.



## „როგორი უნდა იყოს ქალაქის თავი და როგორი თავი გვეჭირვება ახლა საკუთრივ ჩვენ?“

ეს კითხვა წლების წინათ გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე გაჩნდა, მაშინაც თვითმმართველობის არჩევნებისთვის ემზადებოდა ჩვენი ქვეყანა, საინტერესოა, ხალხს როგორი წარმოედგინა მათთვის სასურველი ქალაქის მერი: ერთნი ამბობდნენ, რომ ქალაქის თავი ყველაფერს ვერ გაწვდება — ვერ შეძლებს, ერთდროულად ბაზარსაც მიაქციოს ყურადღება, კანცელარიაშიც იმუშაოს, უმაღლეს მთავრობასთანაც დაიჭიროს საქმეო. **ქალაქის თავის მოვალეობა მხოლოდ ის არის, რომ ქალაქის წარმომადგენელი იყოს მთავრობასთან, შუამავალი იყოს ჩვენსა და მთავრობას შორის და ქალაქელებს სჯეროდეთ მისიო.** მეორენი ამტკიცებდნენ, რომ **ქალაქის თავი უნდა იყოს პრაქტიკული, გამოცდილი კაცი, ბაზრის მცოდნე, აღებ-მიცემობაში ესმოდეს რამე. ქალაქში საშინელი სიძვირეა და უშველოს ამ საქმესო.** მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც ორივე თვალსაზრისი მცდარად მიაჩნდათ. მათი აზრით, **ქალაქს იმხანად ესაჭიროებოდა ისეთი თავი, რომელიც ბაზრის მცოდნეც იქნებოდა, ვაჭრობის საქმესაც გაუძლვებოდა, მთავრობასთან საქმის დაჭერაც არ გაუჭირდებოდა და ყველას წინაშე დაიცავდა ქალაქის ინტერესებს.** ის უნდა ყოფილიყო მარჯვე, მხნე კაცი, რომელსაც მუდამ და ყოველთვის ქალაქის კეთილდღეობა ექნებოდა მხედველობაში. „იგი არის პატრონი ქალაქისა, მთელი ქალაქი მას ანდობს თავის ბედს, ყველა იმას შესცქერის, მან ყველაფერი უნდა იცოდეს. ყველგან უშველოს ქალაქს, სადაც შველა და დახმარება სჭირდება. აი, ამისთანა ქალაქის თავი გვჭირდება ჩვენ. მაგრამ სად არის?“

იმ ეპოქაში ასეთი ადამიანის პოვნა ქალაქის თავად არ იყო რთული, რადგან, საბედნიეროდ, გვყავდა მთელი პლეადა მამულიშვილებისა, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში. **ამჯერად მკითხველის ყურადღებას ნიკო ნიკოლაძეზე შევაჩერებთ, ქართველ საზოგადო მოღვაწეზე, პუბლიცისტზე, პოლიტიკოსზე, რომელიც ქალაქ ფოთის თავი იყო 1894-1914 წლებში, ხოლო საქართველოს პარლამენტის წევრი — 1917-1920 წლებში.**

ნიკო ნიკოლაძე 18 წელიწადი ფოთს საკუთარი შვილივით უვლიდა, ააყვავა, დაამშვენა. 1894 წელს ფოთის თავის არჩევნებში 210 კაცი მონაწილეობდა, აქედან 193-მა ხმა მისცა ნიკოლაძეს, მხოლოდ 17 წავიდა წინააღმდეგი. გულდასაწყვეტია, რომ ამ 17 კაცში შედიოდნენ იონა მეუნარგია და ნესტორ თავდგირიძე.

დიდია ნიკოლაძის წვლილი ქალაქის გადასხვაფერებაში. თანამედროვენი მას ახასიათებდნენ, როგორც კეთილშობილ საზოგადო მოღვაწეს, ევროპულად განსწავლულ ადამიანს, პრაქტიკოს საქმოსანსა და თეორიულად მოაზროვნეს. ერთ ადამიანში ამდენი თვისების ერთად თავმოყრა უჩვეულოა და ძნელად მოსაძებნი, ამიტომაც ჰყავს უამრავი მტერიო, — ამბობდნენ მისი მოკეთეები. — არც დღე სძინავს და არც ღამე. თავზე ადგას სკოლების, ხიდების, სამკურნალოების, ეკლესიების მშენებლობას. მისი დამსახურებაა ფოთში ელექტროტრამვაის შეყვანაც, პორტიდან ქალაქის ცენტრში რომ გადაჰყავს ხალხიო.

**ჭაობიანი, პატარა ფოთი მოკლე დროში ევროპულ ქალაქად გადააქცია.** რვაჯერ წავიდა პეტრეს ქალაქში, რათა რუსეთის უმაღლესი ხელისუფლება დაერწმუნებინა პორტის აშენების აუცილებლობაში.

მარტო ფოთის ქალაქის ხმოსნების ამომრჩევლებისადმი მიმართვაში რაც წერია, ისაა საკმარისი, ამ დიდებული კაცის ღვაწლი დაინახოო. აბა, ნახეთ:

**ნიკო ნიკოლაძე 18 წელიწადი ფოთს საკუთარი შვილივით უვლიდა, ააყვავა, დაამშვენა... მან ჭაობიანი პატარა ფოთი მოკლე დროში ევროპულ ქალაქად გადააქცია**




**ახლა სხვა დროა: ახლა თუნდაც ნაყინის მომპარავს პასუხს მოსთხოვენ, მაგრამ მილიონების ქურდს დაჭერის არ ეშინია. აგერ, ბატონო, გიგი უგულავა, ქალაქ თბილისის მერობის პერიოდში 53 თუ 54 მილიონის გაფლანგვაში სდებდნენ ბრალს, მაგრამ რა? ახლა ფოთის მერად იყრის კენჭს და ამომრჩეველს უტიფრად უყურებს თვალებში. დიახ, ფოთის მერობა სურს და ისეთ დაპირებებს იძლევა, შემსრულებელი რომ იყოს, ნიკო ნიკოლაძის სახელს დაჩრდილავდა**

წყალდიდობისგან აკლებულ ფოთს ულმობელ სტიქიისაგან შველა ესაჭიროებოდა, ამისათვის ქალაქს ირგვლივ ჯებირი შემოავლო და ახლა წყალი ისე თავისუფლად ვერ დასეირნობს ქუჩებში, როგორც წინათ;

შავს ვარსკვლავზე დაბადებული პორტი მკვდრეთით აღადგინა. ნავსადგურის განახლებით ფოთსა და საქართველოს დიდი სარგებლობა მოუტანა, ევროპა დაგვიახლოვა, აღებ-მიცემობა გააძლიერა;

გადაჭიმა სამი ხიდი, რომელთაგან ორი ქალაქსა და დიდ კუნძულს პორტთან აერთებს და მესამე — ფოთელების მასაზრდოებელ გურიასთან; ახალი ხიდების აგებით გააუქმა მდინარე მალთაყვასა და რიონზე ნავებით გადასაყვან-გადმოსაყვანი უზომო გადასახადი, გაჭირვებულ ხალხის შემავიწროებელი;

მოსპო ძველ რკინის ხიდზე დაწესებული ბაჟი;

ააშენა ელექტრონის სადგური, რომელიც პორტსა და ქალაქს ანათებს;

გააბა ტელეფონის ქსელი;

ნაცვლად დახავსებული სამოქალაქო და სახელოსნო სასწავლებლების ხის სახლებისა, ააგო ლამაზი აგურის ორსართულიანი შენობები, რომლებსაც მხარს უმშვენებდა ახალდაარსებული გიმნაზიების ქვის შენობები და სხვა სკოლები;

მოხერხებულ ადგილას გადაიტანა უხერხულ ადგილას მოთავსებული სავაჭრო მოედანი;

უზრუნველყო მცხოვრებლების სუფთა წყალით მომარაგება;

განაახლა ქალაქის კოშკი და მის გვერდით ამართა უზარმაზარი ეკლესია ბიზანტიის სტილზე;

სამკურნალოსა და პოლიციას საკუთარი ბინა მოუპოვა;

მოაწყო ცხენის რკინიგზის ლიანდაგი;

უზრუნველყო ნავსადგურში მიმავალი ქუჩებისა და სხვა გზატკეცილების მოკირწყვლა;

ქალაქის განაპირა ადგილები (ჩოჩხატის აგარაკი) ბანკიდან შეიძინა;

საქონლის საწყობები გამართა პორტსა და ელევატორში;

ხოლო ნახევარკაპიკიანი საფუთო გადასახადის დაარსებას ისეთი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქალაქის ფინანსებისთვის, რომ მისი წყალობით სულდგმულობდა ადგილობრივი კულტურული დაწესებულებანი.

მიუხედავად ამისა, ასეთი ქალაქის თავის გვერდითაც მოიძებნენ ტალახის მსროლელი ადამიანები, რომლებიც მისი ღვაწლის დაკნინებას ცდილობდნენ. ნიკო ნიკოლაძეს კოლოსალური ოდენობის ქრთამის — 358 000 მანეთის აღებაში დასდეს ბრალი. გაზეთი „ბათუმი“ წერდა, რომ „უფალ ნიკოლაძეს“ თითქოს ფული ფოთის პორტის მშენებელ კომპანია „ბუნგე-პალაშკოვისგან“ აეღოს. ბატონი ნიკო არ უარყოფდა ფულის მიღებას, მაგრამ ამბობდა, რომ ეს თანხა ჰონორარის სახით აიღო კერძო სამუშაოს შესრულებისთვის....

უცნაური ხალხი ვართ. ადამიანი სახელს მოიხვეჭს თუ არა, იმ წამს ყველა მის წინააღმდეგ ვირაზმებით, მის ლანძღვა-გინებას ვიწყებთ, მისი გათელვა გვწადია.

**ახლა სხვა დროა: ახლა თუნდაც ნაყინის მომპარავს პასუხს მოსთხოვენ, მაგრამ მილიონების ქურდს დაჭერის არ ეშინია. აგერ, ბატონო, გიგი უგულავა, რომელსაც ქალაქ თბილისის მერობის პერიოდში 53 თუ 54 მილიონის გაფლანგვაში სდებდნენ ბრალს, მაგრამ რა? ახლა ფოთის მერად იყრის კენჭს და ამომრჩეველს უტიფრად უყურებს თვალებში. დიახ, ფოთის მერობა სურს და ისეთ დაპირებებს იძლევა, შემსრულებელი რომ იყოს, ნიკო ნიკოლაძის სახელს დაჩრდილავდა.**

„პორტი უნდა შემობრუნდეს ქალაქისკენ და ქალაქი ზღვისკენ.

ზღვა დღეს ქალაქს ართმევს მიწას, პორტი მოწყვეტილია ქალაქის ცხოვრებას, ზღვიდან არ შემოდის ტურისტი, თევზის რეწვა მხოლოდ თევზის სუნს ტოვებს ქალაქში, მაშინ, როცა ფოთში თევზის ბაზარიც კი არ არსებობს. ეს აბსურდული სიტუაცია უნდა შევცვალოთ...“ და ა.შ. მეტს აღარ გავაგრძელებთ, ისედაც მალე ვნახავთ, ვინ დაიჯერებს „ნაციონალური მოძრაობის“ უბეში გამოზრდილი სახელგატეხილი კაცის დანაპირებს. იქნებ ვინმემ თქვას, სახელი ნიკო ნიკოლაძესაც კი გაუტყდა, როცა 1914 წელს ქრთამის აღებისთვის თანამდებობიდან გადააყენეს და მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეც აღიძრა; და, თუ ნიკოლაძე მთავარ ბრალდებაში სასამართლომ გაამართლა, არც გიგი უგულავასთვის დაუმტკიცებიათ მილიონების ჩაჯიბვაო... განსხვავება ძალიან დიდია: მაშინ ფოთის ადმინისტრაციის ჩინოვნიკები, ქალაქის ვაჭრები და მოსახლეობა ერთიანად დაირაზმნენ დედაქალაქში გუბერნატორთან ჩამოსასვლელად, რათა მისთვის ეთხოვათ ნიკო ნიკოლაძის ფოთის თავის თანამდებობაზე დატოვება. მართლაც და, ვინ დაიჯერებდა ბატონ ნიკოლაძის ულირს საქციელს?! მიუხედავად ხალხის თანაგრძნობისა და ნდობისა, ამ ამბის შემდეგ დიდმა მამულიშვილმა საქართველო დატოვა, 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში და სიკვდილამდე ემსახურა სამშობლოს. გიგი უგულავას „საქმენი საგმირონი“ კი მთელი ამ წლების განმავლობაში კარგად უწყის საზოგადოებამ და არც მე ვაპირებ შეხსენებას. უბრალოდ, თვითმმართველობის არჩევნებამდე დარჩენილი რამდენიმე დღე იმაზე ვიფიქროთ, ვის შეიძლება ვანდოთ ხალხის ბედი, **ვინ უშველის ჩვენს გაჭირვებულ მოსახლეობას, ვინ შეუმსუბუქებს მძიმე ყოფას.**

**P.S. ბატონმა გიგიმ შეიძლება ლუარსაბივით მისაყვედუროს: „— რაღა მე წამავლე, შე ულმერთოვ, ხელი, ათასია სხვა ჩემისთანა“.**

**მეც ილიას სიტყვებით ვუპასუხებ: „— აბა უფრო მაგისთვის წაგავლე, რომ შენ ათასსა ჰგევხარ და ათასი შენა“.**

მედიცინის პოლიტეკონომია

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბროვერი მიმოიხილავს უსარგებლო და ჯანმრთელობისთვის სახიფათო სამკურნალო პრეპარატებს, რომლებსაც იყენებს ალოპათიური მედიცინა და მოჰყავს ჯანმოს ერთ-ერთი აღიარება, როცა ეს ორგანიზაცია ჯერ კიდევ არ იყო ასე ძლიერად დამოკიდებული „ბიგ ფარმაზე“ და სიმართლის თქმა შეეძლო. ჯანმომ აღიარა, რომ ადამიანის განკურნებას ყველა დაავადებისგან 200 მედიკამენტი ეყოფა. იმ 10 ათას სამკურნალო პრეპარატს, რომლებიც XX საუკუნის 90-იან წლებში ყველა ქვეყნის სააფთიაქო ქსელში ტრიალებდა, ბროვერი ადარებს „ატომურ ბომბს, რომელსაც ბუზის წინააღმდეგ იყენებენ“.**

**XX საუკუნის ბოლოს ორმა პროფესიონალმა მედიკოსმა — ჟაკ ლაკაზემ და ლუი ბროვერმა — საფუძველი ჩაუყარეს იმას, რასაც შეიძლება ვუწოდოთ „მედიცინის პოლიტეკონომია“. მათ დამაჯერებლად აჩვენეს, რომ წარმოების კაპიტალისტური მეთოდი ვლინდება არა მხოლოდ მრეწველობის სფეროსა და წარმოების სხვა დარგებში, არამედ სოციალურ სფეროშიც, განსაკუთრებით მედიცინაში, რომელიც აერთიანებს სამკუნალო დაწესებულებებს, ფარმაცევტულ მრეწველობასა და სადაზღვევო კომპანიებს.**

# «ბიგ ფარმა» — ტრანსნაციონალური მაფია

1999 წელს საფრანგეთში გამოვიდა წიგნი „ფარმაცევტული და აგროსასურსათო მაფია. მისი მოღვაწეობის შედეგებია ალოპათიური მედიცინის დისკრედიტაცია და დასავლეთის მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის პრობლემები“ **(La mafia pharmaceutique et agroalimentaire. Avec pour cosequences le discrღdit de la mღdecine allopathique et le grave ღtat sanitaire des populations du monde occidental*)*.**

ამ წიგნის ავტორი, **ლუი ბროვერი,** მოლეკულური ბიოლოგიისა და ჰომეოპათიის სპეციალისტია. 1990 წელს რენე დეკარტის უნივერსიტეტის (პარიზი) სამედიცინო ფაკულტეტზე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ურთიერთობა ექიმებსა და საზოგადოებას შორის“. ის არის ვიცეპრეზიდენტი საერთაშორისო ლიგისა „ექიმები ვივისექციის აკრძალვისთვის“ (LIMAV). ეს ორგანიზაცია 70 ქვეყნის 1600 მედიკოსს აერთიანებს. ბროვერი არის, აგრეთვე, გარემოს დაცვისთვის ექიმების საერთაშორისო საზოგადოების კომიტეტის დირექტორთა კომიტეტის წევრი (ISDE), რომელიც აერთიანებს 102 ქვეყნის 45 ათას ექიმს. ლუი ბროვერი არის 12 სამეცნიერო წიგნის ავტორი, მათ შორის ყველაზე ცნობილია ზემოხსენებული — „ფარმაცევტული და აგროსასურსათო მაფია“.

აი, ერთ-ერთი საკვანძო ფრაგმენტი ამ წიგნიდან: **„მეორე ათასწლეულის გარიჟრაჟზე უნდა გადაიხედოს ყველაფერი, რაც შეეხება თერაპიას, ის, რაც ახლა ძალიან სჭირდება მედიცინის მუშაკებს, არის ინტელექტუალური რევოლუცია, რომლის გამარჯვების შემდეგ შეიქმნება სასიკეთო პირობები უარის სათქმელად მოძველებულ დოგმებზე, მცდარ პრინციპებსა და დაუსაბუთებელ მოთხოვნებზე. ალოპათიური მედიცინა ცდება, თუ იმედი აქვს, რომ კიდევ დიდხანს იარსებებს, განაგრძობს შედეგის მკურნალობას და არ შეებრძოლება დაავადების მიზეზებს ადამიანის ორგანიზმის თავისებურებებიდან გამომდინარე. დაავადება არასოდეს ვლინდება შემთხვევით. მისი მაპროვოცირებელია დასუსტებული ორგანიზმი და წამლები, რომლებიც მოქმედებს ცოცხალ ორგანიზმზე მხოლოდ იმისთვის, რომ ის საფუძვლიანად შეარყიოს და შექმნას პირობები სხვა დაავადების გაჩენისთვის, ხშირად უფრო სერიოზულისთვის, ვიდრე თავდაპირველია “.**

ბროვერი თავის წიგნში წერს ალოპათიური მედიცინაზე. მას ჰომეოპათები ფარმაკოთერაპიისა და ოფიციალური მედიცინის სხვა მეთოდების აღსანიშნავად იყენებენ. ზემოთ მოყვანილი ფრაგმენტი შეიცავს ღრმა აზრებს, რომლებსაც ადამიანთა მხოლოდ 1 პროცენტი ითვალისწინებს, დანარჩენები ცხოვრობენ იმ შაბლონებითა და სტერეოტიპებით, რომლებსაც საზოგადოებას თავს ახვევს ოფიციალური მედიცინა. მას ლუი ბროვერი **„სამედიცინო მაფიას“** უწოდებს.

ლუი ბროვერის აზრით, „სამედიცინო მაფიას“ წარმოადგენენ გიგანტური ფარმაცევტული კორპორაციები. ის იმედოვნებს, რომ შეცვლის სამედიცინო აზროვნების სტერეოტიპებს თუნდაც საზოგადოების იმ ნაწილში, რომელიც თავს ინტელექტუალებს მიაკუთვნებს. ის აყალიბებს „მედიცინის პოლიტეკონომიის“ რამდენიმე საკვანძო თეზისს.

*** თეზისი პირველი. ალოპათიური მედიცინა მიმართულია დაავადებების შედეგების შესუსტებისკენ და არ აღმოფხვრის მის მიზეზებს;**

*** თეზისი მეორე. ალოპათიურ მედიცინაში გამეფებულია მოძველებული და მცდარი დოგმები;**

*** თეზისი მეოთხე. ალოპათიური მედიცინა არ აღიარებს პროფილაქტიკურ ზომებს;**

*** თეზისი მეხუთე. ალოპათიური მედიცინა არ ითვალისწინებს ადამიანის ბუნებრივ შესაძლებლობებს;**

*** თეზისი მეექვსე. ალოპათიური მედიცინა არ არის მეცნიერული, რადგან თვითონ არ არის მეცნიერება;**

*** თეზისი მეშვიდე. ალოპათიური მედიცინა კომერციულად იქცა, ხოლო ფარმაცევტული ინდუსტრია ემორჩილება წარმოების კაპიტალისტურ კანონებს.**

ჩამოთვლილი 7 თეზისი ქმნის კარკასს, სისტემას იმ თვალსაზრისებისა, რომლებსაც შეიძლება თანამედროვე მედიცინის პოლიტიკური ეკონომია ეწოდოს.

**ბროვერი მიმოიხილავს უსარგებლო და ჯანმრთელობისთვის სახიფათო სამკურნალო პრეპარატებს, რომლებსაც იყენებს ალოპათიური მედიცინა, და მოჰყავს ჯანმოს ერთ-ერთი აღიარება, როცა ეს ორგანიზაცია ჯერ კიდევ არ იყო ასე ძლიერად დამოკიდებული „ბიგ ფარმაზე“ და სიმართლის თქმა შეეძლო. ჯანმომ აღიარა, რომ ადამიანის განკურნებას ყველა დაავადებისგან 200 მედიკამენტი ეყოფა. იმ 10 ათას სამკურნალო პრეპარატს, რომლებიც XX საუკუნის 90-იან წლებში ყველა ქვეყნის სააფთიაქო ქსელში ტრიალებდა, ბროვერი ადარებს „ატომურ ბომბს, რომელსაც ბუზის წინააღმდეგ იყენებენ“.**

და ის განაგრძობს: „ ალოპათიური მედიცინა ისეთად, როგორიც ახლა არის, მედიკამენტების 7 კატეგორიის წყალობით იქცა, რომლებიც ბოლო 50 წლის განმავლობაშია წარმოებული. წამლების ეს 7 კატეგორია ჰგავს შუბის წვერს, რომელიც მიმართულია ავადმყოფების გასანადგურებლად. მათ გარეშე ალოპათიური მედიცინა დიდი ხნის დავიწყებული იქნებოდა ნაკლებად აგრესიული წამლების სასარგებლოდ. ამას კი ალოპათიური მედიცინა უნდა უმადლოდეს ფარმაცევტულ ლაბორატორიებს, რომელთა გარეშე ის ვერ იარსებებდა“.



**«ალოპათიური მედიცინა ისეთად, როგორიც ახლა არის, მედიკამენტების 7 კატეგორიის წყალობით იქცა, რომლებიც ბოლო 50 წლის განმავლობაშია წარმოებული. წამლების ეს 7 კატეგორია ჰგავს შუბის წვერს, რომელიც მიმართულია ავადმყოფების გასანადგურებლად. მათ გარეშე ალოპათიური მედიცინა დიდი ხნის დავიწყებული იქნებოდა ნაკლებად აგრესიული წამლების სასარგებლოდ. ამას კი ალოპათიური მედიცინა უნდა უმადლოდეს ფარმაცევტულ ლაბორატორიებს, რომელთა გარეშეც ის ვერ იარსებებდა»**






ლუი ვროვერი და მისი წიგნი

ზემოხსენებული მედიკამენტების კატეგორიებიაა: **1. ანტიბიოტიკები; 2. ანთების საწინააღმდეგო და ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები; 3. ანტიჰიპერტენზიული საშუალებები; 4. ათეროსკლეროზის საწინააღმდეგო საშუალებები; 5. ანტიდეპრესანტები და ტრანკვილიზატორები; 6. კიბოს საწინააღმდეგო საშუალებები; 7. ვაქცინები.**

ნაცვლად იმისა, რომ იბრძოლოს გონებრივი და ფიზიკური ერთიანობისთვის, დაავადების პრევენციისთვის ბუნებრივი საშუალებებით, ვიტამინების, ბუნებრივი მინერალების გამოყენებისთვის, რაციონალური კვებისა და ნორმალური ცხოვრების წესის რეკომენდაციების შესასრულებლად, ბუნებრივი წარმოშობის პრეპარატებით მკურნალობისთვის, ალოპათიური მედიცინა მოლოდინის რეჟიმშია, სანამ თქვენს ორგანიზმში რაღაც დარღვევა თავს იჩენს და გაიძულებთ, მიმართოთ ექიმ-ალოპათს თხოვნით, ზემოჩამოთვლილი 6 კატეგორიიდან (6 იმიტომ, რომ ვაქცინები დაავადებისგან თავის აცილების გამაფრთხილებელ საშუალებად გამოიყენება) რაღაც გამოგიწეროთ“.

ლუი ბროვერმა **ვაქცინები** მიიჩნია ერთადერთ ჯგუფად, რომელიც მოწოდებულია, ადამიანი გააფრთხილოს, თავიდან აიცილოს დაავადება და, როგორი უცნაურიც უნდა იყოს, ამ მიმართულებას ის განსაკუთრებით სახიფათოდ მიიჩნევს ადამიანების ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის.

**„ალოპათიურმა მედიცინამ ვაქცინაციის დახმარებით გადაწყვიტა, კურსი შეეცვალა და პროფილაქტიკური საშუალებით დაკავებულიყო, მაგრამ ამაზე შეიძლება ითქვას, რომ ეს არის არა მედიცინის მიღწევა, არამედ წარუმატებელი ნაბიჯი არჩეულ გზაზე. აშკარაა, რომ ვაქცინაციის სისტემა, რომელმაც უზარმაზარი მოგება მოუტანა მსოფლიოში ბევრ ლაბორატორიას, პლატფორმაა ახალი დაავადებებისთვის, რომლებიც ადამიანის იმუნური სისტემის დაზიანების შედეგად სახელმწიფოებს აზიანებენ. იმუნური სისტემა, რომელიც პერიოდულად ირღვევა პროფილაქტიკური „ვაქცინაციებით“, თანდათან კარგავს მეხსიერებას როგორც სხვადასხვა ინფექციის, ისე თავისი პოტენციური შესაძლებლობების მიმართ“.**

თანამედროვე ალოპათიური მედიცინის არსენალში არსებული სამკურნალო პრეპარატების მიმოხილვის შემდეგ ბროკერი ასკვნის: „...ალოპათიურ მედიცინაში ფართოდ გამოყენებულმა 7 კატეგორიის მედიკამენტებმა, ერთი მხრივ, ვერ დაამტკიცა თავიანთი საიმედოობა, მეორე მხრივ, მეტისმეტად სახიფათოც აღმოჩნდა. აქედან გამომდინარე, მათი გამოყენება შეიძლება, როგორც უკიდურესი საშუალება, ისიც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. ამის შესახებ მშვენივრად იციან იმ ლაბორატორიის ხელმძღვანელებმა, რომლებიც ამ პრეპარატებს ამზადებენ, მაგრამ მხოლოდ მოგებაზე ფიქრობენ. **მედიკოსი-ალოპათები ამ პრეპარატებს იმიტომ უნიშნავენ პაციენტებს, რომ მათ აკრძალული აქვთ სხვა წამლის გამოწერა და იმიტომ, რომ მათ ავალდებულებენ მხოლოდ ამ სახეობის პრეპარატების დანიშვნას ადამიანებისთვის; ხოლო მათ წინააღმდეგ, ვინც პაციენტს დაუნიშნავს სხვა წამალს, იწყება დევნა საფრანგეთის ექიმების ასოციაციის მხრიდან გაკიცხვის, თანამდებობებიდან დროებით გადაყენების ან ასოციაციიდან გარიცხვის სახით.** ექიმი-ალოპათები სრულიად დამოკიდებულნი არიან ლაბორატორიებსა და მათ ხელმძღვანელებზე, რომლებსაც მაღალი თანამდებობები უკავიათ სახელმწიფო ორგანოებში... ისინი გაებნენ გარყვნილი სისტემის მახეში, რომელსაც ალოპათიური მედიცინა დისკრედიტაციისკენ მიჰყავს, დროთა განმავლობაში კი — სრული განადგურებისკენ“.

მას შემდეგ, რაც ცნობილმა ფრანგმა ექიმმა ეს სიტყვები დაწერა, 22 წელი გავიდა, მაგრამ ალოპათიური (კომერციული, კაპიტალისტური) მედიცინა კვლავ განაგრძობს მსოფლიოსთვის თავისი წესების კარნახს.

**Ru-an.info-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

**ახალგამოჟონილი მონაცემების მიხედვით, ამერიკელი სამხედრო მეცნიერები თბილისში მიავლინეს იმ პროგრამის განსახორციელებლად, რომელზეც მუშაობა აშშ-ში აკრძალულია, საერთოდ, რაზეა ლაპარაკი, გაუგებარია. ეს კი ნიშნავს იმას, რომ განზრახულია რაღაც საშინელი, რასაც იანკები ქართველებს, რა თქმა უნდა, არ ეტყვიან.**

ბიოიარაღის პოლიგონი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# თბილისის ლუგარის ცენტრში რაღაც საზარელი განუზრახავთ: ვინ უნდა უფრთხოდეს C ჰეპატიტის ეპიდემიას?

## პენტაგონის ლაბორატორიიდან გამოჟონილი მონაცემები მოწმობს, რომ ადამიანებზე საშინელ ექსპერიმენტებს ატარებენ — საქართველო ბიოლოგიური იარაღის გამოსაცდელ პოლიგონად იქცა

**ჰაკერულ ფორუმ Raid Forums-ზე გამოაქვეყნეს ელექტრონული წერილები თბილისში პენტაგონის ბიოლაბორატორიას (ლუგარის ცენტრი), ქართველოში აშშ-ის საელჩოსა და საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შორის. ამ დოკუმენტებში საუბარია 161 მლნ დოლარის ღირებულების საიდუმლო პროექტზე, რომელიც სტარტს უახლოეს ხანში აიღებს.**

ინტერნეტრესურს Arms Watch-ის მოხალისეებმა ლუგარის ლაბორატორიიდან გამოჟონილი მონაცემები გააანალიზეს და მივიდნენ დასკვნამდე: **„პენტაგონი თავისი სამხედრო რესურსებისა და აშშ-ის დაავადებათა კონტროლის ცენტრების (Centers for Disease Control CDC) რესურსების გაერთიანების შემდეგ გეგმავს, საქართველო ბიოლოგიური კვლევების უდიდეს ცენტრად გადააქციოს. ამ საიდუმლო წერილების მიხედვით, თბილისში უნდა ჩავიდეს (ან უკვე ჩავიდა) სამხედრო ექიმებისა და CDC-ის წამყვანი სპეციალისტების 16-კაციანი ბრიგადა. მათთვის საქართველოში აშენდება ცალკე ლაბორატორია VSL-2, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება ვერ გააკონტროლებს, აგრეთვე, ადმინისტრაციული შენობა და კორპუსი.** ეს შენობები ლუგარის ლაბორატორიის ახლოს აშენდება. ამ ბიოსაშინელებას გამომძიებელი ჟურნალისტები მოიხსენიებენ, როგორც მოედანს, რომელზეც ამზადებენ სასიკვდილო გადამდებ სნეულებებს.

აღსანიშნავია, რომ საიდუმლო წერილებში საქართველო პოზიციონირებს, როგორც აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის პენტაგონის ბიოლაბორატორიების მართვის ცენტრი.

როგორ უნდა მოაწონო თავი ამერიკას, რომ უკრაინას გრანტები წაართვა ახალი ბიოლოგიური ექსპერიმენტისთვის? **როგორც ჩანს, ვაშინგტონს არ სჯერა, რომ კიევი საბოლოოდ ჩამოყალიბდა რუსოფობიურ ქვეყნად და თავისი ბინძური საქმეებისთვის თბილისი აირჩია.**

ექსპერტებმა მყისვე განაცხადეს ორმაგი დანიშნულების კვლევებსა და უსაფრთხოების დაბალ სტანდარტებზე თბილისის ბიოლოგიურ ლაბორატორიაში. **თბილისის რაიონ ალექსეევკაში, სადაც განლაგებულია ეს ლაბორატორია, ადგილობრივებმა ჟურნალისტებს განუცხადეს, რომ ლაბორატორიის თანამშრომლები ღამღამობით საიდუმლოდ წვავენ მკვდარ ცხოველებს, აგრეთვე, რაღაც ნარჩენებს ყრიან აქვე ახლოს ჩამდინარე მდინარეში.**

როგორც Arms Watch-ი წერს, ახალგამოჟონილი მონაცემების მიხედვით, ამერიკელი სამხედრო მეცნიერები თბილისში მიავლინეს იმ პროგრამის განსახორციელებლად, რომელზეც მუშაობა აშშ-ში აკრძალულია, საერთოდ, რაზეა ლაპარაკი, გაუგებარია. ეს კი ნიშნავს იმას, რომ განზრახულია რაღაც საშინელი, რასაც იანკები ქართველებს, რა თქმა უნდა, არ ეტყვიან.

გამორიცხული არ არის, რომ ე.წ. ლუგარის ლაბორატორიაში შექმნილი შემდგომ სამხედროებს გადაეცეთ. კერძოდ, **პროექტ №1059**-ში, რომლის მიხედვითაც ორთოპოქსვირუსები (Orthopoxvirus) უნდა შეიქმნას (ამ ვირუსებს შეუძლია ადამიანებისა და ძუძუმწოვრების ინფიცირება), ჩართულია ადამიანის, მაიმუნის, ძროხისა და აქლემის ვირუსები.

არსებობს კიდევ პროექტი №1439, რომელსაც ეწოდება ნეიტრალური „მოლეკულურ-ვირუსოლოგიური კვლევა საქართველოში“, მაგრამ კავშირი აქვს ჰანტავირუსის შტამებსა და ყირიმ-კონგოს ჰემორაგიულ ციებ-ცხელებასთან. ამ პროგრამის ფარგლებში ამერიკელებმა თბილისში ლუგარის სახელობის ლაბორატორიაში თავი მოუყარეს მღრღნელებისა და ექტოპარაზიტების (ტკიპები და რწყილები) მსოფლიოში ყველაზე დიდ კოლექციას.

თუ კორონავირუსი SARS-Cov-2 მართლაც ხელოვნურად არის შექმნილი, არ არის გამორიცხული, რომ COVID-19-მა ლუგარის ცენტრიდან „გაჟონა“.

საქმე ის არის, რომ **2017 წელს თავდაცვის საფრთხეების შემცირების ამერიკულმა სააგენტომ (DTRA) ღამურებისა და კორონავირუსების შესახებ აამუშავა 6,5 მლნ დოლარის ღირებულების პროექტი სამხრეთ კავკასიასა და დასავლეთ აზიაში (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი და იორდანია) და კვლევების ჩატარების ბაზად თბილისის ლაბორატორია აირჩია.**

ორიოდე სიტყვა ამ პროექტზე.

**ამ პროექტს კურატორობს აშშ-ის არაკომერციული ორგანიზაცია Eco Health Alliance — პენტაგონის ოფიციალური მოიჯარე. პროექტის პრეზენტაციაზე განაცხადეს, რომ თბილისის ბიოლაბორატორიაში უნდა გამოიკვლიონ 5 ათასი ღამურა და 20 ათას ნიმუშის (ნაცხი პირის ღრუდან, სწორი ნაწლავიდან) სისხლს ჩაუტარდეს ე.წ. პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის (ე.წ. PCR) ტესტი.**

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ Eco Health Alliance უჰანის ვირუსოლოგიის ინსტიტუტთან ერთად ახორციელებდა აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს კვლევით პროგრამას ღამურებზე, მაგრამ ჩინელ მეცნიერებთან კონტაქტი პანდემიის დაწყებამდე გაწყვიტეს, საქართველოში კი ურთიერთობა დღემდე შენარჩუნებულია.

Arms Watch-ი წერს: **„მიუხედავად საქართველოსა და აშშ-ის ოფიციალური განცხადებისა, რომ ლუგარის ცენტრს ამ კავკასიური ქვეყნის მთავრობა სრულად აკონტროლებს, შიდა დოკუმენტები საწინააღმდეგოს მოწმობს. საქართველოში პენტაგონი არა მხოლოდ ბიოლოგიური კვლევების პროგრამებს აფინანსებდა, არამედ ფარავდა უსაფრთხოებისა და ტექნიკური მომსახურების ყველა ხარჯს, მათ შორის კომუნალურ გადასახადებსაც — წყლის, ბუნებრივი აირის, დასუფთავების“.**



| | | | |
|---|---|---|---|
| EASL - International Liver Foundation | [illegible] 2019 წლის 6 და 7 მარტს | $ 4,000 | 7/03/19-7/05/19 |
| GIZ [illegible] | [illegible] | GEL 73.006 | 01/01/19-31/12/19 |
| EcoHealth Alliance [illegible] | [illegible] | $ 71.500 | 24/10/18-23/10/19 |
| UNFPA United Nations Population Fund [illegible] | [illegible] | $ 83.220 | 01/02/19-31/12/19 |
| Evero commision [illegible] | [illegible] | € 29.275 | 01/02/19-31/01/21 |
| LIFER - The Liver Institute and Foundation for Education and Research [illegible] | [illegible] C ჰეპატიტის [illegible] (GHOST) [illegible] | $ 20.000 | 11/06/19-23/06/20 |

სახიფათო პროექტებს ხელმძღვანელობენ უოლტერ რიდის სახელობის სამეცნიეროკვლევითი ინსტიტუტის ფილიალის სპეციალურ ქვედანაყოფ USAMRU-Georgia-ს ოფიცრები. სხვათა შორის, **USAMRU-Georgia-ს ექსპერიმენტში ტულპრემიაზე (ზოოანთროპონოზური ინფექცია, რომელიც იწვევს ინტოქსიკაციას, ციებ-ცხელებასა და ლიმფური კვანძების დაზიანებას) ქართველი ჯარისკაცები და ადგილობრივი მცხოვრებლები მონაწილეობდნენ. სულ 900 მოხალისე (სამხედრო მოსამსახურე და სამოქალაქო პირი) შეგროვდა DTRA GG-19-ის პროექტისთვის, „ტულარემიის ეპიდემიოლოგია და ეკოლოგია საქართველოში“.** ადამიანებზე ცდები ტარდებოდა 2014-2017 წლებში. ამ მოხალისეებისგან აიღეს სისხლი და შეამოწმეს ტულარემიაზე. კვლევის ანგარიშში განმარტებული არ არის, რის საფუძველზე ჩართეს ჯარისკაცები „ტულარემიის“ პროექტში და როგორ დაინფიცირდნენ ისინი.

სამაგიეროდ, **გამოჟონილი მონაცემებიდან ცნობილი შეიქნა, რომ საქართველომ აშშ-ის საელჩოს მიმართა თხოვნით, დახმარებოდნენ ქვეყანაში მეორე სამხედრო ჰოსპიტლის მშენებლობაში, რაც, ალბათ, დაკავშირებულია ბიოლაბორატორია BSL-2-ისგან მომდინარე საფრთხესთან. ნებისმიერ შემთხვევაში საქართველოს ჯანდაცვის მაღალჩინოსნებს „ერიდებათ“, ჰკითხონ ამერიკელებს, რა უნდა გააკეთოს მათ ქვეყანაში ახალმა ამერიკულმა ბიოლოგიურმა ცენტრმა. ქართველები აცნობიერებენ, რომ სუვერენიტეტი დაკარგეს, რაც ნიშნავს იმას, რომ უფლება არ აქვთ, ამერიკელებს უხერხული კითხვები დაუსვან.**

ყურადღებას იმსახურებს პროექტი №1447 „ნიმუშების აღება საქართველოში C ჰეპატიტის ლიკვიდაციის პროგრამის ფარგლებში“. ამ პროგრამას კურატორობდა და აფინანსებდა ოკეანისგაღმელი გიგანტი Gilead-ი, რომელშიც თავის ექსპერიმენტებზე, ჯამში 3,3 მლრდ დოლარი დახარჯა (არა მხოლოდ საქართველოში). საჯაროდ გამოქვეყნებული კონფიდენციალური ანგარიშებიდან ჩანს, რომ საქართველოში „ჰეპატიტთან ბრძოლის“ პროგრამაში ჩართული, სულ ცოტა, 249 პაციენტი დაიღუპა უცნობი მიზეზით.

მიმოწერიდან რთულია პროექტ №1447-ის ჭეშმარიტი მიზნების გაგება. გაუგებრობა დაკავშირებულია 65 ათასამდე პაციენტთან. ჩანს, საქმე ფულში არ იყო, რადგან ჰოსპიტალიზაციისა და წამლებისათვის გამოყოფილი 181 მლნ აუთვისებელი დარჩა, მიუხედავად იმისა, რომ ლაპარაკი იყო ადამიანების სიკვდილ-სიცოცხლეზე. საქმეს ნათელს ვერ ჰფენს ინფორმაცია ვადაგასული და გაფუჭებული წამლების შესახებ, რაც შეიძლება მიუთითებდეს რაღაც ფასეულ ექსპერიმენტებზე. უფრო მეტიც, Gilead-ისა და საქართველოს შეთანხმების ჩარჩოებში მეგაფარმაცევტული კომპანია საქართველოს გადასცემს C ჰეპატიტის საწინააღმდეგო ახალ პრეპარატებს, ოღონდ პასუხს არ აგებს ნებისმიერ ტრაგიკულ შემთხვევაზე. როგორც ჩანს, **საქართველო ბიოლოგიური იარაღის გამოსაცდელ პოლიგონად იქცა.**

არსებობს ალბათობა, რომ BSL-2-ში მივლინებული პენტაგონის 16 ექიმი-მკვლევარი განაგრძობს ექსპერიმენტებს C ჰეპატიტზე. თუ ეს დაავადება სამომავლოდ ძალიან სწრაფად დაიწყებს გავრცელებას, მაშინ, დიდი ალბათობით, ჰემოტრანსმისიური ვირუსი მოდიფიცირებული იქნება თბილისის ლუგარის სახელობის ბიოლოგიურ ცენტრში, შემდეგ კი... ამერიკული ბიოფარმაცევტული კომპანია Gileard-ი მსოფლიოს ეფექტიან, მაგრამ ძალიან ძვირ სამკურნალო პრეპარატებს შესთავაზებს.

**Svpessa.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**შიმშილი, შიში, ბრძოლა, ციმბირი — აი რა იყო რევოლუციონერის ყოველდღიური ყოფა. ყველაფერში გამორჩეულმა ძლიერმა და გამბედავმა ახალგაზრდა სტალინმა ასპარეზად ბაქო აირჩია. თითქმის დაუჯერებელია ის გაბედულება და თავგანწირვა, რომელსაც საქვეყნოდ აღიარებული ინტელექტუალი, იდეოლოგი, პროგრამისტი და რევოლუციის ოსტატი, ახალგაზრდა სტალინი იჩენდა საზოგადოების ყველა ფენაში.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №33, 2021 წ.

# სტალინი — პოლიტიკური რეალიზმის შემოქმედი

**1905 წელს რევოლუციის დამარცხებამ თითქმის ყველა პოლიტიკურ პარტიას გადაუჭრა სასიცოცხლო ძარღვი. ცარიზმის დამხობის ძლიერი წყურვილი დიდი ხნით ჩაბარდა ისტორიას. სწორედ სტალინმა დაინახა რევოლუციის დამარცხებაში ის რაციონალური მარცვალი, რომლის გათვალისწინებითაც ბოლშევიკებს თავიანთ შეცდომებზე უნდა ესწავლათ და რევოლუციის გზა მტკიცედ განეგრძოთ. ამისთვის, სტალინის აზრით, საჭირო იყო სამი რამ — იარაღი, იარაღი და კიდევ იარაღი. იარაღის შესაძენად კი საჭირო იყო სამი რამ — ფული, ფული და კიდევ ფული.**

არა მგონია, ეს სიბრძნე სტალინს **ედუარდ კარისა** და **ჰანს მორგენტაუსგან** ჰქონოდა ნასწავლი, რომ ხელისუფლების ხელში ასაღებად და მის განსამტკიცებლად იარაღი და ფულია საჭირო. სტალინი თავისი ცხოვრებით არასოდეს ცხოვრობდა და არც ვინმეს დიქტატს ემორჩილებოდა. ემიგრაციაში მყოფი ლენინისთვის ძნელი იყო იმ წინააღმდეგობათა აღქმა, რომლებიც ყოველთვის წინ ხვდებოდა რევოლუციის რაინდებს.

შიმშილი, შიში, ბრძოლა, ციმბირი — აი რა იყო რევოლუციონერის ყოველდღიური ყოფა. ყველაფერში გამორჩეულმა ძლიერმა და გამბედავმა ახალგაზრდა სტალინმა ასპარეზად ბაქო აირჩია. თითქმის დაუჯერებელია ის გაბედულება და თავგანწირვა, რომელსაც საქვეყნოდ აღიარებული ინტელექტუალი, იდეოლოგი, პროგრამისტი და რევოლუციის ოსტატი, ახალგაზრდა სტალინი იჩენდა საზოგადოების ყველა ფენაში.

რევოლუციის შტაბს უჭირს. პარტიის სალაროში 1907 წლისთვის სიმბოლური თანხა — 100 რუბლიღა დევს. ამ პერიოდში მსოფლიოს მაგნატები ოქროთი და ბრილიანტებით დატვირთულ ხომალდებს რუსეთიდან თავიანთ სამშობლოში გზავნიდნენ ზღვებისა და ოკეანეების გავლით. მაგნატებთან, როგორც წესი, ახლოს ტრიალებენ შავი სამყაროს წარმომადგენლები, რომლებსაც თავიანთი წილი ეკუთვნით მუშათა კლასის ექსპლუატაციით მიღებული მილიარდებიდან.

როგორც ჩანს და როგორც შევიტყვეთ (ჩემი წიგნები ხომ წაკითხულზე, გაგონილსა და განცდილზეა აგებული), **სტალინი ბაქოს მრეწველთა და შავი სამყაროს წარმომადგენელთა ჩაკეტილ წრეში ქარიშხალივით შეიჭრა, წააქცია, მიმოფანტა ძირმომპალი ხეები და პირისპირ აღმოჩნდა ოქროთი და ბრილიანტებით დატვირთული გემის წინ, მისმა მდევნელმა მეკობრეებმა კი ზღვის ფსკერზე ჰპოვეს თავშესაფარი. გემიდან გატაცებულმა უზარმაზარმა თანხამ, რომელიც 30 მილიონი დოლარი იყო (დღეს გაცილებით მეტი იქნებოდა), ცოტა ხნით შვება მოჰგვარა პარტიასაც და ლენინსაც. კასპიის ზღვაზე, ბაქოს სანაპიროზე 1907 წლის ძარცვამ და ნაძარცვის მასშტაბმა გააკვირვა იმჟამინდელი მსოფლიო და დიდხანს დარჩებოდა კვლევის საგნად, 1908 წელს თბილისის ცენტრალურ მოედანზე რომ არ მომხდარიყო ძარცვა, რომლის მასშტაბსაც საზღვარი არ ჰქონდა.**

შემსრულებლის სწორმა და გააზრებულმა სტრატეგიამ და ტაქტიკამ არათუ იმხანად, დღესაც თითქმის ფანტასტიკურ მოვლენად აქცია ეს თავდასხმა. ფარული ხელის მიერ დაწერილმა გეგმამ და უნაკლო შესრულებამ თბილისის 1908 წლის ძარცვას მსოფლიოს სენსაციურ მოვლენათა კვალიფიკაცია მიანიჭა. ეს პარტიული სალაროს შევსების მეორე გიგანტური წყარო იყო. სტალინი კავკასიაში თავზარდაცემის, გაუჩინარების, ყოვლისმოქმედი „დიავოლის“ სინონიმად იქცა.

**ერთხელ ბაქოს ერთ-ერთი დიდი მაგნატი, ფულის გამოძალვის მიზნით, თვით ბაქოს გუბერნატორმა გაიტაცა და გათავისუფლებისთვის დიდძალ ფულს სთხოვდა, მაგრამ მოტაცებული და მომტაცებელი თანხაზე ვერ თანხმდებოდნენ. ერთ ღამეს გატაცებულს ღრმა სარდაფში სტალინი ესტუმრა ისე, რომ ეს არც გატაცებულისათვის და არც გამტაცებლისათვის წინასწარ ცნობილი არ იყო. სტალინი გატაცებულს ექვსი საათის განმავლობაში ესაუბრა. შემდგომში სტალინისა და მაგნატის ურთიერთდამოკიდებულებაზე ისიც მიგვანიშნებს, რომ მაგნატის შთამომავლის სახლში დღესაც ყველაზე ძვირად ღირებულ საგნად მიჩნეულია მისი პაპისთვის სტალინის მიერ ნაჩუქარი შავი პიანინო, რომელიც ამჟამადაც შესანიშნავ ჰანგებს გამოსცემს.**

სულ სხვაა სტალინისა და ძმები **ნობელების** დამოკიდებულება. მათი უზარმაზარი ფინანსური იმპერია სტალინის გავლენის გამო ხელშეუხებელი იყო „შავი სამყაროს“ მხრიდან. შემდგომში **ნობელებმა რამდენიმეჯერ სცადეს, მსოფლიოს რომელიმე გამორჩეული პიროვნების პირით გაებედათ სტალინისთვის ნობელის პრემიის მინიჭება, მაგრამ მსოფლიოში არ აღმოჩნდა ადამიანი, რომელიც პირდაპირ შეჰბედავდა სტალინს ამ პრემიის შეთავაზებას, თუმცა იგი ორჯერ იყო წარდგენილი ამ პრემიაზე და ორივეჯერ უარი განაცხადა.**

მე ნაწილობრივ შევეხე იმ გახმაურებულ თუ გაუხმაურებელ ფაქტებს, რომელთა შემდეგაც ივსებოდა პარტიის სალარო და ამ საქმეში, გვინდა თუ არა, ლომის წილი სტალინს ედო. ინგლისელი ჟურნალისტი და ისტორიკოსი **საიმონ მონტეფიორე** თავის სიცრუით სავსე წიგნში „წითელი მონარქის კარი“ საკმაოდ ვრცლად აღწერს სტალინის საქმიანობას კრიმინალურ სამყაროში, მაგრამ ერთს კი სწორად შენიშნავს:

**„მიუხედავად ამ უზარმაზარი თანხების სალაროში აკუმულირებისა, სტალინს ერთი რუბლითაც არასოდეს უსარგებლია და ის ყოველთვის ჯიბეგამოფხეკილი დადიოდა“.** ლენინი ხვდებოდა, ვინ იყო პარტიის სიძლიერის საძირკვლის ჩამყრელი და ვის ჰქონდა უბადლო გონებრივი



სტალინი ტურუხანსკში

**სტალინის კოზირი, რომელსაც იგი ნებისმიერი მოწინააღმდეგის მიმართ დიდი წარმატებით ათამაშებდა, იყო რუსეთის ისტორიის ღრმა ცოდნა, ჭკუა, მოხერხებულობა, რაც მთავარია, რუსი ხალხის ნდობა და რუსი ადამიანების მიერ სტალინში დანახული უბრალოება და სიცხადე. სწორედ ამით მოხიბლა იმხანად მან დედამიწის ერთი მეექვსედი**

თუ ფიზიკური სიძლიერე პარტიაში. მას შემდეგ, რაც ათასმა წყალმა ჩაიარა, **სტალინმა შექმნა უკვდავი ნაშრომები, მათ შორის, „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი„ (ვენა. 1913 წელი). სახლს, რომელშიც სტალინი სამი კვირის განმავლობაში ცხოვრობდა 1913 წლის იანვარში და ვენის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე მდებარეობს, დღესაც მიკრული აქვს უზარმაზარი მემორიალური დაფა სტალინის ბარელიეფით, რომელზეც წერია: „აქ, ამ სახლში, 1913 წელს ცხოვრობდა იოსებ ბესარიონის ძე სტალინი, რომელმაც აქ დაწერა გენიალური ნაშრომი „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“. თბილისის სასულიერო სემინარიაში კი, სადაც 4 წლის განმავლობაში სწავლობდა იოსებ სტალინი, არათუ მუზეუმია გახსნილი, ტურისტებისთვის ერთი პატარა აბრაც კი არ არის, რომელსაც ეწერებოდა: „აქ, ამ სახლში, სწავლობდა და ცხოვრობდა ი. სტალინი“.**

ასეთი აზროვნებით ევროპაში ვერ შევალთ.

**1913 წლის მარტში სტალინი დააპატიმრეს და ტურუხანსკში გადაასახლეს. როგორც ჩანს, ამჯერად გაქცევაზე არც უფიქრია და დროებით შეურიგდა ბედს. ტურუხანსკში, სტალინის გარდა, მისი ნაცნობი სხვა პოლიტპატიმრებიც იყვნენ გადასახლებულნი. საშინელმა პირობებმა და მკაცრმა ზამთარმა სტალინის ყოფა გაუსაძლისი გახადა. ამას ემატებოდა ის ფინანსური კრიზისი, რომელიც მას ქრონიკულად სდევდა. თუ სხვა პირობებში ეს, ასე თუ ისე, ასატანი იყო, ყინ-**




სტალინის მემორიალური დაფა ვენაში

**ვასა და მუდმივ თოვლში მისი ყოფა გაუსაძლისი ხდებოდა.** აი რას წერს პეტროგრადში თავის მეგობარს, რუსეთის დუმის დეპუტატ **მალინოვსკის** სტალინი, რომელიც წლების განმავლობაში პარტიის სალაროს შემვსები და ყველა პოლიტპატიმრის პატრონი და მეთვალყურე იყო:

„გამარჯობა, მეგობარო. იძულებული ვარ, მოგწერო, რომ არასოდეს ვყოფილვარ ასეთ მძიმე ვითარებაში. გროშები, რაც გამაჩნდა, დავხარჯე. მეუფლება საშინელი განცდა ზამთრისა და ყინვის მოახლოების გამო. ამჟამად ყინვა მინუს 37 გრადუსს აღწევს, საერთო განწყობა ცუდია. არ მაქვს არც პურის, არც შაქრის, არც ხორცისა და არც ნავთის მარაგი. მთელი ფული თბილი ფეხსაცმლის ყიდვაში დამეხარჯა. მარაგის გარეშე აქ ცხოვრება შეუძლებელია, ვარ ავადმყოფი, მჭირდება რძე, შეშა. ფული არ მაქვს, არ ვიცი, ასეთ პირობებში როგორ გადავიტან ზამთარს. მე არ მყავს მდიდარი ნათესავები და მეგობრები, ვერავის მივმართავ თხოვნით, ამიტომ მოგმართავთ მხოლოდ თქვენ და არა მხოლოდ თქვენ, აგრეთვე, მივმართავ **პეტროვსკისა** და **ბადაევს.** ჩემი თხოვნა მდგომარეობს შემდეგში: თუ სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ან ბიუროს განკარგულებაში გაქვთ ფული რეპრესირებულთათვის, გამიწიეთ დახმარება 60 მანეთით მაინც. გადაეცით ჩემი თხოვნა **ჩხეიძეს** და სთხოვეთ, გულთან ახლოს მიიტანოს ჩემი სათხოვარი. ვთხოვ მას არა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი მიწა-წყლის შვილია, არამედ როგორც ფრაქციის ხელმძღვანელს. თუ ფრაქციას ამისი ფონდი არ აქვს, მაშინ უნდა მოიფიქროთ თვითონ. სხვას მე წერილს არ მივწერ. უნდა მოიფიქროთ და გააკეთოთ რამე. დღესვე უნდა გამომიგზავნოთ ფული დეპეშით, ლოდინი შეუძლებელია. ვარ ავად“.

პასუხის მოლოდინში სტალინმა დაზღვევის მიზნით მეორე წერილი გაუგზავნა პეტროგრადში მცხოვრებ მეგობარ ქალს:

**„ტატიანა ალექსეევა, მორიდებით გწერთ, მაგრამ რა ვქნა, უნდა დავძლიო უხერხულობა. კაპიკი ფული არ მაქვს, მარაგი გამითავდა, რაც კაპიკები მქონდა, თბილი ტანსაცმლის ყიდვაში დავხარჯე. საკვები პროდუქტები აქ ძალიან ძვირია. ჯერჯერობით მენდობიან და „ნისიად“ მაძლევენ, მერე რა იქნება, არ ვიცი. ღმერთმანი, არ ვიცი. შეგიძლია, მეგობრებში მოიძიო და გამომიგზავნო თუნდაც 20-30 მანეთი? ეს იქნება ჩემი ხსნა და, რაც ჩქარა იქნება, მით უკეთესი. ზამთარი ჩვენთან უკვე ძალაშია, ყინვა მინუს 33 გრადუსია, შეშა კი საკმარისი რაოდენობით არ მაქვს“.**

მალე პეტროგრადიდან ფრაქციამ 100 მანეთი გაგზავნა გაქცევის მოსამზადებლად, მაგრამ ფული გაგზავნილი იყო სვერდლოვის სახელზე და სტალინს ამ ფულთან თითქოს არაფერი ესაქმებოდა. სტალინმა სასწრაფოდ გაუგზავნა დეპეშა მალინოვსკის:

„ფული მივიღეთ, მაგრამ ეს ფული ეკუთვნის მას და მხოლოდ მას (სვერდლოვს — გრ. ონიანი). სტალინი ფიქრობდა, რომ ფული ორივესია — სვერდლოვისა და სტალინის, მაგრამ ლენინს სტალინის გვარი დაავიწყდა, როგორც ადრე, როდესაც ზინოვიევს მისწერა: „გთხოვთ, დამიდგინოთ კობას გვარი — იოსებ დჟ...?“

სტალინმა თანხა — 135 მანეთი — 1916 წლის იანვარში მიიღო. როგორც კი შეიტყო ტურუხანსკის მმართველმა კიბიროვმა, რომ სტალინმა ფული მიიღო, სასწრაფოდ მოუხსნა მას უფასო კვება, რადგან თავის რჩენის სხვა საშუალება გამოუჩნდა. სტალინს კიბიროვი იცნობდა ბაქოდან, სადაც ის ჟანდარმერიაში მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა, მაგრამ იქ ჩადენილი დანაშაულისათვის დააქვეითეს და ტურუხანსკის მმართველად გადაიყვანეს. სტა- ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„1917 წლის 14 მარტიდან იოსებ სტალინმა გამოაქვეყნა ნაშრომები: „მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების შესახებ“ (14 მარტი), „ომის შესახებ“ (16 მარტი), „რუსეთის რევოლუციის გამარჯვების პირობების შესახებ“ (18 მარტი), „ნაციონალური შეზღუდვების გაუქმების შესახებ“ (25 მარტი), „ან — ან“ (26 მარტი), „ფედერალიზმის წინააღმდეგ“ (28 მარტი). ეს ის ნაშრომებია, რომელთა საფუძველზე ლენინმა შეადგინა თავისი ცნობილი „აპრილის თეზისები“ (1917 წლის აპრილის დამდეგი). ლენინის პლაგიატს — „აპრილის თეზისებს“, რუსეთში სოციალისტური რევოლუციის განხორციელების გეგმა ეწოდა. სტალინმა ამჯერად ჩრდილში დარჩენა არჩია“.**



◀ლინისადმი მოკრძალება კიბიროვს ბაქოდან ჰქონდა გამოყოლილი. ცოტა ხანში სტალინმა ტატიანა ალექსეევასგანაც მიიღო ამანათი. მცირეოდენ თანხაზე მადლობა გადაუხადა სტალინმა მეგობარს, მაგრამ ახალი საცვლების შეძენის გამო უსაყვედურა: „მე თქვენთვის არ მითხოვია ახალი საცვლების ყიდვა, მე გთხოვეთ ჩემი ძველი საცვლების გამოგზავნა“. **სტალინს ბოლო გადასახლება 1917 წლის 7 ივნისს უთავდებოდა, მაგრამ 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ იგი 20 თებერვალს გაათავისუფლა და 1917 წლის 8 მარტს კრასნოიარსკის გავლით პეტროგრადში დაბრუნდა.**

არ მინდა, მკითხველი დავაბნიო დიდი შესავლით, სანამ მივალ სტალინის მოწაფეობის საკითხზე, მაგრამ უნდა ვკითხო მკითხველს: 1917 წლამდე სტალინისა და ლენინის ურთიერთობას ეტყობა, რომ პირველი მეორის მოწაფე იყო? ახლა კი ვნახოთ, როგორ მიმდინარეობდა ლენინ-სტალინის მასწავლებლობა-მოწაფეობა რევოლუციისა და მის შემდგომ პერიოდებში და როდის გამოიკვეთა მასწავლებელ-მოსწავლის ურთიერთობა.

**გადასახლების გაუსაძლის პირობებში 4 წლის განმავლობაში ნატანჯი და თანაპარტიელებისაგან არცთუ განებივრებული სტალინი, საეჭვოა, აღტკინებული და დიდი სიხარულით შეხვედროდა თანამებრძოლებს პეტროგრადში. შვიდჯერ გადასახლებულ და ექვსჯერ გადასახლებიდან ურთულეს პირობებში გამოქცეულ სტალინს სულ სხვა გზა ჰქონდა გამოვლილი და ღმერთისაგან სხვა მისიის აღსრულება დაკისრებული.**

გადასახლებიდან პეტერბურგში დაბრუნების პირველი დღიდანვე სტალინი „პრავდის“ ფურცლებზე გამოჩნდა და რევოლუციური მოძრაობის გრანდებთან გამართულ თეორიულ თუ პრაქტიკულ ბრძოლებში ჩაება. სტალინმა ჯოჯოხეთური სამუშაო გასწია და 1917 წლის 14 მარტიდან 1917 წლის 24 ოქტომბრამდე მეცნიერული ხასიათის 80-მდე პროგრამული ტრაქტატი გამოაქვეყნა.

**1917 წლის 3 აპრილს პეტერბურგში ემიგრაციიდან დაბრუნებულმა ლენინმა „პრავდაში“ გამოაქვეყნა იმხანად ძალიან პოპულარული ნაშრომი „აპრილის თეზისები“. თემის საკვანძო საკითხების დაწვრილებით შესწავლის შემდეგ მეცნიერებიათვის ნათელი შეიქნა, რომ ლენინის „აპრილის თეზისები“ აღებულია იმავე წლის მარტში „პრავდაში“ გამოქვეყნებული წერილებიდან: „მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოების შესახებ“, „ომის შესახებ“, „რუსეთის რევოლუციის გამარჯვების პირობების შესახებ“, „ნაციონალური შეზღუდვების გაუქმების შესახებ“.**

პროფესორ **ვახტანგ გურულის** ნაშრომში „სტალინის დიდი ექსპერიმენტი“ შავით თეთრზე წერია:

**„1917 წლის 14 მარტიდან იოსებ სტალინმა გამოაქვეყნა ნაშრომები: „მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების შესახებ“ (14 მარტი), „ომის შესახებ“ (16 მარტი), „რუსეთის რევოლუციის გამარჯვების პირობების შესახებ“ (18 მარტი), „ნაციონალური შეზღუდვების გაუქმების შესახებ“ (25 მარტი), „ან — ან“ (26 მარტი), „ფედერალიზმის წინააღმდეგ“ (28 მარტი). ეს ის ნაშრომებია, რომელთა საფუძველზე ლენინმა შეადგინა თავისი ცნობილი „აპრილის თეზისები“ (1917 წლის აპრილის დამდეგი). ლენინის პლაგიატს — „აპრილის თეზისებს“, რუსეთში სოციალისტური რევოლუციის განხორციელების გეგმა ეწოდა. სტალინმა ამჯერად ჩრდილში დარჩენა არჩია“.**

იოსებ სტალინი ძალაუფლების ხელში ჩაგდების გეგმას ხვეწდა, პოლიტიკური სიტუაციის ცვლილებებს ითვალისწინებდა. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა 1917 წლის მარტიდან ოქტომბრამდე გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნებული მისი უამრავი ნაშრომი. ლენინმა აშკარად იგრძნო სტალინის უპირატესობა და, რადგან სტალინი ჯერჯერობით არ ებრძოდა, მის ლიდერობას საფრთხეს არ უქმნიდა, ლენინი სტალინის ნააზრევს აედევნა. მდევრის როლში იყო ლენინი 1917 წლის 25 ოქტომბრის ჩათვლით.

როდესაც გენიალური აინშტაინის ფარდობითობის თეორიის გრანდიოზული მასშტაბი გასცდა ადამიანის გონიერებას და სხვა გალაქტიკაში, სხვა ცივილიზაციაში გადავიდა, უბრალო მოკვდავთ არ შეეძლოთ ამ ნაშრომის გააზრება და შეცნობა. ალბათ, ეს იყო მიზეზი, რომ ჩემი ბავშვობის წლებში გამოვიდა აკადემიკოს **ლევ ლანდაუს** ბროშურა ფარდობითობის თეორიის მარტივად ახსნის მეთოდების შესახებ.

**მახსოვს, ამ ბროშურაში ეწერა და ეხატა კიდეც, რომ, თუ ადამიანის უკან, სადღაც შორს, სპილოს დავინახავთ, ის ადამიანთან შედარებით ბუზად მოგვეჩვენება, ხოლო, თუ სპილოს ადგილიდან შევხედავთ, ადამიანი საერთოდ არ გამოჩნდება. ეს მაგალითი იმიტომ მოვიყვანე, რომ, თუ ლენინის მხრიდან შორს მდგარ სტალინს დავინახავთ, ის ბუზის ტოლად მოგვეჩვენება, მაგრამ, თუ არ დავბრმავდებით და სტალინის ადგილიდან ლენინს შევხედავთ, ლენინი შეიძლება საერთოდ არ გამოჩნდეს.**

„1917 წლის მარტიდან ოქტომბრამდე სტალინის მიერ შექმნილი რევოლუციის მომზადებისა და სოციალიზმის განვითარების პროგრამა, რომელიც ზედიზედ ქვეყნდებოდა გაზეთ „პრავდაში“, ძირითადი სახელმძღვანელო იყო ლენინისთვის რევოლუციის წინა პერიოდში. ლენინი დარწმუნდა, რომ სტალინი რევოლუციის ბაირახტარი იყო და გადაწყვიტა, მას ადევნებოდა. სტალინის კვალში ჩამდგარი ლენინი რევოლუციური საქმიანობის პრაქტიკულ გზას დაადგა, უკან დარჩა ყალბი რევოლუციური ლოზუნგები და მოწოდებები, რომლებმაც უკვე რამდენიმეჯერ აგემა მწარე მარცხი ლენინსა და მის პარტიას. ლენინის ილუზია იმპერიის დაპყრობაზე 1905-1907 წლების რევოლუციის დამარცხების შემდეგ გაცამტვერდა. რუსეთის იმპერიის ტახტზე ასვლა ბევრისთვის იყო შესაძლებელი, მაგრამ რუსეთის იმპერიის ჯეროვან მართვას განგების ნებაც სჭირდებოდა. 1905 წლის რევოლუციამ ლენინი, როგორც პოლიტიკოსი და ლიდერი, გააკოტრა. მისთვის იმპერიის ტახტზე აღზევება მიუღწეველი ჩანდა — ახალს ვერაფერს ქმნიდა და ერთ ადგილს ტკეპნიდა. ლენინისთვის სიახლე იყო ის, რომ სტალინის აზრს, ნათლად ჩამოყალიბებულს, უსახურ ციტატებად აქცევდა და „პრავდაში“ აქვეყნებდა. სწორედ ამ დროს, ასეთ ვითარებაში განგებისგან განსაზღვრული მისიის აღსრულებას იწყებს იოსებ ჯუღაშვილი — სტალინი“ (ვ. გურული, „მეფე-მამა“).

ერთ-ერთი საუბრისას აკადემიკოს **როინ მეტრეველის** წინაშე უახლესი ისტორიის მკვლევარ-მეცნიერს ბრალი დავდე ისტორიული ფაქტების გაყალბებაში. აკადემიკოსმა იცოდა, რომ მე მართალი ვიყავი, მაგრამ ჩემთან სერიოზულ საუბარს თავი აარიდა და ირონიული ღიმილით მითხრა:

— გალილეო გალილეის ძმამაც იცოდა, რომ დედამიწა ბრუნავდა, და იქვე დაიმოწმა დიდი რუსი პოეტი ევგენი ევტუშენკო: „Его брат тоже знал, что вертится земля, но у него была семия“. უფრო კარგად ჩემს დილეტანტურ დავაზე პასუხის გაცემა შეუძლებელი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ჩემთვის უძვირფასესე ადამიანს, უბრწყინვალეს მკვლევარს, მეცნიერსა და მოქართულეს, პროფესორ ვახტანგ გურულს ხელისუფლებისთვის გადახდილი აქვს ხარკი, როგორც ჟამთა აღმწერელსა და მემატიანეს, მე მაინც ვფიქრობ, რომ მისი ღვაწლი სტალინის დიდი ექსპერიმენტის შესწავლასა და გამომზეურებაში ფასდაუდებელი და განუზომელია.

ვახტანგ გურულის შეფასებით, „ვ. ლენინი მარქსისტი არასდროს ყოფილა, არც XIX საუკუნის 90-იან წლებში და არც 1917 წელს. ლენინმა თავისი მოძღვრება ლენინიზმი ბლანკიზმზე დააფუძნა, თუმცა უფრო სამართლიანი იქნებოდა, გვეთქვა, რომ ლენინმა ბლანკიზმიდან აიღო მხოლოდ ცუდი, ისევე, როგორც მხოლოდ ცუდი აიღო ანარქიზმიდან, რუსული ნაროდნიკული სოციალიზმიდან, მარქსიზმიდან. მიუხედვად ამისა, ლენინმა თავის მოძღვრებას სისტემის სახე მისცა. ვლადიმერ ლენინი ბლანკისტი არ იყო, იმიტომ, რომ მან ბლანკიზმში უარყო მთავარი — გადატრიალების განხორციელება დიდი სისხლისღვრის გარეშე; ლენინი ანარქისტი არ იყო იმიტომ, რომ მას არ ჰქონია მასების რწმენა; ლენინი ნაროდნიკი არ იყო იმიტომ, რომ სოციალურად თანასწორთა საზოგადოების შექმნა აზრადაც არ გაუვლია; ლენინი მარქსისტი არ იყო იმიტომ, რომ მან მარქსიზმში უარყო მთავარი — საზოგადოების განვითარების კანონზომიერების შეუვალობა, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროცესების ფორსირების შეუძლებლობა. **მაინც რა იყო ყველაზე მეტად მიუღებელი ლენინიზმში? — ისტორიული კანონზომიერების უარყოფა, საზოგადოების პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების კანონების უგულებელყოფა. სწორედ ამით იყო განპირობებული ყველა სხვა უარყოფითი მოვლენა ლენინიზმში** (სექტანტიზმი, ექსტრემიზმი, დიქტატურა და ა. შ.)“.

**სტალინის კოზირი, რომელსაც იგი ნებისმიერი მოწინააღმდეგის მიმართ დიდი წარმატებით ათამაშებდა, იყო რუსეთის ისტორიის ღრმა ცოდნა, ჭკუა, მოხერხებულობა, რაც მთავარია, რუსი ხალხის ნდობა და რუსი ადამიანების მიერ სტალინში დანახული უბრალოება და სიცხადე. სწორედ ამით მოხიბლა იმხანად მან დედამიწის ერთი მეექვსედი.**

**სტალინმა შექმნა უკვდავი ნაშრომები, მათ შორის, «მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი» (ვენა. 1913 წელი). სახლს, რომელშიც სტალინი სამი კვირის განმავლობაში ცხოვრობდა 1913 წლის იანვარში და ვენის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე მდებარეობს, დღესაც მიკრული აქვს უზარმაზარი მემორიახლური დაფა სტალინის ბარელიეფით, რომელზეც წერია: «აქ, ამ სახლში, 1913 წელს ცხოვრობდა იოსებ ბესარიონის ძე სტალინი, რომელმაც აქ დაწერა გენიალური ნაშრომი «მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი»**




## ყურადღება!

„ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელში შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონ გრიგოლ ონიანის წიგნ „სტალინის“ მე-6 ტომი, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის შესახებ.

ევროპის დაისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ევროპის გადარჩენა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადამიანები და ერები შეწყვეტენ მხოლოდ საკუთარი სარგებელის მიღებაზე ზრუნვას. ეკონომიკაში, სადაც ყველაფერი ერთმანეთზეა გადაჯაჭვული, ცნება „პირადი სარგებელი“ საერთოდ არ არსებობს. „ურთიერთდამოკიდებულება“ და „პირადი“ — ეს, გარკვეულწილად, ოქსიმორონია“.

# «თუ ევროპა მიგრანტების კონტინენტზე შეჭრას დაუშვებს, მაშინ ის განწირულია»

**„ევროპის ქვეყნები ომის საფრთხის წინაშე არიან, კონტინენტზე მიგრანტების ნაკადის შესვლა კი კიდევ უფრო დაამძიმებს ვითარებას. ბოლო პერიოდში, როცა ევროპის ეკონომიკა ლოკდაუნების შედეგებს იმკის, რა უნდა ქნან ევროპის ქვეყნებმა? ამას ემატება „ტორტზე ალუბალი“ — კორონავირუსი, და ყველასთვის ნათელია, რომ „ბებერ“ კონტინენტზე ვითარება ძალიან არასტაბილური და სახიფათოა, მაგრამ ოპტიმიზმის არარსებობის ფონზეც შეიძლება ვითარების დაღმავალი სპირალიდან გამოსვლის ერთადერთ გზაზე ლაპარაკი“, — წერს Times of Israel-ის ფურცლებზე ისრაელელი ექიმი და ფილოსოფოსი მიხეილ ლაიტმანი.**

„სულ უფრო ხშირად ვისმენთ ან ვკითხულობთ ინფორმაციას ევროპაში ეკონომიკური ვითარების გაუარესებაზე. ბევრი ადამიანი კონტინენტის სხვადასხვა ქვეყნიდან ამბობს, რომ მის ქვეყანაში ცხოვრება უარესდება. ამის შესახებ რამდენიმე წლის წინათ ვაფრთხილებდი, მაგრამ დღეს იგივე ამოცანებია გადასაწყვეტი, რაც ადრე იყო: ევროპელების განკურნება ეგოცენტრული ურთიერთობისგან და მიჩვევა ყურადღების გამოჩენისკენ. ეს ბებერი კონტინენტისთვის ერთადერთი გამოსავალია.

ამჟამად არანაირი მიზეზი არ არსებობს იმისთვის, რომ რაღაც მაინც გაუმჯობესდეს. **ცნობები, რომლებიც მომდის პროდუქტებისა და საცხოვრებლის გაძვირებაზე ჩეხეთის რესპუბლიკაში, უნგრეთიდან სამუშაოს საძებნელად წასულებზე, უთანასწორობის მატებაზე ესპანეთის შიდა და პერიფერიულ რაიონებში, სხვა უამრავ პრობლემაზე, რომლებზეც მაქვს ინფორმაცია — ეს მხოლოდ აისბერგის წვერია. მას ემატება მდიდარი ევროპული ქვეყნების წინააღმდეგ ევროპაში მეორე და მესამე ეშელონის ქვეყნების ბრძოლა, რომელიც არაფერში ეხმარება არც ჩაგრულებს და არც მჩაგვრელებს.**

ევროპის ქვეყნები ომის საფრთხის წინაშე არიან და კონტინენტზე მიგრანტების ნაკადის შესვლა კიდევ უფრო დაამძიმებს ვითარებას. ამას ემატება ლოკდაუნებით გამოწვეული მძიმე ეკონომიკური შედეგები, როგორც „ტორტზე ალუბალი“ — კორონავირუსი, და ყველასთვის ნათელია, რომ ვითარება ძალიან არასტაბილური და სახიფათოა.

**ოპტიმისტურად არ ვარ განწყობილი, მაგრამ, სანამ არსებობს იმედი, უნდა შევეცადოთ, ვიპოვოთ ერთადერთი გამოსავალი ვითარების დაღმავალი სპირალიდან. ევროპის გადარჩენა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადამიანები და ერები შეწყვეტენ მხოლოდ საკუთარი სარგებლის მიღებაზე ზრუნვას. ეკონომიკაში, სადაც ყველაფერი ერთმანეთზეა გადაჯაჭვული, ცნება „პირადი სარგებელი“ საერთოდ არ არსებობს. „ურთიერთდამოკიდებულება“ და „პირადი“ — ეს, გარკვეულწილად, ოქსიმორონია** (ერთმანეთთან „შეუთავსებელი“ ცნებების დაკავშირება, რომლითაც ახალი ცნება, ახალი წარმოდგენა იქმნება — ლ.მ.).

არავის შეუძლია, მიუთითოს ევროპას, რა გააკეთოს; **ევროპელებმა თავიანთი ცხოვრების მართვის სადავეები ხელში უნდა აიღონ. მათ უნდა გაითვალისწინონ თითოეული ადამიანის და არა მხოლოდ მდიდარი ქვეყნების მოსახლეობის ინტერესები, სხვაგვარად ისინი ყველას ცხოვრებას დაანგრევენ. ევროპამ უნდა ისწავლოს, რას ნიშნავს, იყო ყურადღებიანი, რათა თითოეულ ქვეყანასა თუ ადამიანს ჰქონდეს ის, რაც სჭირდება. თუ ეს უნდა იყოს საერთო ბაზარი, როგორც ევროკავშირი ამტკიცებს, მაშინ ის უნდა ზრუნავდეს საერთო კეთილდღეობაზე.** წინააღმდეგ შემთხვევაში, რა არის საერთო ბაზრის უპირველესი ამოცანა?

**იმისათვის, რომ მართლაც შეიქმნას საერთო ბაზარი, აუცილებელია საერთო ინტერესების არსებობა. ეს ნიშნავს, რომ ევროპამ, უწინარესად, უნდა შეაჩეროს მსოფლიოს ყველა კუთხიდან წამოსული ადამიანების ნაკადი, განსაკუთრებით — აზიიდან და აფრიკიდან. მათი ინტერესები მკვეთრად განსხვავდება ევროპელთა ინტერესებისგან და მათ კულტურას საერთო არაფერი აქვს ევროპულ კულტურასთან.** ეკონომიკური და სტრუქტურული პრობლემებიდან გამომდინარე, ამჟამად ევროპას არ შეუძლია უცხოტომელთა შეჭრის მიმართ ქმედითი ღონისძიებების გატარება და მათი კულტურული და რელიგიური სახის შეცვლა.

შემდეგ, როგორც კი შეაჩერებენ მიგრაციულ ნაკადს, უნდა იზრუნონ იმაზე, რომ ევროპაში ყველას ჰქონდეს ცხოვრების ღირსეული პირობები. თუ არაფრად ჩააგდებენ ევროპული ბაზრის ერთ ნაწილს მაინც, მთელი სისტემა ხუხულასავით დაინგრევა.

**საყოველთაო კეთილდღეობაზე ზრუნვა მოცემულობა უნდა იყოს და აიგოს ისეთივე პრინციპით, როგორიც არის ზრუნვა ოჯახის წევრზე, რომელსაც არავინ მიატოვებს, მაგრამ, ასე რომ იმოქმედოს, ევროპას მოუწევს ქვეყნებს შორის ომების, შეთქმულებებისა და მტრობის გამოძახილის გადალახვა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ორი მსოფლიო ომი, რომლებიც კაცობრიობამ გადაიტანა, ევროპაში დაიწყო და ამისთვის იყო მიზეზები, ამიტომ საჭიროა ის განათლება, რომელზეც წერილის დასაწყისში ვილაპარაკე: ადამიანებში ურთიერთპასუხისმგებლობის, ნდობისა და კეთილსინდისიერების აღზრდა-გაღვივება.** ამ ცვლილებების განხორციელება მხოლოდ გულმოდგინე საგანმანათლებლო პროცესით შეიძლება. თუ ამას ყველა ქვეყანა დათანხმდება, ევროპა გამარჯვებული გამოვა იმ რთული ვითარებიდან, რომელშიც აღმოჩნდა; მეორე მხრივ, თუ ევროპა უფლებას მისცემს ქვეყნებს, უარი თქვან, ურთიერთის წინაშე პასუხისმგებლობაზე ან უცხოელებს კონტინენტზე შეჭრის ნებას დართავს, მაშინ ის განწირულია. ამას არც ისე დიდი დრო დასჭირდება.









«ევროპელებმა თავიანთი ცხოვრების მართვის სადავეები ხელში უნდა აიღონ. მათ უნდა გაითვალისწინონ თითოეული ადამიანის და არა მხოლოდ მდიდარი ქვეყნების მოსახლეობის ინტერესები, სხვაგვარად ისინი ყველას ცხოვრებას დაანგრევენ. ევროპამ უნდა ისწავლოს, რას ნიშნავს, იყო ყურადღებიანი, რათა თითოეულ ქვეყანასა თუ ადამიანს ჰქონდეს ის, რაც სჭირდება. თუ ეს უნდა იყოს საერთო ბაზარი, როგორც ევროკავშირი ამტკიცებს, მაშინ ის უნდა ზრუნავდეს საერთო კეთილდღეობაზე»

**regnum.ru -ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთელმა**

ამერიკელების საპასუხოდ ფრანგებმა ვაშინგტონიდან ელჩი გაიწვიეს, აშშ-ის მამხილებელი წერილები გამოაქვეყნეს და ფეხები ამაყად დააბაკუნეს, მაგრამ არ შეიმჩნიეს, რომ მაკრონს, უბრალოდ, მიუთითეს — ახალ მსოფლიო წესრიგში მისი ადგილი „ცხოველთა ფერმაშია“. ახალ მსოფლიო წესრიგში კი ყველაფერს მართავენ „სწორი ადამიანების“ „სწორი კორპორაციები“ და არა ვიღაც ადგილობრივი ლიდერები, თუნდაც როტშილდის მიერ დანიშნული.

როტშილდის ბიჭის დამცირება

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გლობალიზმის ლიდერებს შორის შავმა კატამ გაირბინა — აშშ-მა, დიდმა ბრიტანეთმა და ავსტრალიამ არა მხოლოდ შექმნეს ახალი კავშირი, რომელსაც „ნატო ჩინეთის წინააღმდეგ“ დაარქვეს, არამედ საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი ლაფში ამოსვარეს ამერიკული სამხედრო კორპორაციების საამებლად, რადგან ამ კორპორაციებმა ავღანეთიდან ჰეგემონის გასვლის შემდეგ შემოსავალი დაკარგეს.**



# გლობალისტებმა მაკრონს მიუთითეს, რომ მისი ადგილი «ცხოველთა ფერმაშია»

**ის, რაც საფრანგეთის პრეზიდენტს ამერიკელებმა გაუკეთეს, არის მაგალითი საქართველოს ხელისუფლებისა და ოპოზიციისთვისაც, რომლებიც წლების განმავლობაში უსიტყვოდ ასრულებდნენ ჯანმოს, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და, საერთოდ, დასავლეთის ყველა მითითებას იმ იმედით, რომ ოკეანისგაღმელი უფროსები მათ მიმართ კეთილგანწყობილნი იქნებოდნენ. მაკრონის კაზუსი ყვირის, რომ ინტერესთა ნებისმიერი გადაკვეთისას ან, უბრალოდ, იმიტომ, რომ ასე მოესურვებათ, ანგლოსაქსები სხვის აქტივებს დაუნდობლად მიითვისებენ**

ამერიკელების საპასუხოდ ფრანგებმა ვაშინგტონიდან ელჩი გაიწვიეს, აშშ-ის მამხილებელი წერილები გამოაქვეყნეს და ფეხები ამაყად დააბაკუნეს, თუმცა არ შეიმჩნიეს, რომ მაკრონს, უბრალოდ, მიუთითეს — ახალ მსოფლიო წესრიგში მისი ადგილი „ცხოველთა ფერმაშია“. ახალ მსოფლიო წესრიგში კი ყველაფერს მართავენ „სწორი ადამიანების“ „სწორი კორპორაციები“ და არა ვიღაც ადგილობრივი ლიდერები, თუნდაც როტშილდის მიერ დანიშნული.

23 სექტემბერს წამყვანმა ფრანგულმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ხმაური ატეხეს „ეშმაკური გეგმის წყალობით საფრანგეთის გამარჯვების შესახებ“ და რომ აშშ-ის პრეზიდენტმა **ჯო ბაიდენმა** საუბრის გამართვა სთხოვა მაკრონს. „ინფორმაციის დადასტურების შემდეგ, რომ აშშ-ის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონს საუბრის თხოვნით მიმართა, ერთ-ერთმა ფრანგმა მაღალჩინოსანმა განაცხადა. „ჩვენ მოუთმენლად ველით ამ სატელეფონო საუბარს“. მისი თქმით, ჯო ბაიდენს სურს, მჭიდროდ ითანამშრომლოს საფრანგეთთან, ინდოეთისა და წყნარი ოკეანეების ზონაში და საერთაშორისო არენაზე“, — წერს Le Figaro.

რა არის აქ სასიხარულო, გაუგებარია, მაგრამ ამჟამინდელი ფრანგული საზომით, როგორც ჩანს, ეს გამარჯვებაა. **„მარაზმატიკი“ ჯო ბაიდენი ხომ მაკრონის დონეზე დაეშვა და, თუ თავზე ხელს არ გადაუსვამს, ორიოდე თბილ სიტყვას მაინც ეტყვის, რათა არ ეწყინოს, რომ აშშ-მა საფრანგეთს 100 მლრდ დოლარის გარიგება ჩაუშალა და შეწყვიტოს ფეხების ბაკუნი პლანეტის მოსახლეობის 70%-ის ვაქცინაციის დაწყების გამოცხადების წინ.**

ყველაფერი დაიწყო იმით, რომ **რამდენიმე დღის წინათ G7-ის სამიტზე პირდაპირ საფრანგეთისა და გერმანიის ცხვირწინ, ისე, რომ მათთვის არ უცნობებიათ, აშშ-მა, დიდმა ბრიტანეთმა და ავსტრალიამ მოილაპარაკეს ჩინეთის წინააღმდეგ ახალი ალიანსის — AURUS-ის შექმნის შესახებ.**

ჩინეთთან დაპირისპირების თემა ევროპისთვის ისედაც მტკივნეულია, რადგან ევროკავშირის ქვეყნებს და, კონკრეტულად, საფრანგეთს ჩინეთის არა მხოლოდ ვალი აქვს, არამედ მთელი საწარმოო ჯაჭვი პეკინზე აქვს მიბმული. G7-ის სამიტზე საფრანგეთი ჯერ შვეიცარიამაც „გადააგდო“, როცა უარი თქვა ფრანგული გამანადგურებლების, Rafale-ს, შეძენაზე და უპირატესობა ამერიკულ F-35-ს მიანიჭა. ამან მაკრონი შოკში ჩააგდო.

აშშ-ის მხრიდან ყველაფერი ლოგიკურად გამოიყურებოდა. იქ ნეოკონებს სასწრაფოდ უნდა დაემშვიდებინათ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის კორპორაციები, რომლებმაც კონტრაქტები დაკარგეს ავღანეთიდან გასვლის შემდეგ, აღსანიშნავია, რომ სამხედრო კორპორაციების დიდი ნაწილი მხარს რესპუბლიკელებს უჭერს და წყლის ამღვრევას აუცილებლად შეეცდებიან, მაგრამ, თუ მათ კონტრაქტებსა და ფულს მისცემენ, თანაც სხვის ხარჯზე, მაშინ დამშვიდდებიან. თანხა ხომ კოლოსალური ოდენობისაა.

ხოლო ის, რომ საფრანგეთს პროტესტები არყევს და ეს „გადაგდებები“ კიდევ ახალ აქციებს გამოიწვევს, აშშ-ს ფეხზე ჰკიდია. ამერიკელებმა ხომ მხარი დაუჭირეს მაკრონის „მწვანე გეგმებს“, რომლებმაც ბენზინის გაძვირება გამოიწვია და სათავე დაუდო „ყვითელი ჟილეტების“ პროტესტს. „ყვითელი ჟილეტების“ პროტესტი, რომელიც დღემდე გრძელდება, გაამწვავა ჯერ საპენსიო რეფორმამ, შემდეგ — ლოკდაუნებმა და ვაქცინაციამ. **გასულ უქმეებზე პარიზსა და სხვა ქალაქების ქუჩებში ასიათასობით ფრანგი გამოვიდა. თანაც მაკრონმა ვერაფრით დაითანხმა აცრაზე ექიმები და მეხანძრეები. საქმე უკეთესად არც ეკონომიკაშია. გასული წლის შედეგების მიხედვით, ქვეყნის მშპ 9%-ით შემცირდა, ტურიზმი ჩამოიშალა, ავტომრეწველობა დამუხრუჭდა. ეკონომიკის მაჩვენებლების გაუმჯობესება, საფრანგეთის ბანკის პროგნოზით, მხოლოდ 2022 წლის ივნისში დაიწყება. მიმდინარე წელს კი ეკონომიკის ზრდა 5% იქნება, მაგრამ, ამასთანავე, არ მოიმატებს სამუშაო ადგილების რაოდენობა და 10,7 პროცენტით გაიზრდება უმუშევრობის დონე (შარშან 8,7% იყო).** ვარაუდობენ, რომ გაუქმდება 350 ათასი სამუშაო ადგილი.

ახლა კი, **აშშ-ის წყალობით, საფრანგეთს პრობლემებიც მოემატება და ქუჩაში საპროტესტოდ გამოსული ადამიანებიც. და მაკრონი, როგორც თავის დროზე მერკელი, როცა მის ბიზნესს აშშ-მა ფრთები შეუკვეცა, გააქტიურდა. ფრანგებმა განაცხადეს, რომ ეს იყო „დანა ზურგში“, ვაშინგტონიდან და კანბერადან გამოიწვიეს ელჩები, აღშფოთება გამოხატეს აშშ-ისა და მისი პოლიტიკის მიმართ. ამასთანავე, მაკრონის ინიციატივით, ნატოში დაიწყო მსჯელობა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ახალი კონცეფციის შესახებ.**

რა თქმა უნდა, მას ეწყინა. როტშილდის ბიჭუნა, ემანუელ მაკრონი, თავიდანვე იდეალური გლობალისტი იყო. ის თავისი მასწავლებლის — ბანკირის, ეკონომისტისა და პოლიტიკოსის, **ჟაკ ატალის** ანდერძის ერთგულია და ყველაფერი გააკეთა „დიდი გადატვირთვისა“ და „ახალი საოცარი სამყაროსთვის“ — ახრჩობდა ხალხს, ხელს უწყობდა ფემინიზმს, „მწვანე პოლიტიკასა“ და პედერასტიას, ერთგულად ასრულებდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და „ბიგ ფარმას“




ყველა მითითებას, მაგრამ, მადლობის ნაცვლად, არჩევნებამდე ერთი წლით ადრე ყავისფერ წუმპეში ჩააყურყუმალავეს, რომელსაც სულაც არ ასდის შოკოლადის სუნი. და **ახლა, ფეხების დაბაკუნების შემდეგ, ალერსიან სიტყვებს ელოდება ოკეანის გაღმიდან, რათა თვითონაც დაწყნარდეს და თავისი ელიტაც დააწყნაროს — ჩვენ იქ ვუყვარვართ, ოღონდ თავისებურად.** ფრანგულ პრესას კი უხარია, რომ ბაიდენმა „მაკრონთან დიალოგის სურვილი“ გამოთქვა. ბევრი ექსპერტის აზრით, ბაიდენი, ამასთანავე, აუხსნის მაკრონს, რომ ამ „ახალ საოცარ სამყაროში“, ისევე, როგორც ჯორჯ ორუელის „ცხოველთა ფერმაში“, ყველა თანასწორი კი არის, მაგრამ ზოგიერთი უფრო სწორია. და, თუ ინტერესები „სწორი ადამიანებისა“, რომლებიც დაეხმარებიან ან ხელს არ შეუშლიან „ახალი მსოფლიო წესრიგის“ შექმნას, გადაიკვეთება ეროვნული ლიდერების ინტერესებთან, მაშინ ეს უკანასკნელნი უნდა წავიდნენ ტყით, ხისტად, სწრაფად და ეფექტიანად. ხოლო მისი ადგილი, ვინც ამას ვერ გაიგებს, „საოცარ სამყაროში“ არ არის.



**ის, რაც საფრანგეთის პრეზიდენტს ამერიკელებმა გაუკეთეს, არის მაგალითი საქართველოს ხელისუფლებისა და ოპოზიციისთვისაც, რომლებიც წლების განმავლობაში უსიტყვოდ ასრულებდნენ ჯანმოს, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და, საერთოდ, დასავლეთის ყველა მითითებას იმ იმედით, რომ ოკეანისგაღმელი უფროსები მათ მიმართ კეთილგანწყობილნი იქნებოდნენ. მაკრონის კაზუსი ყვირის, რომ ინტერესთა ნებისმიერი გადაკვეთისას ან, უბრალოდ, იმიტომ, რომ ასე მოესურვებათ, ანგლოსაქსები სხვის აქტივებს დაუნდობლად მიითვისებენ.**

სხვათა შორის, ასეთი საქციელი აშშ-ისთვის პირველი არ არის, ის არად აგდებს არც მეგობრებისა და არც მოკავშირეების ინტერესებს.

**ria katyusha.org-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძე**

ფოსტა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ქვეყანა, რომელსაც მეზობელ ქვეყანასთან თავისი საზღვარი ვერ გაურკვევია და ისიც არ იცის, საკუთარი ისტორიული თუ რელიგიური ძეგლი მის ტერიტორიაზეა თუ სხვისაზე და ამ დროს უცხო სუპერსახელმწიფოს ომში გარბის კიდევ უფრო უცხო ქვეყანაში „მშვიდობისა და დემოკრატიის დასამყარებლად“, ვერც ერთის კეთილგანწყობას ვერ მოიპოვებს. ეს რომ ასეა, ბევრჯერ დაადასტურა ისტორიულმა გამოცდილებამ.**

# «არავინ ისე მამაცად არ იბრძვის სხვის ომში, როგორც სულელი»

**„საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველმა უსათუოდ იცის, რომ წინამდებარე წერილის სათაურად გამოტანილი ფრაზა კონსტანტინე გამსახურდიას ეკუთვნის. ეს ფრაზა კლასიკოსმა მწერალმა სიკვდილის წინ ათქმევინა მეფე გიორგი I-ს „დიდოსტატის მარჯვენაში“. იცოდა დიდმა მწერალმა, რომ სხვის ომში სხვისთვის ბრძოლა ყოველგვარ მადლს მოკლებულია — ღვთიურსაც და ადამიანურსაც. არც იმ „სხვისი“ მეხსიერება ინახავს მის ომში მებრძოლი უცხოტომელის ხსოვნას და არც სამშობლო ლოცულობს მათი სულებისათვის.**

არავის უფიქრია ბოროდინოს ისტორიული ბრძოლის ველზე ძეგლი დაედგათ უებარი მამაცობითა და ნიჭიერებით გამორჩეული გენერლის, **პეტრე ბაგრატიონისათვის,** რომელმაც თვით **ნაპოლეონ ბონაპარტეს** ათქმევინა, — ჩემს ყველა მარშალს ერთ პეტრე ბაგრატიონში გავცვლიდიო. იმის მიუხედავად, რომ პეტრე ბაგრატიონი თავს რუსული არმიისა და რუსეთის სახელმწიფოს ნაწილად მიიჩნევდა და რუსეთისადმი უსაზღვრო ერთგულება სიცოცხლის გაწირვით დაადასტურა, მისი ქართული სამეფო გვარი და პრინცის ტიტული ფართოდ იყო ცნობილი და ამიტომაც იგი მაინც უცხოტომელად მიიჩნიეს. არც ნაპოლეონთან ომის მონაწილე მეორე გენერალი, **ბარკლაი დე ტოლი,** იყო რუსი, მაგრამ მას რუსეთის გარდა სხვა სამშობლო არასოდეს უხსენებია. ამიტომ არის, რომ პეტერბურგში, მთავარანგელოზის ცნობილი ტაძრის წინ, ნევის პროსპექტის მიმდებარე მოედანზე, **კუტუზოვის** ძეგლის გვერდით ბარკლაი დე ტოლის ძეგლიც დგას.

არა მგონია, ან სამხრეთაფრიკელ ბურებში ახსოვდეს ვინმეს ქართველ მეფეთა გვარის წარმომადგენელი **ნიკო ბური(ბაგრატიონი),** რომელიც გასული საუკუნის დასაწყისში ბურების მისაშველებლად გაიპარა რუსეთის სამეფო კადეტთა კორპუსიდან და მამაცურად იბრძოდა მათ გვერდით ინგლისელი კოლონიზატორების წინააღმდეგ (ვითომ თვითონ ბურები არ იყვნენ ყოფილი კოლონიზატორები) და რომ არა ახალგაზრდა ინგლისელი ოფიცრის, **უინსტონ ჩერჩილის,** გულმოწყალება, ნიკო ბაგრატიონი ინგლისელებს ტყვედჩავარდნილ ბურებთან ერთად დასახვრეტად ჰყავდათ კედელთან მიყენებული. ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ჩერჩილის მახვილმა თვალმა ქერათმიან ჰოლანდიელ ბურებში, ალბათ, გამოარჩია შავგვრემანი ქართველი ბაგრატიონებისათვის დამახასიათებელი კეხიანი ცხვირით და უთხრა: **რა გებურება, შე უბედურო, ბრძოლა თუ შეგიძლია, წადი და შენი ქვეყნისთვის იბრძოლე. ჩემი თანამემამულე ლორდი ჯორჯ ბაირონიც შენსავით გაიპარა და ბერძნების გვერდით იბრძოდა თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ, მაგრამ მისი სამშობლო რომელიმე სხვა ქვეყნის გუბერნიად კი არ იყო გადაქცეული, არამედ თვითონ იყო მსოფლიოს დიდი ნაწილის დამპყრობელი და ამიტომ აუჩუყდა გული დიდი იმპერიის შვილს უბედური ბერძნების საცოდაობითო. მერე, ალბათ, ადიუტანტს უბრძანა, — წაიყვანე ეს კაცი აქედან და ცოტა ხანს ციხეში ამყოფე, რაც უნდა იყოს, სამეფო გვარის კაციაო.**

ასე იქნებოდა, ეს ამბავი.

არა, **იმას კი არ ვფიქრობ და ვამბობ, გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანს, თუნდაც გადამთიელს, არ უნდა მიეშველო-მეთქი, მაგრამ სხვისი კარნახით რომ მიდიხარ საომრად იქ, სადაც არც არავის იცნობ და არც შენ გიცნობს ვინმე, არც არავის სიძულვილი გაქვს გულში და არც სიყვარული, რატომ მიდიხარ მაშინ საომრად, მაცოდინა ნეტავი.** მაღალ ანაზღაურებას დაგპირდნენ და იმიტომ? თუ ასეა, მაშინ რა მართალი უთქვამს **დათა თუთაშხიას** ფულზე დახარბებული ვიღაც **ჯონჯოლიასთვის: „იმიტომ კი არ ხარ მოსაკლავი, რომ მე მესროლე, ფულის გულისთვის კაცის მოკვლა რომ შეგიძლია, იმიტომ!“ .**

ეს არის ლეგიონერი „რაინდების“ მამაცური ბრძოლის მთელი ფილოსოფია, ბევრმა ლეგიონერმა „ბოევიკმა“ არც კი იცის, რომელ ქვეყანაში ვის წინააღმდეგ და ვის დასაცავად იბრძვის ან ის ქვეყანა რომელ კონტინენტზეა და ვის მეზობლად მდებარეობს. „სამშვიდობო ძალებში“ არაერთი ნაომარი ჯარისკაცი მინახავს და მისაუბრია კიდეც მასთან, ვისაც ერაყი გერმანიის მოსაზღვრე ქვეყანა ეგონა, სომალი კი — ვიეტნამის მეზობელი. ასეთი უმადური და უაზრო საქმეა სხვის ომში ბრძოლა, მამაცური ბრძოლა, მით უფრო. აგერ, ახლახან, უპრეცედენტო ამბავი მოხდა, რომლის მსგავსი უახლეს ისტორიაში არ მოიძებნება: **ავღანელებმა ოცწლიანი დაუმორჩილებლობის შემდეგ კინწისკვრით (პანღურით) გამოყარეს ოკუპანტი იანკები (აშშ) და მათი მხარდამჭერები ქვეყნიდან, ისე, რომ იარაღისა და ტექნიკის წამოღება კი არა, პირადი ნივთების აღებაც ვერ მოასწრეს. მერე და, ვინ არიან ასე დამფრთხალი ოკუპანტი სახელმწიფოების ჯარისკაცები, რატომ მოხდა ეს? რა, ამერიკელები მართლა ქვეშაფსიები არიან ან ავღანელები ისე გალომდნენ, რომ სუპერსახელმწიფოს ჯარი მათთვის თხების არვედ იქცა?** არა, ბატონებო! ამერიკის ჯარი თხების არვე არ არის, მაგრამ გვიან შეიგნეს, რომ ავღანეთში ომი მათი ომი არ იყო. **იგი გაუმაძღარი, მსოფლიოზე გაბატონების ბოდვითი იდეებით შეპყრობილი პოლიტიკოსებისა და კაპიტალისტების ომი იყო და სხვები კი არა, თვით ამერიკელთა ჯარიც სხვის ომში იბრძოდა და სიცოცხლეს სწირავდა მათი უძირო ჯიბეების ამოსავსებად და უსაზღვრო მადის დასაოკებლად.**



მხოლოდ სულელი თუ დაიჯერებს, რომ დასავლეთის ე.წ. ლიდერი სახელმწიფოების მესვეურები დღენიადაგ იმაზე ფიქრობენ, რომ დემოკრატია და თავისუფალი პოლიტიკური სისტემები დამყარდეს სადმე, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას არანაირი საფრთხე არ შეექმნას ავღანეთსა და ერაყში, ლიბიასა თუ სომალიში. მათი ომის მიზანი მათივე ქვეყნის კეთილდღეობაც არ არის, მათი მიზანია სასტიკი ღმერთის — მამონას მსახურება, რომლის ხატი ოქროს ზოდები და მწვანე დოლარებია. ამიტომ არის, რომ ამერიკელების მიერ გაჩაღებული ომი თვით ამერიკელი ხალხისთვისაც კი სხვის ომად იქცა, სწორედ სხვისი ომიდან შეიძლება ასე თავქუდმოგლეჯილი გარბოდეს დამპყრობელი ქვეყნიდან მოყვანილი ჯარი.

ამერიკისა და მისი სატელიტი ქვეყნების ჯარების ავღანეთიდან გამოქცევასა და დიდძალი იარაღისა და ტექნიკის

**მხოლოდ სულელი თუ დაიჯერებს, რომ დასავლეთის ე.წ. ლიდერი სახელმწიფოების მესვეურები დღენიადაგ იმაზე ფიქრობენ, რომ დემოკრატია და თავისუფალი პოლიტიკური სისტემები დამყარდეს სადმე, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას არანაირი საფრთხე არ შეექმნას ავღანეთსა და ერაყში, ლიბიასა თუ სომალიში. მათი ომის მიზანი მათივე ქვეყნის კეთილდღეობაც არ არის, მათი მიზანია სასტიკი ღმერთის — მამონას მსახურება, რომლის ხატი ოქროს ზოდები და მწვანე დოლარებია. ამიტომ არის, რომ ამერიკელების მიერ გაჩაღებული ომი თვით ამერიკელი ხალხისთვისაც კი სხვის ომად იქცა, სწორედ სხვისი ომიდან შეიძლება ასე თავქუდმოგლეჯილი გარბოდეს დამპყრობელი ქვეყნიდან მოყვანილი ჯარი**



თალიბებისათვის დატოვებას შეიძლება რაღაც მზაკვრული მიზანიც ჰქონდეს. ეს ამერიკელი იმპერიალისტებისთვის უცხო არ არის, მაგრამ კბილებამდე შეიარაღებული და მაძღარი ჯარის თავქუდმოგლეჯილ გაქცევას ნამდვილად „სხვის ომში“ ბრძოლის უაზრობის გაცნობიერება უდევს საფუძვლად. ეს არის ნამდვილი მიზეზი, რომელსაც აშშ-ის მზაკვრული იმპერიალისტური პოლიტიკის ბნელი მიზნები ვერ გადაფარავს.

სხვის ომსა და ბრძოლაში თავგამოდებული აქტივისტები არნაირ პატივისცემას არ იმსახურებენ, მეტიც, ხშირად დაცინვისა და გაბითურების ობიექტებად (თუ სუბიექტებად) იქცევიან ▶

**ჩვენ, როგორც პოლიტიკურ-ეკონომიკურ და ეროვნულ-ზნეობრივი გლობალიზაციის ჭაობში თავშერგულ ქვეყანას, არავინ არ მოგვცემს იმის ნებას, რომ ცნება „სამშობლო“ გავაცნობიერებინოთ, ვასწავლოთ ბავშვებს საბავშვო ბაღსა თუ სკოლაში. თანამედროვე ბავშვი ქართველად, სომეხად, ფრანგად, გერმანელად, რუსად და ა.შ. კი არ უნდა იზრდებოდეს, არამედ მსოფლიო მოქალაქედ, რა თქმა უნდა, ამგვარად აღზრდილი ადამიანისთვის „სხვისი ომი“ არ იარსებებს.**

ფოსტა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ხოლმე. ასე იყო წინათ და ასეა ახლაც. ამნაირ მოვლენაზე არაერთი ანდაზა და იუმორისტული სიუჟეტია ცნობილი ქართულ ფოლკლორში (იქნება სხვაგანაც)... ამას წინათ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა **სერგეი ლავროვმა** საქართველოს ხელისუფლების გასაგონად თქვა: „ჩვენ მზად ვართ, განვიხილოთ საქართველოსთან ავიამიმოსვლის აღდგენის საკითხი“. სანამ ჩვენი „მარჯვე“ ხელისუფლება ამ წინადადებაზე პასუხს მოიფიქრებდა, ამერიკის მართლა მარჯვე ელჩმა კელი დეგნანმა უპასუხა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს: სანამ რუსეთი არ შეასრულებს ამა და ამ მოთხოვნებს, მანამდე მასთან საქართველოს დიალოგს აზრი არ აქვსო. აშშ-ის ელჩის პასუხის სიზუსტეზე თავს ვერ დავდებ, მაგრამ მისი გამოხდომის შინაარსი ზუსტად ისეთი იყო, როგორც გადმოვეცი. სერგეი ლავროვი, რა თქმა უნდა, საქართველოში აშშ-ის ელჩის განცხადებას არც მოუსმენდა და არც წაიკითხავდა, რადგან მის დონესთან ვიღაც ელჩის დიპლომატიური დონე ნამეტნავად უმნიშვნელოა, მაგრამ მე ერთი ქართული ხალხური იგავად თქმული ამბავი გამახსენდა: „სამი კაცი დუქანს არი, პეტრე, პავლე, ლუარსაბი. პეტრემ პავლეს ქალი სთხოვა, ლუარსაბი უარს არი“. რა ბაბასილი უნდა ლუარსაბს, ჰა? ორში ერთი — ან პეტრესა და პავლეს არავინ არაფერს ჰკითხავს, გახდებიან თუ არა ისინი ერთმანეთის მოყვრები (სიძე-სიმამრი), ან ლუარსაბია მეტიჩარა მეცამეტე გოჭი, თავის ადგილას რომ ვერ დაეტია. ორივე შემთხვევაში ღირსეულად ვერც ერთი ვერ გამოიყურება.

სხვის ომში მებრძოლი უცხოელი ჯარისკაცი და სხვისი იმედით მეომარი ქვეყანა ერთნაირად გაბითურებული რჩება ბოლოს. საფრანგეთის ისტორიაში არის ამ მოსაზრებების დასაბუთების კლასიკური არგუმენტი... **თითქმის საუკუნე-ნახევარის განმავლობაში საფრანგეთის მეფეები დაქირავებული შვეიცარიელი ჯარისკაცების იმედით აპირებდნენ ძლიერი სახელმწიფოს შექმნას. შვეიცარიელები მამაცი მეომრები იყვნენ, მაგრამ ვერც ფეოდალური კინკლაობით დაქუცმაცებული ქვეყნის გაერთიანება შეძლეს საფრანგეთის სამეფო ტახტზე დაბრძანებულმა სხვადასხვა დინასტიის წარმომადგენლებმა და ვერც მეზობელი სახელმწიფოს წინააღმდეგობას გასცეს სათანადო პასუხი. მხოლოდ ლუი XIV-მ ეროვნულ ძალებზე აგებული არმიით შექმნა ღირსეული და ანგარიშგასაწევი ქვეყანა, რომელიც შემდგომში მსოფლიო მნიშვნელობის ეროვნულ სახელმწიფოდ იქცა.**

სხვის ომებში მამაცურად მებრძოლი შვეიცარიელების შემდგომი ისტორიული ბედი როგორღა წარიმართა? თავიანთ ქვეყანას გამოადგა მათი საბრძოლო გამოცდილება და ოსტატობა? არა! სიტყვა „შვეიცარიელმა“ დროთა განამავლობაში „კარისკაცის“ მნიშვნელობა შეიძინა, აი, იმ კარისკაცისა, რესტორნებისა და სასტუმროების შესასვლელებში რომ დგანან და გულმოწყალე სტუმრები „ჩაის ფულს“ რომ ჩაუყრიან ხოლმე მუჭში. თანამედროვეებში „შვეიცარი“ არნაირად არ აღძრავს მებრძოლისა და მეომრის ასოციაციას. აი, ასეთია სხვის ომში მამაცურად მებრძოლის ისტორიული მეტამორფოზი. ამგვარი ბედი არ ასცდებათ არც დღევანდელ ლეგიონერებს, რომლებიც სხვათა ომების საბრძოლო ბატალიებში ღვრიან სისხლს.

კიდევ ვიმეორებ: **ისე არავინ გაიგოს, თითქოს მოძმე თუ სულაც უცხო ერების წარმომადგენელთა გვერდით შრომა ან მათ სამართლიან ომებში სისხლის დაღვრა სამარცხვინო საქციელია, არა, მაგრამ საკუთარ ქვეყანაში დაუმუშავებელი მამული რომ მიგიტოვებია და სხვის ქვეყანაში წაკუზული რომ თხრი კარტოფილსა და ჭარხალს, ხახვსა თუ ნიორს, შენს სამშობლოში საკუთარი ვენახი ვერ გაგისხლავს და უცხო ქვეყანაში გულმოდგინედ სხლავ თხილსა თუ ზეთისხილს, ეს არის სიგლახე და უგერგილობა, თორემ, თუ შენი საქმე მოთავებული გაქვს, მოსავალი — დაბინავებული, ბეღლები და ქვევრები — სავსე, მაშინ, ვისაც გინდა, წაუკარი საქმეზე ხელი. ქვეყანა, რომელსაც მეზობელ ქვეყანასთან თავისი საზღვარი ვერ გაურკვევია და ისიც არ იცის, საკუთარი ისტორიული თუ რელიგიური ძეგლი მის ტერიტორიაზეა თუ სხვისაზე და ამ დროს უცხო სუპერსახელმწიფოს ომში გარბის, კიდევ უფრო უცხო ქვეყანაში „მშვიდობისა და დემოკრატიის დასამყარებლად“,** ვერც ერთის კეთილგანწყობას ვერ მოიპოვებს. ეს რომ ასეა, ბევრჯერ დაადასტურა ისტორიულმა გამოცდილებამ, მაგრამ რა? ცნობილ ისტორიკოს **კლუჩევსკის,** ალბათ, ჩვენზე აქვს ნათქვამი: **„ისტორია იმიტომ იწერება, რომ მისგან ვერავინ ვერაფერი ისწავლოს“.**

სამწუხაროა ძალიან, რომ საზოგადოების გარკვეულ წრეებში, ჩვენშიც და უცხოეთშიც, ისეთი ცნებების შინაარსი, როგორიც არის პატრიოტიზმი, მამული, სამშობლო, მშობლიური, გაუფასურებულია ან სულაც წარსულის გადმონაშთად არის მიჩნეული. ამიტომ არის, რომ მათთვის „სხვისი ომი“ და „ჩვენი ომი“ არ განსხვავდება ერთმანეთისგან. რაიმე სარგებლობას თუ ელი ომისგან, იგი, თუნდაც ცხრა მთასა და ორი ოკეანის გადაღმა მიმდინარეობდეს, შენი ომია. ასე ეგონათ და ჰგონიათ, ალბათ, ჩვენს ხელისუფლებს, რომლებიც გვიმტკიცებდნენ და გვიმტკიცებენ, რომ ქართველი მეომრები ავღანეთსა და ერაყში ანდა სომალიში საქართველოს იცავენ, რით ვეღარ დავინახეთ, რომ ეს ასე არ არის?

„სამშობლო, დედის ძუძუი არ გაიცვლების სხვაზედა, ორნივ ტკბილია, ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა“. ამ გაგების ქართველებმა მოიტანეს სამიათასწლიანი ქართველობა დღემდე. ამიერიდან როგორ იქნება ჩვენი საქმე, ნეტავი? ეს ფიქრი აწუხებს დღეს ჭეშმარიტ ქართველს, რადგან დედის ძუძუ ჩვენი ბავშვების ნახევარს პირში არ ჩაუდვია და მის სიტკბოებაზე წარმოდგენაც არ აქვს, ხოლო ტერმინი „სამშობლო“, ფაქტობრივად, ამოღებულია მსოფლიო პოლიტიკური ლექსიკიდან, **ჩვენ, როგორც პოლიტიკურ-ეკონომიკურ და ეროვნულ-ზნეობრივი გლობალიზაციის ჭაობში თავშერგულ ქვეყანას, არავინ არ მოგვცემს იმის ნებას, რომ ცნება „სამშობლო“ გავაცნობიერებინოთ, ვასწავლოთ ბავშვებს საბავშვო ბაღსა თუ სკოლაში. თანამედროვე ბავშვი ქართველად, სომეხად, ფრანგად, გერმანელად, რუსად და ა.შ. კი არ უნდა იზრდებოდეს, არამედ მსოფლიო მოქალაქედ, რა თქმა უნდა, ამგვარად აღზრდილი ადამიანისთვის „სხვისი ომი“ არ იარსებებს.**

საკითხავი ის არის, მართლა მთელი მსოფლიოა ამ აზრზე თუ ჩვენ და ჩვენნაირებს გვაბითურებენ. ამის დადგენა ძნელი სულაც არ არის და, ალბათ, ბევრისთვის იგი კარგა ხნის დადგენილიცაა. აი, როცა ჩვენც მივხვდებით ამას, ვშიშობ, ძალიან გვიან არ იყოს, როგორც ეს უკვე მოხდა რამდენიმე ათეული წლის წინათ...

ამიერკავკასიის გასაბჭოების შემდეგ, როდესაც სამი რესპუბლიკის ერთიანობა-სეიმი დაიშალა და საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკები შეიქმნა, საქართველოს ისტორიული, ქართველებით დასახლებული ოლქი საინგილო აზერბაიჯანს, ხოლო ლორე სომხეთს გადაეცა, როდესაც ქართველ მამულიშვილთა გამოჩენილი წარმომადგენლები იმდროინდელი საქართველოს „ხაზეინს“, სერგო ორჯონიკიძეს, ეახლენ და სთხოვეს, ნუ იზამთ ქართული რეგიონების მეზობლებისთვის ჩუქებასო, კომუნისტური გლობალიზაციის იდეის ჭეშმარიტად ერთგულმა სერგომ უპასუხა: ჩვენ ყველანი კომუნიზმში მივდივართ, სადაც ყველაფერი საერთო იქნება, და რა მნიშვნელობა აქვს, მარქსიზმს ქართულად ისწავლიან ინგილოები თუ აზერბაიჯანულადო.

იმ ამბიდან 70 წლის შემდეგ გაირკვა, რომ არც არავინ შესულა კომუნიზმში და არც მარქსიზმი უსწავლია ვინმეს, საინგილო კი აზერბაიჯანს დარჩა, ლორე — სომხეთს, საქართველოს? — ხვიშტი. იქნებ, ახლა მაინც ვისწავლოთ რამე ისტორიისგან!

**ისე არავინ გაიგოს, თითქოს მოძმე თუ სულაც უცხო ერების წარმომადგენელთა გვერდით შრომა ან მათ სამართლიან ომებში სისხლის დაღვრა სამარცხვინო საქციელია, არა, მაგრამ საკუთარ ქვეყანაში დაუმუშავებელი მამული რომ მიგიტოვებია და სხვის ქვეყანაში წაკუზული რომ თხრი კარტოფილსა და ჭარხალს, ხახვსა თუ ნიორს, შენს სამშობლოში საკუთარი ვენახი ვერ გაგისხლავს და უცხო ქვეყანაში გულმოდგინედ სხლავ თხილსა თუ ზეთისხილს, ეს არის სიგლახე და უგერგილობა, თორემ, თუ შენი საქმე მოთავებული გაქვს, მოსავალი — დაბინავებული, ბეღლები და ქვევრები — სავსე, მაშინ, ვისაც გინდა, წაუკარი საქმეზე ხელი**



**საზოგადოების გარკვეულ წრეებში, ჩვენშიც და უცხოეთშიც, ისეთი ცნებების შინაარსი, როგორიც არის პატრიოტიზმი, მამული, სამშობლო, მშობლიური, გაუფასურებულია ან სულაც წარსულის გადმონაშთად არის მიჩნეული. ამიტომ არის, რომ მათთვის «სხვისი ომი» და «ჩვენი ომი» არ განსხვავდება ერთმანეთისგან. რაიმე სარგებლობას თუ ელი ომისგან, იგი, თუნდაც ცხრა მთასა და ორი ოკეანის გადაღმა მიმდინარეობდეს, შენი ომია. ასე ეგონათ და ჰგონიათ, ალბათ, ჩვენს ხელისუფლებს, რომლებიც გვიმტკიცებდნენ და გვიმტკიცებენ, რომ ქართველი მეომრები ავღანეთსა და ერაყში ანდა სომალიში საქართველოს იცავენ. რით ვეღარ დავინახეთ, რომ ეს ასე არ არის?**



**ზურაბ ცუცქირიძე**

SOS
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჩემთვის, ისევე, როგორც ბევრისთვის, კარგად არის ცნობილი, ვინ არის კოვიდპანდემიის ავტორი და ვინ წარმართავს კოვიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების (ტესტირებით დაწყებული ვაქცინაციამდე) პოლიტიკას მსოფლიოში, მაგრამ ჩვენ პრეტენზიები იმ პირებს უნდა წავუყენოთ, რომლებიც კრიტიკული ანალიზის გარეშე ატარებენ ამ თავსმოხვეულ მავნებლურ პოლიტიკას საქართველოში.**

დასასრული. დასაწყისი იხ. №33, 2021 წ.

# მე ბრალს ვდებ...

**მკითხველის საყურადღებოდ – ეჭვი რომ არავის შეეპაროს ჩემს ობიექტურობაში და დარწმუნდეს, რომ პირადული არაფერი მამოძრავებს, ვაცხადებ: კოვიდპანდემიის მართვის პოლიტიკის გამტარებელი ცნობილი სამეულიდან არც ერთს არ ვიცნობ პირადად და არც შეხება მქონია ოდესმე, ვარ ასაკით მათზე უფროსი და არანაირი კარიერული მოტივიც, ცხადია, არ მაქვს. ამ სიტყვების დასტურად მოვიყვან პატარა ნაწყვეტს 2020 წლის ივნისში გამოქვეყნებული ჩემივე წერილიდან: „ჩვენმა მედიცინის მუშაკებმა პროფესორების — თენგიზ ცერცვაძის, ამირან გამყრელიძისა და პაატა იმნაძის ხელმძღვანელობით, არ დაიწყეს უსიმპტომო ვირუსმატარებლების ძებნა მასობრივი ტესტირების შემოღებით (მომავალში თუ არ მიბაძეს სხვებს და „უპრაგონო“ ტესტირებას არ მიჰყვეს ხელი), რამაც გამოიღო ის საუკეთესო შედეგი, რომლითაც დღეს ყველანი ვამაყობთ და, რისთვისაც ყველას, ამ ბატონებს კი პირველ რიგში, დიდი მადლობა ეკუთვნით თითოეული ჩვენგანისგან“.**





**ბატონებო, როცა ზემოჩამოთვლილთაგან ვერც ერთს ვერ უარყოფთ, როცა დამაჯერებელი პასუხები არ გაქვთ და არც ის იცით, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ორ-სამ თვეში სამჯერ აცრას მომავალში, როდესაც აცრილებში მუცლის მოშლამ ფეხმძიმობის პირველ ტრიმესტრში იმატა ბრიტანეთში, ამერიკაში, სხვაგანაც და მაინც, ლამის თოთო ბავშვით დაწყებული ღრმა მოხუცამდე, ორსულების ჩათვლით — ყველას აცრისკენ მოუწოდებთ, განა ეს დანაშაული არ არის?**

სამწუხაროდ, სულ რაღაც სამ თვეში გამართლდა ჩემი შიში და ჩვენთანაც დაიწყო ამ არასპეციფიკური, არაზუსტი და სადიაგნოსტიკოდ უვარგისი PCR-ტესტებით მასობრივი ტესტირება.

**ჯანმოსა და ბევრი სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის, აგრეთვე, „დამოუკიდებელი“ სახელმწიფოების მაკონტროლებელი, DEEP STATE-დ წოდებული ფარული მთავრობის ნებით, ყველა ადამიანი მსოფლიოში საშიში ინფექციის პოტენციურ გამავრცელებლად — „უსიმპტომო ავადმყოფებად“ გამოგვაცხადეს. ამას უკვე კოვიდის პანდემია აღარ ჰქვია, ეს სულ სხვა რამ არის, რომლის მსგავსი კატობრიობას არასოდეს გადახდენია თავს.** ცხოვრება ჩაკვდა და ადამიანის სიცოცხლე ცხოველისას დაემსგავსა. ყველამ ეჭვითა და შიშით დავუწყეთ ერთმანეთს ცქერა, რისი ხვევნა-ალერსი შვილებთან თუ შვილიშვილებთან, რა ნათესავ-მეგობრებთან მისვლა-მოსვლა, გართობა და დროსტარება, — ჯანმრთელ ადამიანთანაც კი ორ მეტრზე ნაკლებ მანძილზე მიახლოებისა გვეშინია, პირზე ალიკაპი აგვაკრეს; როცა მოესურვებათ, მაშინ გვკეტავენ სახლებში და „საბალახოდაც“ იმ საათებში გვიშვებენ, როცა მოეპრიანებათ; რასაც უნდათ და რამდენჯერაც უნდათ, იმას გვიშხაპუნებენ „ნებაყოფლობით“. მოსახლეობის გამუდმებული სტრესის ქვეშ ცხოვრება და ავადმყოფობის მოლოდინი ასუსტებს ჩვენს იმუნურ სისტემას და ზრდის ავადობას.

**ჩემთვის, ისევე, როგორც ბევრისთვის, კარგად არის ცნობილი, ვინ არის კოვიდპანდემიის ავტორი და ვინ წარმართავს კოვიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების (ტესტირებით დაწყებული ვაქცინაციამდე) პოლიტიკას მსოფლიოში, მაგრამ ჩვენ პრეტენზიები იმ პირებს უნდა წავუყენოთ, რომლებიც კრიტიკული ანალიზის გარეშე ატარებენ ამ თავსმოხვეულ მავნებლურ პოლიტიკას საქართველოში.**

წესიერი, მაგრამ ზედმეტად გულუბრყვილო და ნაკლებად ინფორმირებული ადამიანების თვალის ასახელად, მათთვის, ვისაც ჰგონია, რომ მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანები სულ ხალხის ჯანმრთელობაზე ფიქრობენ და მილიარდებსაც არ იშურებენ ვაქცინების შესაქმნელად, უნდა მოვიყვანო ერთობ მრავლისმთქმელი ახალი ფაქტები: **პანდემიის პერიოდის 17 თვეში (2021 წლის 17 აგვისტოსთვის), როცა აშშ-ში 86 მილიონზე მეტი უმუშევარი იყო, ეკონომიკა კი — სერიოზულად დაზარალებული (ლოკდაუნების და სხვა შეზღუდვების გამო), ამერიკელმა მილიარდერებმა, ყველამ ერთად რეკორდული 1.8 ტრილიონი დოლარით, ანუ 2/3-ით გაზარდეს თავიანთი ქონება. მსგავსი მატება ეკონომიკის აყვავების პერიოდშიც არ ახსოვს ამერიკის ისტორიას.** „მაიკროსოფტის“ დამაარსებელმა **ბილ გეიტსმა** 32.6 მილიარდი იშოვა, „ფეისბუკის“ მფლობელმა **მარკ ცუკერბერგმა** — 74.2 მლრდ, კორპორაცია „ამაზონის“ დამაარსებელმა **ჯეფ ბეზოსმა** — 75 მლრდ, ხოლო უშუალოდ ჩვენს ჯანმრთელობაზე „მზრუნველმა“ ვაქცინა „ფაიზერის“ მწარმოებელმა ფარმაცევტულმა კომპანიამ 2021 წლის მეორე კვარტალში, ანუ მხოლოდ სამ თვეში — 19 მლრდ. კიდევ ერთხელ დამტკიცდა **ლავუაზიეს** კანონი — ბუნებაში არაფერი იკარგება, უბრალოდ, ერთი ფორმიდან (ჯიბიდან) მეორეში გადადის. ეს ჩანართი ამ საბრალდებო წერილში იმიტომ გავაკეთე, რომ მეთქვა:

**ადამიანებს, რომლებსაც ხალხის ჯანმრთელობაზე ზრუნვა ევალებათ, უფლება არ აქვთ, დასავლეთიდან წამოსული ნებისმიერი რეკომენდაცია, ტესტი, წამალი, ვაქცინა თუ საკვები პროდუქტი, მით უმეტეს საჩუქრად მორთმეული, ხარისხის შეუმოწმებლად მიიღონ. როდესაც ვერც ხელისუფლება და ვერც ჯანდაცვის მესვეურები მორიდებულ შეკითხვასაც ვერ უბედავენ ვერც ელჩს, ვერც სენატორს, ვერც სახელმწიფო მდივნის თანაშემწის „მოადგილეს“, ეს მაჩვენებელია იმისა, რომ ჩვენ უმწყემსო ცხვრის ფარა ვართ, უცხო მწყემსების ჭკუაზე მოარული თხების ამარა დარჩენილები.** ამიტომ, სანამ ქეშმარიტად ეროვნულ ხელისუფლებას ვეღირსებით, უნდა „პირში ვუძრახოთ“, ვისაც ჯერ არს, ჩვენ კონკრეტულ შემთხვევაში კი — სამეულს. მივუთითოთ მათ მიერ ჯანდაცვაში დაშვებულ, ზოგჯერ დანაშაულის ტოლფას სერიოზულ შეცდომებზე, რომელთა არც აღიარებას და არც გამოსწორებას ისინი, სამწუხაროდ, არ აპირებენ.

**ბატონები გამყრელიძე, ცერცვაძე და იმნაძე, თითქოს, არაფერს გვიმალავენ და ინფორმაციას გვაწვდიან, მაგრამ არ ამბობენ, რამდენი იყო ტესტებით „დადასტურებული“ შემთხვევებიდან ე.წ. უსიმპტომო ავადმყოფი, მათგან რამდენს განუვითარდა დაავადება ტესტირებიდან მეორე-მესამე დღეს და არა ორი კვირის შემდეგ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან, როგორც ისრაელის ჯანდაცვაზე პასუხისმგებელი პირი, პროფესორი იტამარი აცხადებს: „დადებითი ტესტის მქონე ყოველი 10 ადამიანიდან სინამდვილეში მხოლოდ ერთია დაავადებული“.** არ ვიცით, გარდაცვლილი ავადმყოფებიდან რამდენი იყო კოვიდგადატანილი, აუცრელი და აცრილი, როგორია სიკვდილის მაჩვენებელი ჰოსპიტლებში, ხელოვნურ სუნთქვაზე გადაყვანილ ავადმყოფებში, როგორია გრიპოზული და სხვა ეტიმოლოგიის პნევმონიით გარდაცვლილთა ხვედრითი წილი. **არ ვიცით, შემოდგომიდან მოყოლებული რატომ ვაკეთებთ რუსეთზე და თვით ამერიკაზეც კი მეტ ტესტს.** ყოველდღიურად ათეულ ათასობით ადამიანის ტესტირებას მხოლოდ ერთი „პლუსი“ აქვს — რაც მეტი იქნება ტესტი და, შესაბამისად, „დადასტურებული“ შემთხვევების რაოდენობა, მით ნაკლები გამოვა გარდაცვლილთა რაოდენობა პროცენტულად. ეს კი ხელს აძლევს ჩვენ სამეულს, რადგან, თუ მოსახლეობაზე გადავიანგარიშებთ, კატასტროფული სურათი გამოგვივა ნებისმიერ ქვეყანასთან შედარებით. **სახელმწიფოში კოვიდმდგომარეობისა და მკურნალობის ეფექტიანობის შესაფასებლად მთავარი და ზუსტი მაჩვენებელი PCR და ანტიგენის ფეიკტესტებით „დადასტურებულ“ შემთხვევებში გარდაცვლილთა რაოდენობა კი არ არის, როგორც ეს სამეულს სურს, რომ გვეგონოს, არამედ ჰოსპიტალიზებულ ავადმყოფთა შორის გარდაცვლილთა რაოდენობა პროცენტულად და ერთ მილიონ მცხოვრებზე გაანგარიშებული მაჩვენებელი.**

ახლა კი კონკრეტული ბრალდებები სამეულს:

**1. უდავოა, რომ ექიმები და სხვა სამედიცინო პერსონალი, რომლებსაც 8-10, ზოგჯერ 24 საათი უწევთ ჰოსპიტლებში მუშაობა, განსაკუთრებით უნდა იყვნენ დაცულნი ინფიცირებისგან.** ამისთვის უკლებლივ ყველანი აღჭურვილნი უნდა იყვნენ, უპირველესად, რესპირატორებით (FFP-2, FFP-3 ან N 95, N 98). **ეს არის მთავარი და არა — კოსმონავტივით ეკიპირება.** დაავადებათა კონტროლის ცენტრის რეკომენდაციაში წერია: „რესპირაციული სისტემის დასაცავად გამოიყენება სამედიცინო ნიღაბი ან რესპირატორი. სამედიცინო ნიღაბი (ერთჯერადი პირბადე — ი.ლ.) გამოიყენება მსხვილი წვეთებისგან დასაცავად, ასეთი წვეთები წარმოიქმნება ადამიანის საუბრის, დახველების ან დაცემინების დროს, ხოლო რესპირატორი გამოიყენება აეროზოლებისგან დასაცავად“. ყველაფერი სწორია, ოღონდ ბოლო წინადადებაა დაუსრულებელი — მსხვილი წვეთების წარმომავლობის განმარტების ანალოგიურად, აუცილებლად განმარტებული უნდა იყოს აეროზოლების წარმომავლობაც, ანუ წინადადებას აკლია შემდეგი ფრაზა: **„აეროზოლების წარმოქმნას ადგილი აქვს ამოსუნთქვის დროს“.** ეს კი იმას ნიშნავს, რომ აეროზოლი და ამონასუნთქი ჰაერი ერთი და იგივეა და, მაშასადამე, ვირუსებიც გამუდმებით გამოიყოფა ყოველი ამოსუნთქვისას. მნიშვნელოვანია, რომ აეროზოლით გამოყოფილი ვირუსები, განსაკუთრებით, დახურულ სივრცეში მეტ ხანს ძლებენ (რამდენიმე წუთიდან 1-2 საათამდე), ვიდრე მსხვილ წვეთებში არსებული, რომლებიც სიმძიმის ძალით მაშინვე ილექება იატაკზე და ვირუსების ინაქტივაციაც სწრაფად ხდება. **სადეზინფექციო ზომების მიუხედავად, ავადმყოფებით გადავსებულ ჰოსპიტლებში მაინც ბევრი ვირუსის შემცველი აეროზოლი გროვდება, ამიტომ რესპირატორი ყველასთვის აუცილებელია. ერთჯერადი სამედიცინო პირბადე, რომელიც აეროზოლს ვერ აკავებს, უვარგისია. სამეული კი წარბშეუხრელად გვარწმუნებს, რომ ცალკე აცრა იცავს ადამიანს ლამის 100%-ით (ყოველ შემთხვევაში, ასე გვაიმედებდნენ დელტა ვარიანტის შემოტევამდე) და, დამატებით, ერთჯერადი პირბადე – 95 %-ითო!**

**ადამიანებს, რომლებსაც ხალხის ჯანმრთელობაზე ზრუნვა ევალებათ, უფლება არ აქვთ, დასავლეთიდან წამოსული ნებისმიერი რეკომენდაცია, ტესტი, წამალი, ვაქცინა თუ საკვები პროდუქტი, მით უმეტეს საჩუქრად მორთმეული, ხარისხის შეუმოწმებლად მიიღონ. როდესაც ვერც ხელისუფლება და ვერც ჯანდაცვის მესვეურები მორიდებულ შეპასუხებასაც ვერ უბედავენ ვერც ელჩს, ვერც სენატორს, ვერც სახელმწიფო მდივნის თანაშემწის „მოადგილეს“, ეს მაჩვენებელია იმისა, რომ ჩვენ უმწყემსო ცხვრის ფარა ვართ, უცხო მწყემსების ჭკუაზე მოარული თხების ამარა დარჩენილები.**

SOS
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

რესპირატორების ტარება არა მხოლოდ პალატებშია აუცილებელი, არამედ მის გარეთაც, რადგან საქართველოს ჰოსპიტლებში, ისევე, როგორც ბევრ სახელმწიფოში, არ არის უარყოფითი წნევის მქონე პალატები, როდესაც პალატის ვირუსების შემცველი ჰაერი წნევათა სხვაობის გამო კარის გაღების შემთხვევაშიც გარეთ ვერ გადის. და, სანამ ამ დონისთვის არ მიგვიღწევია, **სანამ ჩვენი პალატების ჰაერი თავისუფლად ერევა პალატის გარე სივრცეს შენობაში, მანამდე, მედპერსონალი ყოველთვის (და არა „საჭიროების მიხედვით“, როგორც ეს ცენტრის რეკომენდაციის სხვა ადგილას წერია) უზრუნველყოფილი უნდა იყოს ზემონახსენები რესპირატორებიდან ერთერთით, ვინაიდან მხოლოდ იგი იცავს რესპირაციულ სისტემას 95-98%-ით და მხოლოდ მისი ტარებაა 8-10 საათის განმავლობაში ეფექტიანი, განსხვავებით ერთჯერადი პირბადისგან.** ეს შესანიშნავად მოეხსენება სამეულს და სწორედ ამიტომ არის სამივე დამნაშავე, რადგან არა მხოლოდ მოსახლეობას, ექიმებსაც კი ატყუებენ — ერთჯერადი პირბადე 95 %-ით გიცავთო და, სამწუხაროდ, ჩვენი ექიმების საკმაოდ დიდი ნაწილი, ჩემდა გასაოცრად, იჯერებს ამ დანაშაულებრივ ტყუილს. ამის გამო ექიმები, ექთნები და სანიტრები, ორივე დოზით აცრის მიუხედავად, მაინც ხშირად ავადდებიან.

**2. დანაშაულია, როდესაც ხალხს ატყუებენ, თითქოს, აუცრელი საშიშია აცრილისთვის.** იმას კი აღარ ამბობენ, რომ პირიქით — ვაქცინირებულები შეიძლება იქცნენ ვირუსის გამავრცელებლებად და გადასდონ იგი ვაქცინირებულებსაც. ეს, ყველასთვის მოულოდნელი აღმოჩენა ამერიკის მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ პროვინსთაუნში გაკეთდა ივლისში, მაგრამ ამის შესახებ დღესაც ცოტა ვინმემ თუ იცის — ვაქცინაციის პროპაგანდისტებს ამ ინფორმაციის გავრცელება ხელს არ აძლევთ... ბუნებრივი იმუნიტეტის მქონე ადამიანები კი უსაფრთხონი არიან. ბუნებრივი დაავადების შედეგად დატოვებულ იმუნიტეტს ვერანაირი თუნდაც მრავალჯერადი ვაქცინაცია ვერ შეედრება, კიდევ ერთხელ დაამტკიცეს ებრაელმა მკვლევარებმა, რომლებმაც შეისწავლეს 2020-2021 წლებში „ფაიზერით“ აცრილი და კოვიდგადატანილი ადამიანები და დაასკვნეს: კოვიდის გადატანა 7-ჯერ უფრო ძლიერ იმუნიტეტს ტოვებს, ვიდრე ორმაგი ვაქცინაცია.

**3. დანაშაულებრივი სიცრუეა იმის მტკიცებაც, თითქოს მოსახლეობის 60%-იანი აცრის შემთხვევაში კოვიდს დავამარცხებთ.** 60%-ითა და მეტითაც იყო რიგი სახელმწიფოების მოსახლეობა აცრილი, მაგრამ კოვიდის აფეთქებები (ვირუსის ახალი, დელტა ვარიანტით გამოწვეული) სწორედ ასეთ, ყველაზე ვაქცინირებულ სახელმწიფოებში მოხდა. ისრაელი დღესაც გამორჩეულია ვაქცინაციის უკვე 85%-იანი მაჩვენებლით, მაგრამ იქ მაინც ანტირეკორდები მყარდება ყოველდღიურად გამოვლენილი კოვიდინფიცირებულების რაოდენობით.

ბატონებო! როდესაც ეს მონაცემები გაქვთ — როდესაც წინ გიდევთ კოვიდთან გასამკლავებლად ჩვენზე გაცილებით უკეთ მომზადებული და აცრილი ისრაელის მაგალითი და მაინც შესაშური თავდაჯერებით ლაპარაკობთ კოვიდის დამარცხებაზე 60%-იანი ვაქცინირების შემთხვევაში, გვაქვს თუ არა უფლება, რომ ეჭვი შეგვეპაროს თქვენს კეთილსინდისიერებაში?!

4. როდესაც ორი დოზით აცრას შედეგი არ მოაქვს და რომელიმე დაავადებით დასუსტებული თუ ასაკოვანი ადამიანის იმუნური სისტემა ვაქცინაზე სათანადოდ ვერ რეაგირებს, უსაფუძვლოა მოლოდინი, რომ ასეთი ადამიანის მესამედ – მეორე დოზიდან ერთ თვეში, ე.წ. „ბუსტერით“ აცრა გამოიღებს სასურველ შედეგს, უარყოფითი შედეგი კი, თანაც ყველა ასაკში, სავსებით მოსალოდნელია. **ჯანმოს ექსპერტების კვლევის შედეგებით, რომელთა სტატიაც ახლახან გამოქვეყნდა ავტორიტეტულ სამედიცინო ჟურნალ THE LANCET-ში „დამატებითი დოზების, ანუ ბუსტერების ძალზე ადრე ან ძალზე ხშირმა გამოყენებამ მძიმე გართულებები შეიძლება გამოიწვიოს“. ის ეხება „განურჩევლად ყველა სახის ვაქცინას — MRNA იქნება თუ ადენოვირუსებზე დამზადებული, ე.წ. ვექტორული. ავტორები იმასაც კი ზუსტებენ, რომ „მიოკარდიტი – გულის კუნთის ანთება — „ფაიზერისა“ და „მოდერნას“ განმეორებითი ინიექციის შემთხვევაშია მოსალოდნელი, ხოლო გიიენ-ბარეს სინდრომი, რომელსაც სრული დამბლა შეიძლება მოჰყვეს, — „სპუტნიკ V“-სა და „ასტრაზენეკას“ შემთხვევაში“.**

გართულებების გარდა, მასობრივი და ხშირი ვაქცინაციის მეორე, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი უარყოფითი მხარე არის ის, რომ ვირუსზე ნაირ-ნაირი ვაქცინებით ზემოქმედების შედეგად ისეთი გამძლე შტამები ჩნდება, რომლებზეც ძველი ვაქცინები ნაკლებად ან საერთოდ აღარ მოქმედებს. და კიდევ — დროის მოკლე მონაკვეთში ჩატარებული ხშირი აცრები იმუნური სისტემის გამოფიტვას იწვევს და იგი განსაკუთრებით საშიშია ბავშვებში, რომლებსაც იმუნიტეტი ჯერ კარგად ჩამოყალიბებული არ აქვთ.

**ბატონებო, როცა ზემოჩამოთვლილთაგან ვერც ერთს ვერ უარყოფთ, როცა დამაჯერებელი პასუხები არ გაქვთ და არც ის იცით, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ორ-სამ თვეში სამჯერ აცრას მომავალში, როდესაც აცრილებში მუცლის მოშლამ ფეხმძიმობის პირველ ტრიმესტრში იმატა ბრიტანეთში, ამერიკაში, სხვაგანაც და მაინც, ლამის თოთო ბავშვით დაწყებული ღრმა მოხუცამდე, ორსულების ჩათვლით — ყველას აცრისკენ მოუწოდებთ, განა ეს დანაშაული არ არის?**

5. უკვე წელიწადზე მეტია, მედიცინაში ერთ-ერთ უვნებელ წამლად მიჩნეული ანტიპარაზიტული და ანტივირუსული პრეპარატით — ივერმექტინით კოვიდის მკურნალობაში მიღწეული წარმატებების შესახებ არის ცნობილი, მაგრამ სამეული (ამ შემთხვევაში, მთავარი ფიგურა ბატონი თენგიზ ცერცვაძეა) მაინც ჯიუტად უარს აცხადებს მის გამოყენებაზე და, სიკვდილიანობის საგანგაშოდ მაღალი მაჩვენებლის მიუხედავად, კვლავ რემდესივირით გრძელდება მკურნალობა. ბატონი ცერცვაძის მიერ იმ ფაქტის მოშველიება, რომ რემდესივირს FDA -სა და EMA-სგან ე.წ. approval-ი, ანუ ჰოსპიტალიზებულ ყველა პაციენტზე გამოყენების ნებართვა აქვს, ხოლო ივერმექტინს — მხოლოდ გადაუდებელ შემთხვევებში გამოყენების ავტორიზაცია (EUA), ბევრს არაფერს ნიშნავს, რადგან 30 ქვეყნის 405 ჰოსპიტლის მონაწილეობით ჩატარებული 6-თვიანი კვლევების საფუძველზე 2020 წლის 20 ნოემბერს ჯანმომ მიიღო საპირისპირო გადაწყვეტილება: „ჯანმო წინააღმდეგია რემდესივირის გამოყენების, რადგან „არ არსებობს მტკიცებულება, რომ რემდესივირი აუმჯობესებს პაციენტების გადარჩენის ან სხვა მაჩვენებლებს“. იგივე დასკვნა გაკეთდა სხვა კვლევებითაც.

ამიტომ, გაუგებარია და ეჭვების აღმძვრელი ცერცვაძის ჭოჭმანი, როცა საქმე ივერმექტინს ეხება. მისი თქმით, „ივერმექტინს FDA-ს ოფიციალური რეკომენდაცია არ აქვს, მაგრამ ჯანმო, NIH (ამერიკის ჯანდაცვის ნაციონალური ინსტიტუტი) და მსოფლიოს სხვა წამყვანი ორგანიზაციები რეკომენდაციას იძლევიან მისი კლინიკური კვლევების მიზნით გამოყენების თაობაზე“, მაგრამ... ჩვენ მაინც ჯერ ვფიქრობთ, ვერ გადაგვიწყვეტიაო. ცერცვაძემ ჟურნალისტებს ვერ აუხსნა (11 აგვისტოს), რატომ გაემიჯნა იგი ასე კატეგორიულად ივერმექტინს და რატომ თქვა უარი კლინიკურ გამოცდაზე. დაჰპირდა, პასუხს რამდენიმე დღეში გეტყვითო... მას შემდეგ მეორე თვე გადის, პასუხი კი არ ჩანს. „ასავალ-დასავალის“ 13-19 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნდა თენგიზ ცერცვაძის ვრცელი ინტერვიუ, რომელშიც იგი ყველა პრეპარატზე საუბრობს, რომლებსაც კოვიდის სამკურნალოდ იყენებენ მეტ-ნაკლებად და გაზეთის სამ გვერდზე ერთი სიტყვითაც არ ახსენებს ივერმექტინს, თითქოს იგი საერთოდ არ არსებობდეს. და ამის შემდეგ ცერცვაძეს უკვირს, რატომ აკრიტიკებენ მას აქაური და უცხოეთში მომუშავე ქართველი ექიმები რემდესივირის გამო, რატომ ვერ დაინახეს მის მიერ **„ქვეყნისთვის 4 მილიონი აშშ დოლარის რემდესივირის საჩუქრად შემოტანა“,** რატომ სდებენ ბრალს „კორუფციულ კავშირებსა და გარიგებებში“. უცნაურია, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ ცილისმწამებლებისთვის სახელის შებღალვის გამო ეჩივლა, ცერცვაძემ საპასუხოდ უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა იმის გარდა, რომ განეცხადებინა: „ამ ექიმებს ერთი რამ აერთიანებთ — პოლიტიკური ანგაჟირება“, რომ მათ „სხვისი აშენებული ქვეყანა არ უნდათ“. არგუმენტებში „გაჭედვამ“ იცის დასახმარებლად პოლიტიკის მოშველიება, რაც „ნაცმოძრაობის“ ტაქტიკას მაგონებს, როცა პასუხისგებაში მიცემულ მათ მხარდამჭერ დამნაშავეს, კორუფცირებულს თუ კრიმინალს პოლიტიკური დევნის მსხვერპლად ასაღებენ. მაგრამ ცერცვაძის შემდეგი ბრალდება კიდევ უფრო არაეთიკურია: „მათ აღიზიანებთ, თუ კოვიდის მართვაში რაიმე კარგი ხდება და კმაყოფილები არიან და უხარიათ, თუ რაიმე ისე არ მიდის“. ანუ, მხოლოდ იმიტომ, რომ მკურნალობის, მედიკამენტის შერჩევის გამო გაკრიტიკებენ, შეგიძლია, კოლეგებს — ექიმებს ბრალი დასდო, თითქოს, მათ ავადმყოფის გადარჩენა სწყინთ, დაღუპვა კი უხარიათ? ასეთი რამ როგორ უნდა აკადრო ვინმეს, მით უფრო ექიმს, რომელსაც ხშირად 24-საათიან რეჟიმში უწევს თავდაუზოგავი მუშაობა?!

ცერცვაძის ზემოხსენებულ ინტერვიუში ერთი ადგილი იქცევს ყურადღებას, რომელიც კიდევ უფრო აძლიერებს ეჭვს. იგი ამბობს: „ჩვენ 2020 წლის გაზაფხულზე, მსოფლიოში ერთ-ერთმა პირველებმა, გამოვიყენეთ ტოცილიზუმაბი – ჯერ კიდევ მაშინ, როცა ის, რემდესივირისგან განსხვავებით, კოვიდის სამკურნალოდ ოფიციალურად არ იყო რეკომენდებული“. რა გამოდის? **ცერცვაძე ერთ-ერთი პირველი ბედავს ისეთი პრეპარატის გამოყენებას, რომელსაც იმ დროს თითქმის არავინ იყენებს და არც „მსოფლიოს წამყვანი ინსტიტუციები“ იძლევიან ამ პრეპარატის სამკურნალოდ გამოყენების რეკომენდაციას და, ასეთი გამბედავი ექიმი არც კი ახსენებს უვნებელ პრეპარატ ივერმექტინს, რომლის გამოყენების ოფიციალური რეკომენდაცია, დიდი ხანია, გაცემულია, ხოლო ეფექტიანობა უამრავი კვლევით არის დადასტურებული და რომელსაც ჯანმრთელ ადამიანებსაც კი აძლევენ პროფილაქტიკური მიზნით.** ძნელია, ცერცვაძის გაუგებარ ქმედებას ადეკვატური ახსნა მოუძებნო, თუმცა ამის გარკვევაში რემდესივირის მწარმოებელი ამერიკული ბიოფარმაცევტული კომპანია Gilead Sciences „4-მილიონიანი საჩუქარი“ შეიძლება დაგვეხმაროს. საქმე ის არის, რომ რემდესივირი ძალიან ძვირი პრეპარატია — ერთი ავადმყოფის მკურნალობის კურსი (6-ჯერ ინტრავენური ინიექცია) 3120 დოლარი ჯდება ამერიკაში, ხოლო გაცილებით ეფექტიანი ივერმექტინით მკურნალობა — 100-ჯერ ნაკლები. **ცერცვაძის სიჯიუტის მიზეზიც, დიდი ალბათობით, ამ ფასთა სხვაობაში უნდა იდოს. იმ შემთხვევაში, თუ ყველა ჰოსპიტალი რემდესივირს ივერმექტინით ჩაანაცვლებს, ხომ ადვილი საანგარიშოა, რამდენ მილიარდს დაკარგავს კომპანია „გილეადი“, რომელიც ამჟამად თითქმის მთელ მსოფლიოს ამარაგებს ამ უძვირესი პრეპარატით. რემდესივირზე უარი რომ არ თქვან ან რაც შეიძლება მაქსიმალურად გაჭიანურდეს ივერმექტინზე (ან სხვა პრეპარატზე) გადასვლა, კომპანიას სწორედ ცერცვაძისნაირი ერთგული ადამიანები სჭირდება.**



**როდესაც წინ გიდევთ კოვიდთან გასამკლავებლად ჩვენზე გაცილებით უკეთ მომზადებული და აცრილი ისრაელის მაგალითი და მაინც შესაშური თავდაჯერებით ლაპარაკობთ კოვიდის დამარცხებაზე 60%-იანი ვაქცინირების შემთხვევაში, გვაქვს თუ არა უფლება, რომ ეჭვი შეგვეპაროს თქვენს კეთილსინდისიერებაში?!**

ვფიქრობ, საკმარისზე მეტი ბრალდებები წავუყენე სამეულს. აი, ერთად თავმოყრილი მოკლედ:

**1. მტკიცება იმისა, რომ ერთჯერადი პირბადე ვირუსებისგან 95 %-ით გვიცავს, მტკნარი სიცრუეა, რამაც უსაფრთხოების ცრუ განცდა გააჩინა, აქედან გამომდინარე არასახარბიელო შედეგებით;**

2. ზედაპირებიდან დაინფიცირება, პრაქტიკულად, არ ხდება და ამიტომ ყველაფრის დეზინფექცია ბიუჯეტიდან ფულის ფლანგვაა;

**3. ხელის ჩამორთმევით და, მით უმეტეს, ფეხსაცმლის ძირებიდან (დეზობარიერზე არგაწმენდის შემთხვევაში) კოვიდის გადადება არ ხდება. საწინააღმდეგოს მტკიცება ხალხის მასხრად აგდებაა;**

4. საპნით ხელების ხშირად და ხანგრძლივად დაბანა და სადეზინფექციო ხსნარებითაც რეგულარულად დამუშავება მაშინ, როდესაც ვირუსი ხელებით არ გადადის, მხოლოდ ზიანის მომტანია;

**5. ექიმები და სამედიცინო პერსონალი არ არიან სათანადოდ დაცულნი: არ არიან აღჭურვილნი შესაფერისი რესპირატორებით, რაც ყოვლად შეუწყნარებელია;**

6. აუცრელი ავადმყოფი ადამიანიც კი არ წარმოადგენს (არ უნდა წარმოადგენდეს) საფრთხეს ჭეშმარიტი იმუნიტეტის მქონე აცრილისთვის. ეს ხალხის დასაშინებლად და ურთიერთდასაპირისპირებლად მოგონილი სიცრუეა;

**7. იმის მტკიცება, რომ 60%-იანი ვაქცინაციის შემთხვევაში კოვიდს დავამარცხებთ, საფუძველს მოკლებულია. ეს მაქსიმალურად ვაქცინირებული სახელმწიფოების პრაქტიკამ დაგვანახვა;**

8. მესამედ აცრა, აგრეთვე, ორსულებისა და 18 წლამდე ბავშვების ვაქცინაცია, რომლის შორეული შედეგები აბსოლუტურად შეუსწავლელია, დიდი დანაშაულია;

**9. ივერმექტინით მკურნალობაზე კატეგორიული უარის თქმა დანაშაულის ტოლფასი შეცდომაა.**

**იაკობ ლეჟავა**

**P.S. მინდა, იმედი დავიტოვო, რომ პატივცემული პროფესორები თავს შეიწუხებენ და შეეცდებიან, დაასაბუთონ, რომ მე ვცდები და ბრალდებები, თუნდაც ნაწილობრივ, უსაფუძვლოა. წინააღმდეგ შემთხვევაში მათი სიჩუმე დანაშაულის აღიარების ტოლფასი იქნება. ადრე თუ გვიან ყველაფერი ცხადდება და პასუხის გაცემის დრო მაინც დადგება!**

**ი. ლ.**

პროცესების კვალდაკვალ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ქალბატონი ელჩი თავს უფლებას აძლევს, პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილს ქვეყნის ხელმძღვანელობა დაუწუნოს. რატომ? — იმიტომ, რომ ბატონმა ღარიბაშვილმა ქართველ ხალხთან და ეკლესიასთან ერთად რუსთაველის პროსპექტზე პედერასტთა აღლუმი აღკვეთა. ქალბატონი ელჩი ბილწთა ქომაგად მოგვევლინა — ის საქართველოდან გაძევებას იმსახურებს.**

# პოლიტიკური მინიატურები

**საქართველოს გეოგრაფიული სივრცის კარნახით, მკითხველს განსასჯელად პოლიტიკურ მინიატურებს ვთავაზობ.**

* * *

აშშ-დასავლეთი საქართველოს მოსახლეობასა და მის ხელისუფალთ დაჟინებით აიძულებს, იწამონ აშკარა ტყუილი — თითქოს 2008 წლის აგვისტოს ომი რუსეთის აგრესიით დაიწყო. „ოცნების“ ხელისუფლებამ სააკაშვილი მილიონების მიტაცებისთვის გაასამართლა და არა ცხინვალის ავანტიურისთვის; ამიტომაა, რომ ის თავხედობს. ქართულ სასამართლოს სააკაშვილი ისე უნდა დაესაჯა, როგორც აგვისტოს ომის დამწყები; სამუდამო თუ არა, 25-წლიანი პატიმრობა უნდა მიესაჯა, რადგან შევარდნაძის დაწყებული ბოროტება მან დააგვირგვინა — ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტი დაგვიკარგა. **ეს სიმართლეა!**

* * *

დასანანია, „ოცნების“ ხელისუფლება საქართველოს ცხოვრებაში აშშ-ის ელჩის, ქალბატონ **კელი დეგნანის** უხეშ, დამამცირებელ ჩარევაზე რომ არ რეაგირებს. ქალბატონი ელჩი თავს უფლებას აძლევს, პრემიერ **ირაკლი ღარიბაშვილს** ქვეყნის ხელმძღვანელობა დაუწუნოს. რატომ? — იმიტომ, რომ ბატონმა ღარიბაშვილმა ქართველ ხალხთან და ეკლესიასთან ერთად რუსთაველის პროსპექტზე პედერასტთა აღლუმი აღკვეთა.

ქალბატონი ელჩი ბილწთა ქომაგად მოგვევლინა — ის საქართველოდან გაძევებას იმსახურებს; **ესეც სიმართლეა!**

* * *

მისასალმებელია ბატონ ირაკლი ღარიბაშვილის ოპტიმიზმი — „მშვიდობისა და განვითარების გზით აფხაზ და ოს ძმებთან ერთად შევქმნით ძლიერ სახელმწიფოს...“ ეს სინამდვილედ რომ იქცეს, ბატონ პრემიერს წინასწარ გასატარებელი ღონისძიებები უნდა ჩამოეთვალა, რაც ვერ ან არ გააკეთა. ამ ღონისძიებებს მე, პოლიტოლოგი, ჩამოვუთვლი: **კონსტიტუციიდან უნდა ამოვიღოთ ნატო-ევროსტრუქტურების ხსენება; გავაუქმოთ ე.წ. ოკუპაციის მუზეუმი; დავიწყოთ პირდაპირი დიალოგი რუსეთთან, აფხაზებთან და ოსებთან — წინასწარი პირობებისა და შუამავლების გარეშე; აღვადგინოთ დიპლომატიური ურთიერთობა; გამოვაცხადოთ ფინეთის მსგავსი სამხედრო ნეიტრალიტეტი; ვიზრუნოთ სოხუმის გავლით ადრინდელი სარკინიგზო და საავტომობილო მიმოსვლის აღდგენაზე რუსეთის მიმართულებით; გამოვიყენოთ რუსეთთან დამაკავშირებელი როკის გვირაბი.**

აი გზები თქვენი ოპტიმიზმის განხორციელებისკენ. ბატონო პრემიერმინისტრო, იწამეთ ეს ჭეშმარიტება, წარმატებებს გისურვებთ!

დღეს ქართველთა ერთი ნაწილისგან ხშირად გვესმის: ვართ „ევროპელი სოციალისტები“ თუ პარტია „ევროპელი დემოკრატების“ წარმომადგენლებიო. მათ ვურჩევ: **ბატონებო, ერთიანად გადასახლდით იმ თქვენს ევროპაში, ჩვენ კი აქ დაგვტოვეთ — წინა აზიის საქართველოში.**

* * *

ბატონმა **გიორგი გახარიამ** პრემიერის თანამდებობა რომ მიატოვა, მაშინვე ვიფიქრე, ის სამოქმედოდ რადიკალურად განსხვავებულ პროგრამას შემოგვთავაზებდა, ვთქვათ, რუსეთთან, აფხაზებთან და ოსებთან წასვლას შუამავალთა გარეშე ან კიდევ ნატოს ორგანიზაციაში გაერთიანებაზე უარის თქმას და ა.შ. და ა.შ., მაგრამ ჩემი ფიქრი არ გამართლდა. მოხდა ის, რასაც ყველა ვხედავთ. გახარიას საქციელს დიდოსტატურ ღალატს, ზურგში მახვილის ჩაცემას დავარქმევ და გადაჭრით ვგმობ. მოვუწოდებ ბატონ გახარიას, დარჩეს განცალკევებით, მარტოდმარტო საკუთარ თავთან, იფიქროს ხანგრძლივად და მიხვდება, პარტია „ქართული ოცნების“ წინაშე როგორი ღალატი და ენით გამოუთქმელი უმადურობა ჩაიდინა.

* * *

ბევრჯერ მითქვამს, გამომიქვეყნებია კიდეც — გეოპოლიტიკური სიბრმავე საქართველოს ტრაგედიაა, რომელიც




**კონსტიტუციიდან უნდა ამოვიღოთ ნატო-ევროსტრუქტურების ხსენება; გავაუქმოთ ე.წ. ოკუპაციის მუზეუმი; დავიწყოთ პირდაპირი დიალოგი რუსეთთან, აფხაზებთან და ოსებთან — წინასწარი პირობებისა და შუამავლების გარეშე; აღვადგინოთ დიპლომატიური ურთიერთობა; გამოვაცხადოთ ფინეთის მსგავსი სამხედრო ნეიტრალიტეტი; ვიზრუნოთ სოხუმის გავლით ადრინდელი სარკინიგზო და საავტომობილო მიმოსვლის აღდგენაზე რუსეთის მიმართულებით; გამოვიყენოთ რუსეთთან დამაკავშირებელი როკის გვირაბი**


კელი დეგნანი

ამერიკული პოლიტიკური კორონავირუსის ნაყოფია. ეს სიბრმავე, 30 წელზე მეტია, გვტანჯავს, გვაწამებს, ტერიტორიებს გვაკარგვინებს, როგორც იტყვიან, სისხლს გვიშრობს. აშშ-ის პოლიტიკურმა კორონავირუსმა ისე დაგვაბრმავა, რომ დაგვაკარგვინა სინამდვილის აღქმა-შემეცნების, დანახვის უნარი. ვერ ვხედავთ, სად, რომელ კონტინენტზე, რომელი ქვეყნების გარემოცვაში ვცხოვრობთ, როგორია ამ ქვეყნების საგარეოპოლიტიკური კურსი; ვერ ვხედავთ 700-კილომეტრიან საერთო საზღვარს დიდ რუსეთთან და ისე ვმოქმედებთ, ისეთ საგარეო-პოლიტიკურ კურსს ვადგავართ, თითქოს საქართველო სადღაც ბისკაის ყურის სანაპიროზე მდებარეობდეს. სწორედ გეოპოლიტიკური სიბრმავის ნათელი დემონსტრირებაა „ნატოში მინდას“ უწყვეტი ქაქანი. ვერა და ვერ გავაცნობიერეთ, რატომ არ ეტრფიან წყეულ ნატოს ჩვენი უშუალო მეზობლები — სომხეთი და აზერბაიჯანი. ცხადია, აშშ-ის პოლიტიკურმა კორონავირუსმა მათი დაბრმავება ვერ შეძლო.

ვეკითხები ქართველ ხალხს, ხელისუფალთ: როდემდე ვიცხოვროთ აშშ-ის პოლიტიკური კორონავირუსის მიერ თავსმოხვეულ გეოპოლიტიკურ სიბრმავეში?

**გივი გურეშიძე,**
**ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტოლოგი ქუთაისიდან**

**გეოპოლიტიკური სიბრმავის ნათელი დემონსტრირებაა «ნატოში მინდას» უწყვეტი ქაქანი. ვერა და ვერ გავაცნობიერეთ, რატომ არ ეტრფიან წყეულ ნატოს ჩვენი უშუალო მეზობლები — სომხეთი და აზერბაიჯანი. ცხადია, აშშ-ის პოლიტიკურმა კორონავირუსმა მათი დაბრმავება ვერ შეძლო. ვეკითხები ქართველ ხალხს, ხელისუფალთ: როდემდე ვიცხოვროთ აშშ-ის პოლიტიკური კორონავირუსის მიერ თავსმოხვეულ გეოპოლიტიკურ სიბრმავეში?**



**ბიძინა კარგად ხედავდა ქართველთა შესაძლებლობებს, მაგრამ, ღვთის ნებას მინდობილსა და სამშობლოს გამოხსნის აუცილებლობაში დარწმუნებულს, სჯეროდა გამარჯვებისა. არაგვის ერისთავმა „მცირედნი ოდენ კაცნი რჩეული მხედრები მისცნა თანაშემწედ საიდუმლოდ“, ხოლო ქსნის ერისთავებმა, ბიძა-ძმისწულმა, ქუდზე კაცს უხმეს, შეყარეს თუშნი, მთიულნი, მცირედ კახნი...**

სულიერება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# წმიდა ბიძინა ჩოლოყაშვილი, ელიზბარ და შალვა ქსნის ერისთავნი — წამებული რაინდები

**შაჰ-აბას I-მა და მისმა ძემ, შაჰ-აბას II-მ, განსაკუთრებული სისასტიკით ააოხრეს კახეთი. მამაშვილი ცეცხლის ალში ხვევდა საქართველოს ეკლესია-მონასტრებსა და ციხესიმაგრეებს, ათასობით ქართველს მშობლიური მიწიდან ყრიდნენ, სპარსეთში მიერეკებოდნენ და მათ ადგილას სპარსელებს ასახლებდნენ. სწორედ ამგვარი გაჭირვების ჟამს, როცა თითქოს ცოდვა-მადლი არ განირჩეოდა, როცა ცეცხლის კალოდ ქცეული საქართველო ყოფნა-არყოფნის ზღვარზე იდგა, უფალმა თავისი ერთგული მხედრობა გამოარჩია. ამ საუკუნეში შეუერთდნენ ზეციურ საქართველოს წმიდა დიდმოწამე ქეთევან დედოფალი, წმიდა მოწამე ლუარსაბ მეფე, წმიდა ექვსიათასი გარეჯელი ბერი, წმიდა მღვდელმოწამე ევდემოზ კათოლიკოსი, წმიდა მღვდელმოწამე თევდორე კველთელი. ამ საუკუნეში აღესრულა ღვთისა და ერის სადიდებლად ცხრა ძმა ხერხეულიძე და მათთან ერთად ცხრაათასი მხედარი მარაბდის ველზე; ამ საუკუნეშივე მოუვლინა უფალმა ქვეყანას ხსნად და იმედად კახეთის გმირები: ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები. ისინი საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ წმინდანებად შერაცხა და მათი ხსენების დღედ 1 ოქტომბერი (ახალი სტილით) დააწესა.**

კახეთის საკითხის საბოლოოდ მოსაგვარებლად სპარსელმა დამპყრობლებმა გადაწყვიტეს კახეთიდან ადგილობრივი მოსახლეობის გასახლება და იქ მომთაბარე-მეჯოგე ტომების ჩასახლება. ყიზილბაშებმა დაიწყეს კახეთში ციხეების აგება (ბახტრიონი, ალავერდის მონასტერი ციხესიმაგრედ გადააკეთეს), რომელთა გარნიზონებს ჩასახლებული თურქმანები ქართველთა თავდასხმისაგან უნდა დაეცვა. კახეთის ტერიტორია ორად გაყვეს: სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი ყარაბაღის ბეგლარბეგს გადასცეს, დანარჩენი კი ნახჭევანის მმართველს, რომელთაც მათზე დაქვემდებარებული **ელები** (მეჯოგე-მომთაბარე მოსახლეობა კახეთსა და ქვემო ქართლში XVI-XIX საუკუნეებში) კახეთში უნდა დაესახლებინათ. ამ ღონისძიების შედეგად კახეთის ბარში 80 ათასამდე თურქმანი ჩაასახლეს. ხალხი ილტვოდა მტარვალთაგან და იხიზნებოდა. „ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს, რომ „აღარა სადა იხსენებოდა სახელი ქრისტესი, თვინიერ მცირეთა ოდენ მთით კერძო თუშთა, ფშავთა და ხევსურთა შორის“.

კახეთი დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. თურქმანთა ჩასახლების წინააღმდეგ დაიწყო სახალხო მოძრაობა, რომელშიც მოსახლეობის დიდი ნაწილი ჩაება. უფალმა კახეთის მთავარს, ბიძინა ჩოლოყაშვილს, კეთილი განზრახვა შთააგონა: მან არაგვისა და ქსნის ერისთავებთან ერთად თავს იდვა კახეთის გათავისუფლება თათართაგან. ხანგრძლივი ფიქრისა და განსჯის შემდეგ ბიძინა ეახლა თავის მოყვარეს, არაგვის ერისთავ ზაალს და გულისნადები აუწყა. ზაალ ერისთავს თვითონაც გული უდუღდა ამდენი უბედურებისა და უსამართლობისაგან, მოიწონა განზრახვა და ქსნის ერისთავი ელიზბარიც მოიწვია შალვასთან ერთად. წმიდა ბიძინამ კახეთისათვის თავსდატეხილ ჭირზე მოუთხრო ერისთავებს, აუხსნა მათ, რომ უმოკლეს ხანში ამგვარივე განსაცდელში ქართლიც შეიძლებოდა ჩავარდნილიყო და მოუწოდა, ერთად ებრძოლათ მომხდურთა წინააღმდეგ: „აწ უკუე აღუდგეთ მათ ზედა, დალაცათუ შეუძლებელ არს ჩუენ მიერ, არამედ ძალითა და შეწევნითა ცხოველსმყოფელისა ჯუარისათა და თანადგომითა ახოვანისა მხედრისა წმიდისა გიორგისათა, რამეთუ დიდებული ტაძარი მისი (ალავერდი) დაიპყრეს და შეაგინეს და პატიოსანი ხატი მისი შემუსრეს“.

ბიძინა კარგად ხედავდა ქართველთა შესაძლებლობებს, მაგრამ, ღვთის ნებას მინდობილსა და სამშობლოს გამოხსნის აუცილებლობაში დარწმუნებულს, სჯეროდა გამარჯვებისა.

**არაგვის ერისთავმა „მცირედნი ოდენ კაცნი რჩეული მხედრები მისცნა თანაშემწედ საიდუმლოდ“, ხოლო ქსნის ერისთავებმა, ბიძა-ძმისწულმა, ქუდზე კაცს უხმეს, შეყარეს თუშნი, მთიულნი, მცირედ კახნი... უმთვარო ღამეს მთა გადაიარეს, ახმეტა ჩავლეს და მოულოდნელად დაეცნენ თავს ბახტრიონს უზრუნველად დაბანაკებულ თათრებს. იმავე დღეს, 1659 წლის ალავერდობის დღესასწაულზე, მიუხდნენ ალავერდს მყოფ ყიზილბაშებს და ისე გაანადგურეს, რომ არდალანის სულთანმა სელიმ-ხანმა ძლივს მოასწრო გაქცევა, მიატოვა ცოლ-შვილი და სპარსეთს გაეშურა.**

**ქართველთა ძლევამოსილი მხედრობა, მადლობდა ღმერთს და ერის მფარველ წმიდა გიორგის, „რამეთუ ცხადად იხილვებოდა მთავარმოწამე გიორგი ცხენსა ზედა სპეტაკსა ელვის სახედ მიმოსრბოლი წინამავლად მათდა“.**

თავისუფლად ამოისუნთქა კახეთმა, უზომოდ გახარებული თავს ევლებოდა თავის ერთგულ შვილებს... მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა სამშობლოს მხსნელი გმირების ნეტარება. განრისხებულმა შაჰ-აბასმა ქართლის მეფეს, ვახტანგს, სპარსთაგან შაჰნავაზად წოდებულს, უბრძანა, ქრისტეს ახოვანი მხედრები მასთან გაეგზავნა.

კახეთის მხსნელი გმირები უდრტვინველად გაემართნენ უკანასკნელ გზაზე. მათ იცოდნენ, რომ შაჰ-აბასისგან დანდობა არ ექნებოდათ, მაგრამ იცოდნენ ისიც, რომ დაყოვნება ქვეყანას ზიანს მოუტანდა.

ცბიერმა შაჰმა პატივით ისტუმრა ქართველი დიდებულები, მაგრამ შემდეგ სიმდიდრისა და პატივის საფასურად სარწმუნოების გამოცვლა მოსთხოვა. ქართველებმა სპარსეთის მბრძანებელს არდალანის სულთნის პირით შეუთვალეს: **„ჩუენ ნიჭთა და პატივთა თქუენთათვის არა გული გვითქუამს. არცა ვეძიებთ საბოძვართა თქუენთა, რამეთუ ჩუენ ზეცათა მეფის მონანი ვართ და მხედრად ქრისტესა განწესებულნი... მზად ვართ ყოვლისავე დათმენად, რაჲთა მის თანა ვსუფევდეთ და მის თანა ვიხარებდეთ“.** ბევრს ეცადა არდალანის სულთანი, მაგრამ ვერავითარმა დაპირებამ ვერ მოხიბლა ქრისტეს ერთგული მსახურები. მაშინ **შაჰის ბრძანებით წმიდანები სასტიკად აწამეს. წამებულნი ერთმანეთს ამხნევებდნენ, ტანჯვას ითმენდნენ და უფალს განმტკიცებას ევედრებოდნენ.**

წმიდანები გააშიშვლეს და გზაზე დაყარეს მწერთაგან დასაგესლად. განრისხებულმა სელიმ-ხანმა გადაწყვიტა, ბიძინას შესაშინებლად მის თვალწინ თავი წარეკვეთათ წმიდა ელიზბარისა და შალვასთვის. „არა რაი არს უტკბილეს ქრისტესთვის სიკვდილისა“, — ბრძანა წმიდა ბიძინამ.

**ქსნის ერისთავებმა მშვიდად დადრიკეს თავები, მაგრამ ჯალათებმა მახვილები ვერ შეაწვდინეს დასარტყმელად, რადგან სანატრელნი ახოვანებით დიდად აღემატებოდნენ უსჯულოებს. მაშინ მტარვალებმა წვივებში ჩასცეს მახვილი და, როცა დავარდნენ, თავები წარკვეთეს ნეტარ ბიძა-ძმისწულს.**

თანამბრძოლთა სიკვდილს ოდნავადაც არ შეუშინებია წმიდა ბიძინა. მტარვალმა გადაწყვიტა, შეურაცხყოფით მოეტეხა ბიძინას სიმხნევე. ახოვან გმირს დედაკაცის ჩადრი დაახურეს, ვირზე შესვეს და ქუჩა-ქუჩა ატარეს, დასცინოდნენ და ლანძღავდნენ რჩეულთა შორის გამორჩეულ ქართველს; წმიდა ბიძინა კი ჰმადლობდა ღმერთს.

ამის შემდეგ **ჯალათებმა გადაწყვიტეს, ცოცხლად აეჩეხათ წმიდანი: ალესილი მახვილებით ჯერ ხელის თითები მოჰკვეთეს სათითაოდ, მერე — ფეხისა; თითების შემდეგ ხელები მოსჭრეს მაჯებამდე და ფეხები — კოჭებამდე; შემდეგ მოჰკვეთეს ორივე მკლავი იდაყვამდე და ორივე წვივი მუხლამდე. მოკვეთილ ასოებს მიწაზე ათრევდნენ და შეურაცხყოფდნენ.** ბოლოს დაჩეხილ ტანზე თავიღა დარჩა უვნებელი. ბაგეების მოძრაობით ჩანდა, რომ გული ჯერ კიდევ ფეთქავდა და წმიდანი ლოცულობდა. მაშინ ერთმა ჯალათმა შუბი უგმირა და გულიც გაუჩერა, გული, რომელმაც გაუძლო ამდენ ტკივილს. ეს ამბავი 1661 წელს მოხდა.

წმიდა მოწამეთა გვამები მთელი დღე ღია ცის ქვეშ ეყარა და მიახლოებას ვერავინ ბედავდა. ღამით მათ ნათელი დაადგა. ქრისტიანებმა ფარულად დაკრძალეს წმიდანთა ნეშტი.

მრავალი წლის შემდეგ შალვას მეუღლემ, ქეთევანმა, და მისმა ძემ, დავითმა, სარწმუნო კაცები წარგზავნეს წმიდანთა ნეშტის ჩამოსასვენებლად.

**ქართლში ჩამოსვენებულ წმიდა ნაწილებს მრავალი მორწმუნე შეეგება თაყვანისცემითა და ამბორისყოფით. კახეთის მხსნელი გმირები პატივითა და დიდებით დაკრძალეს იკორთის მთავარანგელოზის სახელობის ტაძარში.**

მომზადდა წიგნიდან „ქართველ წმიდანთა ცხოვრებანი“, თბილისი, 2004 წ.



**«შაჰის ბრძანებით წმიდანები სასტიკად აწამეს. წამებულნი ერთმანეთს ამხნევებდნენ, ტანჯვას ითმენდნენ და უფალს განმტკიცებას ევედრებოდნენ. წმიდანები გააშიშვლეს და გზაზე დაყარეს მწერთაგან დასაგესლად. განრისხებულმა სელიმ-ხანმა გადაწყვიტა, ბიძინას შესაშინებლად მის თვალწინ თავი წარეკვეთათ წმიდა ელიზბარისა და შალვასთვის. «არა რაი არს უტკბილეს ქრისტესთვის სიკვდილისა», — ბრძანა წმიდა ბიძინამ**


იკორთის ტაძარი


წმინდანთა სამი ძვალი იკორთაში

ყველაზე ყველაზე...

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ყველაზე ცივი პლანეტა მზის სისტემაში

მას შემდეგ, რაც პლუტონს ჩამოართვეს პლანეტის სტატუსი, მზის სისტემის ყველაზე ცივ პლანეტად აღიარებულია ნეპტუნი. ამ პლანეტაზე ტემპერატურა მინუს 200 გრადუსს აღწევს. ასეთი დაბალი ტემპერატურა განპირობებულია იმით, რომ პლანეტა წყალბადისა და ჰელიუმისგან შედგება.



# ტემპერატურული და კლიმატური რეკორდები დედამიწაზე და მზის სისტემაში

1922 წლის სექტემბერში მეტეოროლოგებმა დედამიწის ზედაპირზე ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა აღრიცხეს: დღევანდელი ლიბიის ტერიტორიაზე — ელ-აზიზიაში თერმომეტრმა ჩრდილში პლუს 57,7 გრადუსი აჩვენა. გაეცანით შემთხვევებს, როცა ბუნებაში და, საერთოდ, სამყაროში ტემპერატურული და კლიმატური რეკორდები დამყარდა.



## მზის ტემპერატურა

მთავარი ტემპერატურული რეკორდი, რა თქმა უნდა, მზის ზედაპირზე დამყარდა — ეს დაახლოებით პლუს 15 მლნ გრადუსია ცელსიუსით.



## „ცხელი“ ვენერა

ვენერა მზის სისტემაში მეორე პლანეტაა ზედაპირის სიმხურვალით. ვენერას ტემპერატურა ზოგჯერ პლუს 464 გრადუსს აღწევს. ეს აიხსნება იმით, რომ ვენერაზე ძალიან მკვრივი ატმოსფეროა.




## ყველაზე ცხელი წერტილი დედამიწაზე

დედამიწაზე აბსოლუტური სითბური რეკორდი 1913 წლის 10 ივლისს დამყარდა სიკვდილის ველზე (აშშ) — იქ ტემპერატურამ ცელსიუსით პლუს 56,7 გრადუსს მიაღწია. სხვათა შორის, 2012 წლის 13 სექტემბრამდე მეცნიერები მიიჩნევდნენ, რომ პლანეტის სითბური რეკორდი დამყარებული იყო ლიბანის უდაბნოში, მაგრამ მსოფლიოს მეტეოროლოგიურმა ორგანიზაციამ გამოძიება ჩაატარა და დაადგინა, რომ 1922 წელს რეკორდის რეგისტრაციისას არასწორად იყო მითითებული პლუს 58,2 გრადუსი.






## ყველაზე დაბალი ტემპერატურა დედამიწაზე

დედამიწაზე ყველაზე დაბალი ტემპერატურა მეტეოროლოგებმა 2004 წლის 3 აგვისტოს აღრიცხეს ანტარქტიდაში, სადგურ „ფუძის გუმბათზე“ (იაპონელთა საექსპედიციო სადგური) — მინუს 91,2 გრადუსი, მოგვიანებით ეს რეკორდი დაემხო. ყველაზე დაბალი ტემპერატურა — მინუს 93,2 გრადუსი 2010 წლის 10 აგვისტოს ისევ ანტარქტიდაში აღინიშნა.



## ყველაზე ძლიერი წვიმა

ყველაზე ძლიერი წვიმა მოვიდა 1970 წლის 27 ნოემბერს კარიბის ზღვაში მდებარე გვადალუპაზე — ნალექმა 3,8 სმ/წთ-ში შეადგინა.



## ყველაზე მზიანი ადგილი პლანეტაზე

დედამიწაზე ყველაზე მზიან ადგილად ითვლება ქალაქი იუმა (არიზონას შტატი, აშშ).

## ყველაზე ცხელი ქალაქი

პლანეტის ყველაზე ცხელ ქალაქად ტაილანდის დედაქალაქი ბანგკოკი ითვლება. იქ წლიური საშუალო ტემპერატურა 28 გრადუსია, ყველაზე ცხელი დღეები კი აპრილ-მაისშია, როდესაც საშუალო ტემპერატურა პლუს 34 გრადუსს აღწევს, მაგრამ 90%-იანი ტენიანობის პირობებში სიცხე ჩვეულებრივზე გაცილებით მეტად იგრძნობა.



## ყველაზე დიდი სეტყვა

ყველაზე დიდი სეტყვა მოვიდა 2003 წლის ივნისში აშშ-ის შტატ ნებრასკაში. სეტყვის კაკლების დიამეტრი 17,8 სმ-ს შეადგენდა, გარშემოწერილობა — 47,8 სმ-ს.



## ყველაზე დიდი ფიფქი

ყველაზე დიდი ფიფქის დიამეტრი 38 სმ-ია.



## ტემპერატურის ყველაზე მკვეთრად ცვლილების რეკორდი

აშშ-ის შტატის, მონტანას, ქალაქი ლომა რეკორდსმენია ტემპერატურის მკვეთრი ცვლილების მიხედვით. 1972 წლის 15 იანვარს ლომაში ტემპერატურამ მინუს 48-დან პლუს 9 გრადუსამდე მოიმატა.



## ყველაზე ცივი მთა დედამიწაზე

მსოფლიოში ყველაზე მაღალი მთა ჯომოლუნგმაა, კლიმატი ძალიან მკაცრია. მწვერვალზე ტემპერატურა არასდროს ადის 0 გრადუსზე მაღლა, იანვარში კი მინუს 50 გრადუსამდეც შეიძლება დაეცეს.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

**საბედისწერო გაძევების მიუხედავად, ზიდანს სამშობლოში თბილად შეხვდნენ. პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა მას ერის სიამაყე უწოდა, ხალხი კი ხანგრძლივი აპლოდისმენტებით მიესალმა ელისეს მინდვრებზე ვერცხლის მედლების მოპოვების გამო გამართულ საზეიმო ცერემონიაზე. 2012 წელს ამ ინციდენტის გამო პარიზში ძეგლიც კი დადგეს.**

სპორტი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

გთავაზობთ შეჯიბრების მიმდინარეობისას სპორტსმენების სკანდალურ გამოხდომებს, რომლებიც სპორტის ისტორიაში შევიდა:

# «ღვთის ხელი», ჰოლიფილდის ყური, ზიდანის თავური და სუარესის კბენა

## სპორტსმენების სკანდალური გამოხდომები





### 1. ტაისონმა ჰოლიფილდს ყური მოაკვნიტა

1998 წლის 28 ივნისს ლას-ვეგასში გაიმართა ორთაბრძოლა, რომელიც კრივის ისტორიაში შევიდა. ეს ორთაბრძოლა, რომელსაც მოუთმენლად ელოდა კრივის სამყარო, ადამიანური უგუნურების ტრიუმფით დასრულდა და სპორტის ამ სახეობის მოყვარულთა მეხსიერებაში მხოლოდ ევანდერ ჰოლიფილდის მოკვნეტილი ყურითა და ტაისონის სისხლიანი ტუჩებით დარჩა.

ამ ორთაბრძოლამდე ჰოლიფილდს ერთხელ უკვე ჰყავდა დამარცხებული მაიკ ტაისონი და ჰქონდა ჩემპიონის ქამარი ჩამორთმეული, 1997 წლის 28 ივნისს კი მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს იცავდა. ორთაბრძოლის დასაწყისი ჰოლიფილდის უპირატესობით წარიმართა, ტაისონი კი აშკარად არ იყო ფორმაში და მეტოქეს ვერაფერს უპირისპირებდა. მესამე რაუნდის ბოლოს გაცოფებულმა ტაისონმა ჰოლიფილდს მარჯვენა ყურზე უკბინა და... მოკვნეტილი ნაწილი რინგზე დააგდო. როცა მიხვდა, რომ მსაჯმა წაგება ჩაუთვალა, კიდევ უფრო გაცოფებული ტაისონი ჰოლიფილდს მივარდა, მანამდე კი პოლიციელი, რომელიც გადაეღობა, ნოკაუტში ჩააგდო. ტაისონი, როგორც იქნა, დააწყნარეს და რინგიდან მაყურებლების სტვენისა და ლანძღვა-გინების ფონზე გაიყვანეს. რამდენიმე დღის შემდეგ ტაისონს მოკრივის ლიცენზია ჩამოართვეს და 3 მლნ დოლარით დააჯარიმეს. მხოლოდ ერთი წლის შემდეგ მისცეს ყურისმკვნეტელ მაიკს რინგზე გასვლის უფლება.








### 3. «ღვთის ხელი» — მარადონას მიერ ინგლისელთა კარში გატანილი ბურთი

ეს მატჩი გაიმართა 1986 წლის 22 ივნისს მეხიკოს სტადიონ „აცტეკაზე“. მეორე ტაიმის დასაწყისში ინგლისელთა ნახევარმცველ **სტივ ჰოჯის** (რომელმაც მატჩის შემდეგ მაისური გაუცვალა დიეგოს) ფეხიდან ბურთი ჩაეშვა ინგლისელთა საჯარიმო მოედანზე, მარადონამ კი მარცხენა ხელით ის მეტოქის კარში გაგზავნა. მსაჯებმა ჩათვალეს, რომ არგენტინელმა ბურთი თავით გაიტანა. 4 წუთის შემდეგ კი მარადონამ „ასწლეულის გოლი“ აჩუქა ფეხბურთის გულშემატკივრებს, როცა ინგლისელთა თითქმის მთელი გუნდი მოატყუა და არგენტინელებს გამარჯვება მოუტანა. მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე მარადონამ განაცხადა, რომ ბურთი ინგლისელთა კარში „ნაწილობრივ თავით, ნაწილობრივ უფლის ხელით გავიდა“. 2002 წელს სატელევიზიო ინტერვიუში მარადონამ განაცხადა, რომ ეს გოლი იყო არგენტინის რევანში ინგლისელებთან ფოლკლენდის კუნძულებისთვის ბრძოლაში დამარცხებისთვის.




### 2. პროტესტი კვარცხლბეკზე

ორმა შავკანიანმა სპორტსმენმა — ტომი სმიტმა და ჯონ კარლოსმა, რომლებმაც მეხიკოში 1968 წელს გამართულ ოლიმპიადაზე 200 მ სირბილში აშშ-ს ოქროსა და ბრინჯაოს მედლები მოუტანეს, ნაცვლად იმისა, რომ თავიანთი ქვეყნის დროშის აღმართვისთვის ეყურებინათ, თავები დახარეს, თვალები დახუჭეს და შავხელთათმანიანი ხელები მაღლა აღმართეს. კვარცხლბეგზე ორივე მორბენალი მხოლოდ შავი წინდებით იდგა.

ამ ჟესტით მათ გააპროტესტეს ამერიკის შეერთებულ შტატებში შავკანიანთა მძიმე მდგომარეობა. დისკრიმინაციის წინააღმდეგ შავკანიანთა საჯარო პროტესტმა სკანდალი გამოიწვია ამერიკის ოფიციალური წრეებში. აშშ-ის ოლიმპიურმა კომიტეტმა რამდენიმე საათში მიიღო გადაწყვეტილება ამ სპორტსმენების ოლიმპიური გუნდიდან გარიცხვისა და ოლიმპიური სოფლიდან გაძევების შესახებ.



### 4. ზიდანის თავური მატერაცის

2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი. 108-ე წუთი. ანგარიშია 1:1. ჯერ ფრანგების კაპიტანმა **ზინედინ ზიდანმა** გაიტანა ბურთი, შემდეგ კი **მარკო მატერაციმ** ანგარიში გაათანაბრა.

უცებ თამაში გაჩერდა — იტალიის ნაკრების საჯარიმოსთან ვიღაც გაზონზე იწვა და იკრუნჩხებოდა. ამ მომენტში მთელი მსოფლიო უყურებდა ვიდეოგამეორებას. ზიდანს, რომელიც ცენტრისკენ გარბოდა, ზურგიდან მატერაცის სიტყვები შემოესმა. ფრანგი შემობრუნდა, 2 ნაბიჯი გადადგა ოპონენტის მიმართულებით და თავი მკერდში დაარტყა... საფრანგეთის ნაკრებმა მატჩის ბოლო 10 წუთი 10 კაცით ითამაშა, შემდეგ კი პენალტების სერიაში დამარცხდა. მსოფლიოს თასი იტალიელებმა წაიღეს.

საბედისწერო გაძევების მიუხედავად, ზიდანს სამშობლოში თბილად შეხვდნენ. პრეზიდენტმა **ჟაკ შირაკმა** მას ერის სიამაყე უწოდა, ხალხი კი ხანგრძლივი აპლოდისმენტებით მიესალმა ელისეს მინდვრებზე ვერცხლის მედლების მოპოვების გამო გამართულ საზეიმო ცერემონიაზე.

2012 წელს ამ ინციდენტის გამო პარიზში ძეგლიც კი დადგეს.

ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში ზიდანმა თქვა: „ასეთი რეაქცია იმიტომ მქონდა, რომ რაღაც მითხრა, თანაც რამდენიმეჯერ. ნუთუ ფიქრობთ, რომ მატჩის დასრულებამდე 10 წუთით ადრე ასეთ რამეს უსაფუძვლოდ ჩავიდენდი?! რადგან დედაჩემისა და ჩემი დის ღირსებას ეხებოდა, თავი ვერ შევიკავე. ბოდიშს ვიხდი მილიონობით ადამიანის წინაშე, რომლებიც მატჩს უყურებდნენ, მაგრამ მე არ ვუხდი ბოდიშს მატერაცის და არ ვნანობ ჩემ საქციელს. სხვაგვარად, ეს, ალბათ, იმის აღიარება იქნებოდა, რომ მას ჰქონდა ამის თქმის უფლება“.

რამდენიმე წლის შემდეგ მატერაციმ აღიარა, რაც უთხრა ზიდანს მატჩის მიმდინარეობისას. როცა ზიდანმა მატჩის შემდგომ მაისურების გაცვლა შესთავაზა, მატერაციმ განუცხადა: „მე შენს დას ვამჯობინებდი“.




მოამზადა **ნიკა კორინთელმა**
**(დასასრული შემდეგ ნომერში)**

# რესპუბლიკელები ბაიდენის გადადგომას მოითხოვენ



**აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის წევრმა რესპუბლიკური პარტიიდან — ლორენ რობერტმა განაცხადა, რომ ავღანეთიდან ამერიკის ჯარის გაქცევის შემდეგ პრეზიდენტი ჯო ბაიდენი უნდა გადააყენონ.** „ბაიდენმა განზრახ უგულებელყო აშშ-ის პრეზიდენტის მოვალეობები და დაარღვია კონსტიტუციური ფიცი „იზრუნოს კანონების კეთილსინდისიერად შესრულებაზე, როცა ვერ უზრუნველყო აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოება“, — განაცხადა კონგრესის წარმომადგენელმა.

ლორენ რობერტმა აღნიშნა, რომ ავღანეთიდან გამოსვლისას ამერიკის ჯარმა იქ ძვირად ღირებული მოწყობილობები დატოვა. ამას კი არც გამოძიება მოჰყოლია და არც რომელიმე მაღალჩინოსნის პოსტიდან გადადგომა. კონგრესის წარმომადგენელთა პალატის წევრმა პრეტენზიები წაუყენა ვიცეპრეზიდენტ **კამალა ჰარისსაც** და მისი გადადგომაც მოითხოვა.

რობერტის განცხადებით, ჰარისი ბაიდენის საწინააღმდეგო განცხადებით უნდა გამოსულიყო და ოფისიდან გაეძევებინა. „აშშ-ის პრეზიდენტის გაუბედაობა და არაკომპეტენტურობა, — განაცხადა ლორან რობერტმა, —– ამერიკელებს სიცოცხლის ფასად დაუჯდათ ავღანეთში“.

**news-front.info-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთელმა**

# შვედეთში გაუპატიურების მსხვერპლი გაკიცხეს, მოძალადეები კი გაამართლეს




**შვედეთში სიკეთისა და ბოროტების ცნებები თავდაყირა დადგა მოჭარბებული ე.წ. ტოლერანტობის გამო. ეს ყველაფერი ისეთ აბსურდამდე მიდის, რომ ქვეყანაში ცხოვრება სახიფათოა — ადამიანის უფლებები ფეხქვეშ ითელება და მათი დამცველი არავინაა.**

ცოტა ხნის წინათ შვედეთში აღმაშფოთებელი შემთხვევა მოხდა. ქალაქ მალმეში 6-მა მიგრანტმა 21 წლის შვედი მამაკაცი დაიჭირა და 6 საათის განმავლობაში აუპატიურებდა. მამაკაცმა ძლივს შეძლო მოძალადეებისგან თავის დაღწევა. მან პოლიციას მიმართა. მიგრანტები დააკავეს და განყოფილებაში გადაიყვანეს, სადაც კვლავ დაიწყეს ახალგაზრდა მამაკაცის შეურაცხყოფა. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, პოლიციელებმა მიგრანტების მხარე დაიჭირეს და დაზარალებული ნაციზმში დაადანაშაულეს — თითქოს მიგრანტებს ნაცისტურად მიესალმა — ხელის აწევით. საბოლოოდ ყველაფერი გამაოგნებელი შედეგით დასრულდა: მოძალადეები გაამართლეს და გაათავისუფლეს, ახალგაზრდა კაცი კი, რომელსაც 6 საათის განმავლობაში აუპატიურებდნენ და სცემდნენ, გაკიცხეს. შვედეთში სახიფათო პრეცედენტი შეიქმნა, როცა მოძალადეები არ დასაჯეს — ამით კანონის სისუსტე და მიგრანტების წინაშე შიში გამოვლინდა.

**Lenta.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა გიორგი გაჩეჩილაძემ**

# «მშვიდობისმოყვარე» აშშ-ის სამხედრო ბიუჯეტმა 778 მლრდ დოლარს მიაღწია



**აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ 2022 წლის თავდაცვის ბიუჯეტის კანონპროექტი მიიღო. გაისად ახალ შეიარაღებასა და ჯარების შენახვაზე 778 მლრდ დოლარი დაიხარჯება.**

აშშ-ის კონგრესის პრესსამსახურის წარმომადგენლების განცხადებით, პრეზიდენტის ადმინისტრაციამ სამხედრო სფეროსთვის თავდაპირველად 753 მლრდ მოითხოვა, მაგრამ კონსულტაციების მიმდინარეობისას თანხამ 25 მლრდ დოლარით მოიმატა.

**Svpressa.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთელმა**

**P.S. ვიკიპედიაში გამოქვეყნებული მონაცემებით, სამხედრო ბიუჯეტის მოცულობის მხრივ აშშ მსოფლიოში პირველ ადგილზეა 778 მლრდ-ით, მეორეზეა ჩინეთი 252 მლრდ-ით, მესამეზე — ინდოეთი 72,9 მლრდ-ით, მეოთხეზე — რუსეთი 61,7 მლრდ-ით, მეხუთეზე — დიდი ბრიტანეთი 59,2 მლრდ-ით.**

**ნ.კ.**




# ბანკების მიერ დასაკუთრებული ქონების მოცულობამ მოიმატა

**ეროვნული ბანკის „საფინანსო სექტორის მიმოხილვაში“ წერია, რომ, 2021 წლის ივლისის მონაცემებით, კომერციული ბანკების მიერ დასაკუთრებულმა ქონებამ 262. 4 მლნ ლარი შეადგინა.**

მიმოხილვაში აღნიშნულია, რომ ბანკების მიერ დასაკუთრებული ქონების ღირებულება 45.9 მლნ ლარით გაიზარდა. კერძოდ, 2020 წლის ივლისში ეს მაჩვენებელი 216.5 მლნ ლარი იყო. ამასთანავე, სებ-ის მიმდინარე წლის ივლისის მონაცემებით, ჩამოწერილი სესხების მოცულობამ 17.5 მლნ ლარი შეადგინა, მაშინ, როცა 2020 წლის ამავე პერიოდში 12.1 მლნ ლარის ოდენობის სესხი ჩამოიწერა.

**bpn.ge**

# «ევროკავშირი უნგრეთს ვერ დააშანტაჟებს»



**უნგრეთის საგარეო საქმეთა და საგარეო ეკონომიკური კავშირების მინისტრმა პეტერ სიიარტომ სააგენტო Associated Press-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ევროკომისია ქვეყანაში ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის აკრძალვის გამო უნგრეთს შანტაჟით ვერ გატეხავს.**

„ჩვენ არ დავუშვებთ კომპრომისს ამ საკითხზე, რადგან სუვერენული ქვეყანა, სუვერენული ერი ვართ და არავის, ევროკომისიასაც კი, არ აქვს ამ საკითხზე ჩვენთვის შანტაჟის მოწყობის უფლება“, — აღნიშნა მინისტრმა.

სიიარტომ ევროკავშირის პოზიციას აღნიშნულ საკითხზე „სუფთა პოლიტიკური გადაწყვეტილება“ და „შანტაჟი“ უწოდა; ამასთანავე, ხაზი გაუსვა, რომ ბუდაპეშტის პოზიცია „ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის აკრძალვის შესახებ“ უცვლელია და „ჩვენ არ დავუშვებთ კომპრომისს ჩვენი ბავშვების მომავლის მიმართ“.

როგორც ცნობილია, ევროკომისიამ 15 სექტემბერს დაიწყო იურიდიული პროცედურა პოლონეთისა და უნგრეთის მიმართ ადგილობრივი კანონების ევროპულ კანონებზე მაღლა დაყენების გამო, რომლებიც, ბრიუსელის აზრით, ლახავს სექსუმცირესობის უფლებებს. თუ ეს ქვეყნები არ დათანხმდებიან ევროკავშირის მოთხოვნების შესრულებას ევროპული კანონების უზენაესობის შესახებ, ბრიუსელს შეუძლია, მათ ევროპის სასამართლოში უჩივლოს და კორონავირუსის პანდემიის შედეგების სალიკვიდაციოდ გამოყოფილი ფინანსური დახმარებები შეუწყვიტოს.

**eadaily.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა გიორგი გაჩეჩილაძემ**

# «უკრაინამ მომდევნო ზამთრამდე შეიძლება ვერ მიაღწიოს»



**„ენერგეტიკის სფეროში დაწყებული მწვავე კრიზისისა და ბუნებრივი აირის კატასტროფულად გაძვირების გამო უკრაინამ მომავალ ზამთრამდე შეიძლება ვერ მიაღწიოს“, — განაცხადა უკრაინის პარლამენტის წევრმა, პრეზიდენტის პარტია „ხალხის მსახურიდან“ ლუდმილა ბუიმისტერმა ტელეარხ „ნაშ“-ის ეთერში.**

დეპუტატის თქმით, მეორე წელია, ქვეყნის ეკონომიკა უფსკრულისკენ მიექანება არაპროფესიული მართვისა და მენეჯმენტის გამო. და ზამთრის პერიოდში ქვეყანაში ენერგეტიკული ქსელის მარაოსებური გათიშვები დაიწყება.

**eadaily.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთელმა**

# ხორბალი კვლავ ძვირდება

**რუსეთში, რომელიც ხორბლის მთავარი იმპორტიორია საქართველოში, ხორბალი, უკვე რამდენიმე კვირაა, ძვირდება. ბოლო მონაცემებით, ერთი ტონა ხორბლის ფასი 305 დოლარს შეადგენს. ოქტომბერში ფასები კი, როგორც რუსული მედია წერს, 307 დოლარამდე მოიმატებს.**

„ტენდენციის ასახვა უკვე დაწყებულია საქართველოშიც, მაგრამ სრულ ეფექტს ოქტომბრის შუა რიცხვებიდან ვიგრძნობთ“, — განაცხადა ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის ხელმძღვანელმა ლევან სილაგავამ. მისი თქმით, სახელმწიფო ხალხის განწყობიდან გამომდინარე გადაწყვეტს, ჩაერევა თუ არა ფასის რეგულირებაში.

„1 ივლისს რუსეთში ხორბალზე მცურავი ბაჟი 25 დოლარი იყო, დღეს 50 დოლარის ფარგლებშია. 50-60 დოლარით გაძვირებულია თვით ხორბალიც. დღეს რუსეთში ხორბლის ფასი 300 დოლარს ასცდა. ახლა ვმუშაობთ იმაზე, რომ იმ საშუალო შეწონილი ფასებით გადავიაროთ ნაკლები პრობლემებით ეს თვე, რადგან მომავალი თვის შუა რიცხვებიდან ხორბლისა და ფქვილის გაძვირების ეფექტი უკვე აისახება. მატება უკვე დაიწყო, ახლა პირველი ხარისხის ფქვილის ფასი 65-67 ლარია და ტენდენციის მნიშვნელოვანი ცვლილების გარეშე სახელმწიფომ მოსახლეობის განწყობიდან გამომდინარე უნდა იმოქმედოს. როგორ უნდა მოხდეს სიტუაციის რეგულირება სახელმწიფოს დონეზე, ამას ახალი ველოსიპედის გამოგონება არ სჭირდება. არის სხვადასხვა ქვეყნის ანალოგები. მაგალითად, მეზობელ აზერბაიჯანში მთლიანი ჯაჭვია გათავისუფლებული დღგ-ისგან; თურქეთმა იმპორტის გადასახადი გააუქმა; იგივე გააკეთა მაროკომ და სხვა ქვეყნებიც რიგში დგანან. შექმნილი სოციალური ფონიდან გამომდინარე, ეს არის ალბათ, ჩვენი გზაც. ჩვენი პოზიციაა, თავისუფალი ბაზრის პრინციპით მუშაობა“, — განაცხადა სილაგავამ.

**bpn.ge-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ლუკა მაისურაძემ**

საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ კომპანიას
„ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74

www.geworld.ge
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894